დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 11 - 17 დეკემბერი

N53 1517

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# გაიტანეთ პარაშა «ვივამედიდან!»



2-3







როცა ნანუკა ჟორჟოლიანი ზურა ყიფშიძეს იმის სწავლებას დაუწყებს, თუ რა არის სამშობლო, წესით, ციდან გოგირდის წვიმა უნდა დაეშვას!

## ლენუკა ნანუკას აფრთხილებს!




5







# ეს თხლე ამერიკაში ერთხელ ამერიკაში



## თამაზ გაიაშვილი:

# ყველა ომი გამოვიარე და გახარიასთან ომსაც გამოვივლი!



## „შავ სიაში გახარია წამყვან პოზიციაზეა!“



12

„გახარიას მსგავსად, ზურაბიშვილიც მოღალატეა, ამიტომაც დანაპირებს ვასრულებ და ჩემი ავიაკომპანიით არ ვემსახურები!“



9

„ვინ იცნობდა საქართველოში გახარიას? მან თვითონაც არ იცის, რომელი ქვეყნის აგენტია!“

*2023 წლის 27 ნოემბერს თბილისში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის წინ, ქართული თეატრისა და კინოს ნამდვილ ვარსკვლავს, 70 წლის ზურაბ ყიფშიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს.*





# გაიტანეთ პარაშა «ვივა-მედიდან!»

სწორედ ამ მოვლენის კვალდაკვალ, სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეოფრაგმენტი ნაცბანდისა და მისი ტელეკანალიზაციების მძიმე „არტილერიისა“ თუ „არტერიის“ — **ნანუკა ჟორჟოლიანის** ორი წლის წინანდელი გადაცემიდან, რომელშიც იგი **ზურა ყიფშიძეს** მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო ამუნათებს, მორალს უკითხავს და თავისი თხელი ჭკუით შეურაცხყოფს კიდეც — **სამშობლო საჭმელსა და სამოთახიან ბინაზე გაგიყიდიაო!**

საქმე ის არის, რომ 2021 წლის ოქტომბერში **ზურა ყიფშიძე** ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში **ბია ბაჩეჩილაძის** გადაცემა „უცნობის კიდობანს“ სტუმრობდა, სადაც განაცხადა:

> ***„მაპატიეთ და ძალიან ცუდ რამეებს ვიტყვი, რა... რომ შემოვარდნილიყვნენ, ცოლი გაეუპატიურებინათ, შვილი მოეკლათ, ცოლის თვალწინ გავეუპატიურებინე... ერთი გიჟი როგორ ვერ გამოჩნდა, კენედი „დაბრიდეს“... მე იმას კი არ ვიძახი, არიქა, კარგი იქნებოდა, მიშა რომ მოეკლათ, უბრალოდ, ვერცერთმა გამწარებულმა ვერ გადადგა ეს ნაბიჯი“.***

ცხადია, დიდი ქართველი არტისტის ამ განცხადებამ მიშმადიდებელთა სექტა ისტერიკაში ჩააგდო და ე.წ. კლავიატურის ვირთხებმა სოციალურ ქსელებში **ზურა ყიფშიძეს** ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის კანონადა დააყარეს, ხოლო **ნანუკა ჟორჟოლიანმა,** რომელიც ინტელექტთან და წიგნიერებასთან ისედაც მწყრალად მყოფ ქართულ ტელესივრცეში განსაკუთრებული ინტელექტუალური მდაბიობითა და უწიგნურობით გამოირჩევა, თავის გადაცემაში ასეთი ტირადა წარმოსთქვა:

> ***„სამწუხაროდ, უმძიმესი განცხადება გააკეთა ზურა ყიფშიძემ. ეს ვინმე პოტენციური ან არშემდგარი ტერორისტის მოსაზრება არ გეგონოთ. ჩვენი ქვეყნის გამორჩეული და ძალიან ნიჭიერი მსახიობის — ზურაბ ყიფშიძის სიტყვებია. ბატონო ზურაბ, სამშობლო საჭმელზე და სამოთახიან ბინაზე ბევრად მეტი ღირს, სამშობლო შეუფასებელია. ადამიანის და პრეზიდენტის „დაბრედვა“ კინოს გადასაღები მოედანი არ არის. რა ცუდია, რომ ჩემთან ერთად ბევრმა ადამიანმა აღმოაჩინა, რომ ახლა, უკვე ასაკში შესული, „როცა აყვავდა ნუშის“ გმირი ყოფილხართ სინამდვილეშიც. იმედია, თქვენი კინოგმირივით შეგრცხვებათ და აუცილებლად ინანებთ იმას, რაც თქვით“.***






**ზურაბ ყიფშიძის ვარსკვლავის გახსნა მარჯანიშვილის თეატრის წინ. 2023 წლის 27 ნოემბერი**

როცა სისხლიანი ნაცხროვის ერთ-ერთი რუპორი და **წერა-კითხვის მცირედმცოდნე ნანუკა ჟორჟოლიანი** ზურა ყიფშიძეს იმის სწავლებას დაუწყებს, თუ რა არის სამშობლო, წესით, ციდან გოგირდის წვიმა უნდა დაეშვას და ქვეყნიერება წამში დაადუღოს!

**ნანუკა ჟორჟოლიანმა, რომელმაც მთელი თავისი ჟურნალისტური კარიერა საქართველოს გამოხატული მტრების, კაცისმკვლელების, გამაუპატიურებლებისა და ჯალათების მსახურებაში გალია, რა იცის, რა არის და რა ფასეულობას წარმოადგენს სამშობლო?!**

**ნანუკა ჟორჟოლიანის** სამშობლო სააკაშვილი და ის კრიმინალური ბანდაა, რომლის ერთ-ერთ წარმომადგენელზე — **ერეკლე კოდუაზე** ერთ დროს დაქორწინებულიც კი იყო!

ჰოდა, **ნანუკა ჟორჟოლიანს** ჰგონია, რომ სააკაშვილზე აუგის თქმა სამშობლოს წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს!

არც არის გასაკვირი, რომ **ნანუკა ჟორჟოლიანმა,** რომელიც **არტერიასა და არტილერიას** ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, ერთმანეთისაგან ვერც **სა-**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ნაციონალურ მოძრაობაში** ბევრ საინტერესო და სახალისო სანახაობას ვიხილავთ — **არსებობს შიდაპარტიული ბრძოლები სკამისთვის,** არ ვიცი, რა ვერ გაინაწილეს და რა ვერ გაიყვეს. „ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ნაცმოძრაობა იშლება** და ეს არ არის შემთხვევითი, მგონია, **ეს დავალებაა, რომელსაც ასრულებს ქეზერაშვილი** — გეგმაა, ნაცმოძრაობა ქვევით დასწიონ, რათა **სხვა პოლიტიკური ძალა წამოსწიონ წინ.** „რეზონანსი“

**საბა ბუაძე**
*თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ლელოს“ თავმჯდომარე*



**ირაკლი კობახიძეს** ვურჩევდი, ძილის წინ რაიმე **დამამშვიდებელი მიიღოს,** რომ აბსურდული სიზმრები აღარ ნახოს.

„პალიტრანიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**ნაციონალური მოძრაობა არის დაშლილი და ღრმა კრიზისში,** პარტიაში ორი ადამიანიც არ მოიძებნება, რომელიც ერთმანეთს ენდობა. **რაც დათესეს, იმას იმკიან.** თავისი ქვეყნისთვის სურდათ **დესტაბილიზაცია** და დღეს **დესტაბილიზაცია** პარტიის შიგნით აქვთ.

„იმედინიუსი“

**შარლ მიშელი**
*ევროსაბჭოს პრეზიდენტი*



კიდევ ერთხელ დავუდასტურე ქვეყნის პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** ევროკავშირის ერთგულება საქართველოს მიმართ. **ევროკავშირი მიესალმება საქართველოს განგრძობად ძალისხმევას რეფორმების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში წინსვლის მისაღწევად.**

„იმედინიუსი“

აკაშვილი და სამშობლო გაარჩიოს!

მოკლედ, **ზურა ყიფშიძის** ვარსკვლავის გახსნის კვალდაკვალ, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ **ნანუკა ჟორჟოლიანის ორი წლის წინანდელ ტელემონოლოგს** ფეისბუქპოსტით გამოეხმაურა მსახიობის ქალიშვილი, ასევე მსახიობი ბებიის — **ელენე (ლენა) ყიფშიძის** მოსახელე **ელენე (ლენუკა) ყიფშიძე:**

***„დიდი ხანია, ვითმენ, ვითმენ და ძალიან დავიღალე ამ ჟ...ქალას მოსმენით და ლანძღვით მამაჩემზე. ნანუკა, ცოტა აზრზე მოდი და ოდნავ მაინც გრცხვენოდეს, სანამ მამაჩემზე გადაბრუნებულ რამეს იტყოდე. შენ საერთოდ იცნობ, რა ადამიანია მამაჩემი? ყველამ, ვინც გადაბრუნებულ რამეს იტყვით მამაჩემზე, პირში წყალი გამოივლეთ. საერთოდ, შენ მამაჩემზე ასე საუბრის უფლებას როგორ აძლევ თავს? აი, სახალხოდ გაფრთხილებ, არასოდეს გაბედო მამაჩემზე გადაბრუნებული რამე თქვა, გამოგჭამ ყელს, გოგო, თავი ვინ გგონია?!“***

როგორც ხედავთ, **ლენუკა ნანუკას აფრთხილებს** და თუ **ნანუკა** გონს არ მოეგება, **ლენუკა** მას დანაქადნებს აუცილებლად აუსრულებს!

სხვა თუ არაფერი, როცა **ნანუკა ჟორჟოლიანი** სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმისათვის სისხლიანი დინგის მოწმენდით იყო დაკავებული, **ლენუკა ყიფშიძე** იმ სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა და სიმამაცე ჰყოფნიდა, თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია საჯაროდ გამოეხატა მაშინ, როცა ამის გაკეთება დიდ რისკებთან და, ხშირ შემთხვევაში, სასიკვდილო საფრთხესთანაც კი იყო დაკავშირებული!

ამიტომაც გვგონია, რომ თუ **ნანუკა** ენას არ დაიმოკლებს, **ლენუკა** ნამდვილად უზამს იმას, რასაც სახალხოდ დაჰპირდა!

რაც შეეხება **ზურა ყიფშიძის** განცხადებას სააკაშვილის **„დაბრედვასთან“** დაკავშირებით... **მართლაც ტვინგამორეცხილი ნაცი ან კიდევ უარესი — ნანუკა ჟორჟოლიანი უნდა იყო, რომ დაიჯერო, თითქოს კაცისკვლას მიესალმება ან ვინმეს კაცისკვლისკენ მოუწოდებს ისეთი ჰუმანური პროფესიისა და მაღალი ღირსების კაცი, როგორიც ზურაბ ყიფშიძეა!**

**რა, ვინმეს გაუკვირდებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული, ციხეში ნაწამები და გაუპატიურებული ან შვილმოკლული უამრავი ადამიანიდან რომელიმეს მართლაც „დაებრიდა“ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის მთავარი შემოქმედი?** გასაკვირი ის უფროა, ასე რომ არ მოხდა და ზურა ყიფშიძემაც სწორედ ეს გაიკვირვა!




ზურაბ ყიფშიძე ქალიშვილთან – ლენუკა ყიფშიძესთან ერთად

# ლენუკა ნანუკას აფრთხილებს!

**ისე კი, სააკაშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე რომ „დაებრიდა“ ბადრი ზარანდიას, რომელიც მას ზუგდიდის ცენტრში მოქალაქეებთან შეხვედრის დროს „კალაშნიკოვით“ გამოეკიდა, საქართველო უამრავ უბედურებას გადაურჩებოდა და ბევრი უდანაშაულო ადამიანი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა მიწაში ჩააწვინა, დღეს ცოცხალი იქნებოდა!**

**თუმცა, მაშინ სააკაშვილმა გაქცევა მოახერხა და ზუგდიდის ცენტრში მდებარე ტელეკომპანია „ოდიშის“ შენობის ტუალეტში დაიმალა!**

იმის მერე **სააკაშვილი** სულ პოლიტიკურ ტუალეტში ზის და პოლიტიკურ **ქაქში** ყელამდეა ჩაფლული, თუმცა, შესაძლოა, არამხოლოდ **პოლიტიკურ ქაქში,** რადგან, ბოროტი ენების თქმით, კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში **ერთი პერიოდი საკუთარ ქაქს აგუნდავებდა და მედპერსონალს ესროდა.**

ასეა თუ ისე, **სააკაშვილი დიდი ხანია, პოლიტიკურ პარაშად არის ქცეული,** პარაშა კი ციხის ჟარგონია და მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს!

საკითხავი მხოლოდ ის არის, როდემდე უნდა ეგდოს **პოლიტიკური პარაშა** კლინიკა „ვივამედში“ და **როდის უნდა გადაიტანონ** რუსთავის ციხეში?

ვხედავთ, რომ აღარ კვდება, ჭამა დაიწყო, წონაში მოიმატა, ფერზე მოვიდა და პოლიტიკურ კამპანიასაც აქტიურად აწარმოებს, ქართული სახელმწიფო კი მაინც ჯიუტად აგრძელებს ქართველი ხალხის ფულის ხარჯვას კერძო კლინიკის კეთილმოწყობილ პალატებში პატიმარ სააკაშვილის შესანახად!

**ჰოდა, გაიტანეთ პარაშა „ვივამედიდან!“**

**დროზე გაიტანეთ!**

***ჯაბა ხუბუა***




ნანუკა ჟორჟოლიანი და მიხეილ სააკაშვილი

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



ნაციონალურ მოძრაობაში პროცესებით კმაყოფილი ვარ, **კლოუნად წოდებული პირი რაც უფრო დიდხანს იქნება ხელმძღვანელი,** მით უკეთესად გამოჩნდება მათი რეალური სახე.

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



2024 წელს **საერთოდ გადახალისდება პოლიტიკური ველი,** ეს მოხდება ბუნებრივად, **მეეჭვება, „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციაში გაძლოს** და საერთოდ იარსებოს.

„აიპრესი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ევროკავშირი ვერ იქნება სრული** საქართველოს გარეშე ისევე, როგორც **საქართველო ვერ იქნება სრული** ევროკავშირის გარეშე.

„ინტერპრესნიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, პრაქტიკულად, **კიდევ ერთხელ მიიტანა „ვენოკი“ ნაცმოძრაობის პოლიტიკურ პანაშვიდზე** — ევროკავშირში და ამერიკაში მიხვდნენ, რომ **საქართველოს ჰყავს პროდასავლური ხელისუფლება.**

„ინტერპრესნიუსი“

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



სირცხვილია, რომ **შალვა პაპუაშვილი** პარლამენტის თავმჯდომარეა — ბატონ **მაჭარაშვილს** კი ვურჩევ, **ცოტა მეტი იკითხოს,** ევროპულ პრესას მაინც გაეცნოს, რომელიც მის მშობლიურ, რუსულ ენაზე ითარგმნება.

„პალიტრანიუსი“

# ქართველი ხალხი მაშინ იზეიმებს, როცა საჭირო იქნება!

***თავიდან მეგონა, სანაპიროზე ახალი აუზი გაუხსნიათ-მეთქი! თან ისეთი შეგრძნება დამეუფლა, სადაცაა ფიცარნაგზე სალომე ზურაბიშვილი გამოვა, კამარას შეკრავს, ქოშებს უკუღმა აჭყრის და ლივლივა წყალში ტყაპანს გაადენს, შემდეგ კი მას გიგაური, ლომჯარია, პატარაია, ლიაკა და სხვებიც მიჰყვებიან.***

სული ცოდვილო... ერთ ხანობას ისიც მეგონა, ფიცარნაგზე **ბირჩი ზურაბაც** გამოვარდება, შარვალს ჩაიხდის და აუზში ისიც ტყაპანს გაადენს-მეთქი.

რაკი ჩემი ეჭვები არ გამართლდა, ვიფიქრე — **ეს საცურაო აუზი კი არა, თევზსაშენი მეურნეობაა, თან ყვითელი რაღაცებიც დაცურავენ, ეტყობა, ახალი ჯიშის თევზი გაუშვეს-მეთქი.**

მერე მითხრეს — ეგ არც საცურაო აუზია, არც თევზსაშენი ტბორი, ევროკავშირის გიგანტური დროშაა, სალომე ბაბო თავის „პადელნიკებთან“ ერთად ევროპისკენ გზავნილებს უშვებსო.

**რა გზავნილებს უშვებს-მეთქი?**

**ნუუუ... როგორ გითხრათ, უშვებს და ეგ არიო.**

კაცო, კი უშვებს, მაგრამ რას უშვებს, არ უნდა იცოდეთ-მეთქი?

წუხელ სალობიეში იყო და უშვებს, მაინცდამაინც ყველაფერი უნდა დაგიკონკრეტოთო?

**სუ ეგა ხარ, სალომე ბაბო?**

**ჰა, სუ ეგა ხარ?**

**რავი, იმდენი ხალხი დაგიდიოდა სასახლეში, იმდენ „ინტელიგენტსა“ და იმდენ „მოღვაწეს“ ეკურკურებოდი, ვფიქრობდი, აქეთ გორას რომ წიხლსა ჰკრამს, იქით გორასა ძვრას უზამს-მეთქი.**

პრინციპში, ამასწინებზე ისიც დაგიწერე — ეგ ის ხალხი არ არი, ბრძოლის ველზე რომ წამოგყვება, ეგენი „ქართულ ოცნებაზე“ არიან დაბოღმილები და შენთან გამოჩენით გულებს იფხანენ-მეთქი.

**აგიხდა?**

**ჰოდა, იყავი ეხლა გიგაურებთან, ლომჯარიებთან, პატარაიებთან და რავი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?**

**იყავით ერთად და აფრიალეთ უაზროდ გიგანტური დროშები!**

ისე, რაც შენ ფული გახარჯეთ და კიდევ ერთი წელი უნდა გახარჯოთ, მაგ ფულით უამრავ აუზს, თევზსაშენ მეურნეობას, ფერმას და სათბურს გავხსნიდით.

**საერთოდ, რა საჭიროა პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ ნაცარს ქექავს და ტლაპოში ფორთხავს? ჩავატაროთ რეფერენდუმი და საქართველოს მოსახლეობის 99 პროცენტი იტყვის, რომ უსაქმური სარდალი არავის სჭირდება!**

ეგ არი!

დრო გეწურება, **სალომე ბაბო,** აღმა-დაღმა კი ნუ დაყიალობ, „კლეჩატ პრავიზონკაში“ საჭირო ნივთები ჩაალაგე და ჰაიდა, „ჩერეზ“ კო**ბახჩო.**

**ქართველი ხალხი კი მაშინ იზეიმებს, როცა საჭირო იქნება!**

***გელა ზედელაშვილი***





# ღირსეულმა საზოგადოებამ თვითმარქვია ლიდერებს მორალური დისკომფორტი უნდა შეუქმნას!

***ღირსეულმა საზოგადოებამ თვითმარქვია ლიდერებს მორალური დისკომფორტი უნდა შეუქმნას! — ამ სიტყვების ადრესატი სალომე ზურაბიშვილია, რომელმაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან პერმანენტული და ზიანის მომტანი შეხვედრებით, აი, უკვე მერამდენედ სცადა თავისი განულებული იმიჯის რეაბილიტაცია.***

დიახ, **მორალური დისკომფორტით** უნდა გაიკოჭოს როგორც ქვეყნის, ასევე ზნეობრივი კონსტიტუციის ყველა დამრღვევი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ 100 წლის წინანდელ სიტუაციას, როდესაც **ილია ჭავჭავაძე** საზოგადოებამ **ჯერ სიტყვით მოკლა, ხოლო შემდეგ მისი ტყვიით მოკვლა აღარ წარმოადგენდა განსაკუთრებულ სირთულეს.**

დიახ, **ილია მოკლა არა ბერბიჭაშვილმა, არამედ ისეთმა საზოგადოებამ, როგორიც დღეს სალომე ზურაბიშვილის გარშემო იკრიბება და ცდილობს მისი იმიჯის გამოსწორებას.**

ის, რომ **ვაჟა-ფშაველა,** ფაქტობრივად, მშიერი მოკვდა და საზოგადოებას ამ დროს საღათას ძილით ეძინა; ის, რომ **ფიროსმანის** საფლავი არ იცის ერმა; ის, რომ უყურადღებოდ მიტოვებული **გალაკტიონი** „ლეჩკომბინატის“ ფანჯრიდან გადმოეშვა, მეტყველებს იმის დეფიციტზე, რასაც დღეს **ყავლგასული, მაგრამ ჯერჯერობით ვადაგაუსვლელი** პრეზიდენტის ირგვლივ შეკრებილ ხალხში ვხედავთ.

და იქნებ, მართლაც ქართველი საზოგადოების მხრიდან სხვადასხვა ეპოქაში გამოვლენილმა **შურმა, ბოღმამ და გულგრილობამ** გადახვეწა ქვეყნიდან ბევრი დიდი ქართველი, რადგან სწორედ ეს **შური, ბოღმა და გულგრილობა** იცავდა და იცავს დისკომფორტისაგან სალომესნაირებს და აძლევს უფლებას, ჭკუის დამრიგებლის მანტიაც მოირგონ.

**რაც არ უნდა დიდი ევროკავშირის დროშა შეკეროს მავანმა, იგი ვერასოდეს გადასწვდება თუნდაც შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს, რომელმაც ისტორიის მანძილზე ბევრი სალომე და სულეიმანი მოინელა!**

## P.S.

ოპოზიციის მიერ ორგანიზებულმა **9 დეკემბრის აქციამ,** ფაქტობრივად, ქართველი ხალხის მონაწილეობის გარეშე ჩაიარა — მას მხოლოდ **1000-მდე ადამიანი ესწრებოდა** და ფრიად დამაზიანებელი იყო არამარტო ოპოზიციის იმიჯისათვის, არამედ ევროპული ორიენტაციისა და წევრობის კანდიდატობის მონიჭების წინა პერიოდისთვისაც.

**მწარე 9-წლიანი მმართველობით გათანგული ქართველი ხალხი კარგად ხედავს, რომ ოპოზიციის უმრავლესობისათვის ევროპული და დემოკრატიული სწორედ სააკაშვილის ტირანული და სისხლიანი რეჟიმი იყო,** რომელსაც ახლაც მისტირიან, ხოლო ასეთი რეჟიმის დემოკრატიული გზით შემცვლელ დღევანდელ ხელისუფლებას ანტიდემოკრატიულს ეძახიან.

**განვლილმა 12 წელმა დაგვანახა, რომ ისინი ამ პოზიციას ვერასოდეს შეიცვლიან და ამიტომაც იქნებიან ყოველთვის დამარცხებულები!**

***ნანა კაკაბაძე***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ქართულ პოლიტიკაში **უნდა ვებრძოლოთ უკანონო დაფინანსებას,** როგორიცაა, **ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერებიდან მოპარული ფულით** ვინმე **კეზერაშვილის** მიერ ქართული ოპოზიციისა და მედიის დაფინანსება.

„იმედინიუსი“

**შერაზ გასრი**
*საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი*



ევროკავშირმა **საქართველოსთვის კარი გახსნა,** ვიმედოვნებ საქართველო, რომელიც **ეკუთვნის ევროპულ ოჯახს,** წლის ბოლოს შეძლებს ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას.

„იმედინიუსი“

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



რა ლექცია უნდა ჩაატაროს **სალომე ზურაბიშვილმა?!** უნდა მივიდეს და სტუდენტებს აუხსნას, **თუ როგორ ჰკიდია ფეხებზე კონსტიტუცია და როგორ გათელა ქვეყნის სუვერენიტეტი?** „ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა ახლა **პოლიტიკურ აგონიაში იმყოფება** — თავიანთი ქმედებებით საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ახლა უბრალოდ **შეუძლებელია ფიქრი ამ პარტიის გადარჩენაზე.** „იმედინიუსი“

**გიორგი გამსახურდია**
*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე პოლონეთში*



ყველა სახის ევროპული სიკეთე, რაც მიიღო ევროკავშირიდან ჩვენმა ქვეყანამ, არის **ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის დამსახურება**. ამ რეალობას ვერავინ გაექცევა, რაც არ უნდა ფუთონ **დეზინფორმაციულად ოპოზიციურმა ტელევიზიებმა** ეს ფაქტი, სიმართლე არის ეს.

„იმედინიუსი“

# თავმოჭრილები და თავისმომჭრელები

levan.khabeishvili

**ლევან ხაბეიშვილის მიერ თავის ინსტაგრამ-გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო, რომელიც წაშალა მას შემდეგ, რაც სოციალური ქსელების მომხმარებლებმა დასცინეს!**




## ერთხელ ამერიკაში



# ეს თხლე ამერიკაში

***რა თქმა უნდა, მიხვდებოდით, რომ წინამდებარე წერილის სათაური — „ეს თხლე ამერიკაში“ — ალიტერაციულად ეხმიანება იტალიელი რეჟისორის სერჯო ლეონეს მიერ 1984 წელს გადაღებული ლეგენდარული მხატვრული ფილმის სახელწოდებას — „ერთხელ ამერიკაში“!***

ამთავითვე განვმარტავთ იმასაც, რომ სათაურში ნახსენებ **თხლეში** ღვინის დუღილისას ქვევრში დალექილი ბლანტი მასა კი არა, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის სავარძელზე დალექილი **ლევან ხაბეიშვილი** იგულისხმება, რომელიც გასულ კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა და ზოგიერთ იქაურ პოლიტიკოსს შეხვდა.

**ხაბეიშვილი ამერიკაში!** — ეს უკვე **ორსიტყვიანი ანეკდოტია,** თანაც — ილუსტრირებული ანეკდოტი, რადგან ქართველ საზოგადოებას საშუალება აქვს, ტელეეკრანზე კადრების სახით ნახოს და სოციალურ ქსელებში ფოტოებზე იხილოს, როგორ გამოიყურება და რანაირად იქცევა **ნაცმოძრაობის სასაცილო თავმჯდომარე,** რომელიც აშკარად იქ მოხვდა, სადაც მისი ადგილი არ არის.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ **ხაბეიშვილმა,** „ტვ პირველის“ ჟურნალისტ **მაია მამულაშვილის** თქმისა არ იყოს, „ორი ღერი“ ინგლისური არ იცის და ეჭვი გვაქვს, მასთან ერთად დელეგაციაში მყოფ სხვა ნაცებს, მაგალითად, **თინა ბოკუჩავას** ან **ზურაბ ჭიაბერაშვილს** ამერიკაში თარჯიმნის ფუნქციის შეთავსება მოუწევდათ... თუმცა, ინგლისურის არცოდნას ვინ ჩივის, როცა **ნაცპარტიის სასაცილო თავმჯდომარემ** არც ის იცის, ამერიკაში ვის ხვდება და ვინ არიან ის პოლიტიკოსები, რომელთათვისაც ხელის ჩამორთმევის პატივი ერგო?

ასე რომ არ იყოს, **ხაბეიშვილი** აშშ-ის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ **მაიკ პენსზე** არ იტყოდა — **ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს შევხვდიო!**

სხვათაშორის, **ნაცმოძრაობის სასაცილო თავმჯდომარემ** ისიც არ იცის, რომ ამერიკაში „ყოფილი პრეზიდენტის“ ცნება არ არსებობს და ძველ პრეზიდენტებს მათი რიგითობის მიხედვით მოიხსენიებენ — **„მე-5 პრეზიდენტი“, „27-ე პრეზიდენტი“, „43-ე პრეზიდენტი“** და ა.შ.

თუმცა, ამერიკაში ჩატანილი **ხაბეიშვილის თხლეობა** არც ამით შემოფარგლულა... მან სოციალურ ქსელში, კერძოდ, თავის ინსტაგრამ-გვერდზე გამოაქვეყნა ერთ-ერთ ამერიკელ სენატორთან გადაღებული ფოტო, რომელზეც **ნაცმოძრაობის სასაცილო თავმჯდომარესაც** და მის გვერდით მდგომსაც თავები აქვთ გადაჭრილი.

ეს ფრიად სიმბოლური ფოტო გახლავთ, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავი აქვს მოჭრილი!

**დიახ, ნაციონალურ მოძრაობას თავი აქვს მოჭრილი,** ანუ სამარცხვინო დღეშია!

**დიახ, ნაციონალურ მოძრაობას თავი აქვს მოჭრილი,** ანუ თავკაცი და ლიდერი არ ჰყავს!

ჯერ ერთი, ხაბეიშვილი რომ თავმჯდომარედ გიზის, ამაზე დიდი **თავის მოჭრა** არ არსებობს და მეორეც, **თავის მოჭრაა,** როცა ვაშინგტონში პენსიაზე გასულ ამერიკელ პოლიტიკოსებთან შეხვედრით ცდილობ შენი პოლიტიკური წონის დემონსტრირებას, ზუსტად ამ დროს კი შენივე პარტია პაჭიკოს გარმონივით იშლება და თანაპარტიელები მთელი საქართველოს მასშტაბით მასობრივად გემიჯნებიან!

**მას შემდეგ, რაც ინსტაგრამზე თავწაჭრილი ფოტოს გამოქვეყნების გამო სოციალური ქსელის მომხმარებლებმა ხაბეიშვილი მასობრივად „დააჭაჭავეს“, ანუ მასხრად აიგდეს, ნაცმოძრაობის სასაცილო თავმჯდომარემ ფოტო წაშალა, თუმცა, ვერაფრით წაშლის და ვერსად გააქრობს იმ ფაქტს, რომ ისიც და მისი პარტიაც თავმოჭრილები არიან.**

**თავმოჭრილებიც და თავისმომჭრელებიც!**

და კიდევ:

**ვაშინგტონში თუნდაც თითო-ოროლა პოლიტიკოსი რომ მოიძებნა, რომლებმაც თხლე ხაბეიშვილსა და მის დელეგაციასთან შეხვედრა არ ითაკილეს, ეს ერთადერთ რამეზე მიუთითებს – ამერიკას თავისი „ხაბეიშვილები“, „ბოკუჩავები“ და „ჭიაბერაშვილები“ ჰყავს!**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ამერიკას სულ მთლად პრეზიდენტად უზის „მხცოვანი ხაბეიშვილი“,** რომელსაც თანამედროვე გეოპოლიტიკის ლაბირინთებში გზა და კვალი ზუსტად ისე აქვს არეული, როგორც ვაშინგტონში ჩატანილ ნაცპარტიის თავმოჭრილ თავმჯდომარეს!

თუმცა, ამერიკას, დიდი ალბათობით, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეშველება და **„მხცოვანი ხაბეიშვილისაგან“** გათავისუფლდება, ნაცმოძრაობას კი ვერაფერი უშველის, რადგან ის თხემით ტერფამდე ერთი მთლიანი **ლევანხაბეიშვილია!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ევროპაში **ნაციზმის იდეოლოგია** პოლიტიკურ დანაშაულად აღიარეს, საქართველოც უნდა გათავისუფლდეს **ნაცისტური იდეოლოგიისგან. მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ადოლფ ჰიტლერის ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის მსგავსად,** ისტორიას დარჩება, როგორც ფაშიზმი.

„ინტერპრესნიუსი“

**ემზარ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



ნაცმოძრაობა **კი არ უნდა დაიშალოს, არამედ უნდა გასამართლდეს და როგორც მსოფლიოში ფაშიზმი აიკრძალა, ასევე ეს პარტიაც აკრძალული უნდა იყოს,** რადგან უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი.

„რეზონანსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



მიმდინარეობს **ნაციონალური მოძრაობის სრული დემონტაჟი** — პარტიას იმ რაოდენობის წევრები ტოვებს, რომ, თუ ასე გაგრძელდა, **2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შესაძლოა, აღარავინ დარჩეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



**სალომე ზურაბიშვილმა** უნდა დატოვოს პრეზიდენტის პოსტი, **გადავიდეს ოპოზიციაში და ჩაუდგეს სათავეში მესამე ძალის ჩამოყალიბებას.** თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, რაც დღეს ხდება ოპოზიციაში, მაშინ **„ქართულ ოცნებას“ დიდი უპირატესობით გამარჯვებისთვის არჩევნების გაყალბებაც არ დასჭირდება.**

„კვირის პალიტრა“

**„ზელენსკის ხელისუფლების მოშორებით არამხოლოდ შიდა უკრაინული ძალები, არამედ ამერიკისა და დასავლეთის პოლიტიკური წრეებიც არიან დაინტერესებული, რაც მისი დამხობის ალბათობას ერთიორად ზრდის!“**



*49 რესპუბლიკელმა სენატორმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში დაბლოკა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინის, ისრაელისა და ტაივანისათვის 106 მილიარდი დოლარის გამოყოფას, საიდანაც 61 მილიარდი უკრაინის დასახმარებლად იყო განკუთვნილი. ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა სენატმა ბაიდენის ადმინისტრაციას უკრაინისათვის ფინანსური დახმარების გაწევაზე ნებართვა არ მისცა. რა ბედი ელის უკრაინას, თუკი აშშ-ის დახმარების გარეშე დარჩება და მოსალოდნელია თუ არა უახლოეს მომავალში ომის დამთავრება? ამ თემაზე საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, პარტია „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრებით:*

# ჯონდი ბაღათურია:

# უკრაინაში რუსეთი იმარჯვებს!

— უკრაინის თემა მთელ მსოფლიოს მოსწყინდა, რადგან ომი კოლექტიური დასავლეთისათვის წარუმატებლად მიმდინარეობს. **ამერიკულმა და ევროპულმა სადაზვერვო სამსახურებმა აშკარად არასწორი გათვლა გააკეთეს, როცა რუსეთთან მათთვის სრულიად უპერსპექტივო კონფლიქტი წამოიწყეს, დღეს კი ხედავენ, რომ უკრაინაში რუსეთი იმარჯვებს და აღარ იციან, გამოსავალი როგორ მოძებნონ!**

**— რის საფუძველზე აცხადებთ, რომ უკრაინაში რუსეთი იმარჯვებს?**

— ამ ომის განმავლობაში რუსეთი ეკონომიკურადაც გაძლიერდა და ახალი, უპრეცედენტო შეიარაღებაც შექმნა, რითიც ნატოს ქვეყნებს უკვე მართლა უქადის სერიოზულ საფრთხეს! გარდა ამისა, რუსეთის ირგვლივ მოხდა არაამერიკული და ანტიამერიკული სამყაროს კონსოლიდაცია, აშშ-ისა და დასავლეთის პოზიციები და გავლენა კი მთელ მსოფლიოში საგრძნობლად შესუსტდა.

**— როგორ ფიქრობთ, ბაიდენის ადმინისტრაცია შეძლებს, სენატში რესპუბლიკელების წინააღმდეგობა გადალახოს და უკრაინის ფინანსური დახმარება გააგრძელოს?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო პოლიტიკური თამაშები დაიწყო და რესპუბლიკელებმა საკმაოდ ეფექტური სვლა გააკეთეს, როცა უკრაინისა და ისრაელის დახმარების საკითხი თავიანთთვის სტრატეგიულ თემას — მექსიკის საზღვრის ჩაკეტვას მიაბეს. საქმე ის არის, რომ დემოკრატები ცდილობენ, მექსიკის საზღვრიდან შემოიყვანონ მიგრანტები, რომლებსაც მასობრივად მიანიჭებენ ამერიკის მოქალაქეობას, რათა არჩევნებში მათი ხმები მიიღონ. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, თავის დროზე სააკაშვილმა რამდენიმე ათას თურქს, ირანელსა და არაბს ქართული პასპორტები რომ ჩამოურიგა იმ იმედით, არჩევნებში ხმას მომცემენო!

ვფიქრობ, დემოკრატები ისრაელისა და უკრაინის დახმარების სანაცვლოდ ნამდვილად არ დაუჭერენ მხარს მექსიკის საზღვრის ჩაკეტვას, რადგან ეს მათთვის უამრავი პოტენციური ამომრჩევლის დაკარგვას ნიშნავს. თავის მხრივ, რესპუბლიკელებმა მექსიკის საზღვრის ჩაკეტვას თუ ვერ მიაღწიეს, ისრაელისა და უკრაინისათვის დახმარების გამოყოფას მწვანე შუქს არ აუნთებენ.

**მოკლედ, რთული ვითარებაა და ისედაც მძიმე დღეში მყოფ უკრაინას წინ კიდევ უფრო მძიმე დღეები ელის!**

**— საბოლოო ჯამში, ამერიკა და დასავლეთი უკრაინის ხელისუფლებას რუსეთის პირისპირ მოლაპარაკების მაგიდასთან დასვამენ?**

— დღეისათვის უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზელენსკის ტრაგიკომიკური ისტორია დასასრულს მიუახლოვდა და ამერიკა ყველანაირად შეეცდება, ხელები მთლიანად მას შეაწმინდოს! კერძოდ, **შეერთებული შტატები ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ომში რუსეთთან მარცხი გაფორმდეს არა ბაიდენის ადმინისტრაციის, არამედ ზელენსკისა და მისი გუნდის ფიასკოდ, თუმცა, ამის მიღწევა ადვილი არ იქნება.**

საერთოდ, ბაიდენის ადმინისტრაციამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა საკუთარი და მთლიანად ამერიკის ბედი და რეპუტაცია უკრაინის ფრონტზე რუსეთის დამარცხებას მიაბა. შედეგად დღეს ამერიკა იმ უბნის ყოჩის მდგომარეობაშია, რომელსაც სილა გააწნეს, ის კი პასუხს ვერ უბრუნებს და როგორც მტრების, ისე მოკავშირეების თვალში ავტორიტეტს კარგავს!

**ამერიკასთან ერთად, პოლიტიკურ და რეპუტაციულ კრახს ვერ აიცილებს ევროპაც, რომლის ეკონომიკა ლამის მიწასთან გასწორების პირას არის მისული.**

**— როგორც ვხედავთ, უნგრეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას... თქვენი აზრით, მიაღწევს თუ არა თავისას ვიქტორ ორბანი და მის მიერ უკრაინის საკითხის დაბლოკვა საქართველოსაც ხომ არ დააკარგვინებს უკვე თითქმის მონიჭებულ კანდიდატის სტატუსს?**

— უნგრეთს მთელი რიგი სერიოზული მიზეზები და არგუმენტები აქვს იმისათვის, რომ ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანება დაბლოკოს. ამასთან, დიდი ეჭვი მაქვს, რომ **ვიქტორ ორბანი** არამხოლოდ საკუთარ, არამედ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების — საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და სხვათა განწყობასაც ახმიანებს! დიახ,

**ევროპულ სახელმწიფოებს არაფერში სჭირდებათ, ევროკავშირში მიიღონ უზარმაზარი ტერიტორიისა და აგრარული რესურსების მქონე უკრაინა, რომელიც თავისი იაფი პროდუქციით მალევე გაბატონდება ევროპულ ბაზარზე.**

ან ვინმეს ჰგონია, რომ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს დაუჭერენ პოლონეთი და სლოვაკეთი, რომლებსაც მისთვის ფაქტობრივი ბლოკადა აქვთ გამოცხადებული და თავიანთ ბაზარზე უკრაინულ მარცვლეულს არ აჭაჭანებენ?!

რაც შეეხება საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, ეს საკითხი არანაირად არ არის დაკავშირებული უკრაინის თემასთან, თუმცა, ამის მიუხედავად, მინიმუმ, 10 წლის განმავლობაში, საქართველოს ევროკავშირში არ მიიღებენ, 10 წლის შემდეგ კი ევროკავშირი საერთოდ იარსებებს თუ არა, არავინ იცის!




**— ბოლო დროს დასავლურ პრესაში აქტიურად იწერება პრეზიდენტ ზელენსკისა და უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ზალუჟნის შორის არსებულ დაპირისპირებაზე, კიევის მოქმედი მერი ვიტალი კლიჩკო კი აცხადებს, რომ უკრაინა ავტორიტარიზმისაკენ მიექანება. თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ზელენსკის რეჟიმის დამხობა ძალისმიერი ან თუნდაც ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის გზით?**

— უკრაინის მმართველ ელიტაში არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ სისხლიანი დაპირისპირებაა გაჩაღებული! კერძოდ, მოკლულია რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი გენერალ ზალუჟნის გარემოცვიდან, რაშიც ზელენსკი და მისი გუნდი არიან ეჭვმიტანილი.

**მოსალოდნელია, რომ უკრაინის ხელისუფლების შიგნით არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო სასტიკ სახეს მიიღებს! ზელენსკის ხელისუფლების მოშორებით არამხოლოდ შიდა უკრაინული ძალები, არამედ ამერიკისა და დასავლეთის პოლიტიკური წრეებიც არიან დაინტერესებული, რაც მისი დამხობის ალბათობას ერთიორად ზრდის!**

**„შეერთებული შტატები ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ომში რუსეთთან მარცხი გაფორმდეს არა ბაიდენის ადმინისტრაციის, არამედ ზელენსკისა და მისი გუნდის ფიასკოდ!“**

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**მსოფლიო პოლიტიკის ორპირობა განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომმა გამოაჩინა.** ერთი მხრივ, **ერთმანეთს სანქციებს უწესებენ,** მეორე მხრივ, **ჩუმ-ჩუმად ვაჭრობენ და მერე სანქციების დარღვევაში ადანაშაულებენ ისეთ პატარა ქვეყნებს, როგორიც არის, მაგალითად, საქართველო.** ბოლო დროს გაირკვა, რომ **მთელი ომის განმავლობაში უკრაინა და რუსეთი ჩუმად ვაჭრობენ.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი მუზრონიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



არ გაგიკვირდეთ, რომ **ტრამპმა** რუსეთ-უკრაინის ომი **ბირთვული იარაღის მუქარით** დაამთავროს. დიახ, **ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან** და დღემდე ყიდულობს რუსულ პროდუქტს.

„კვირის პალიტრა“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



**უკრაინა** ცნობილია, როგორც **ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა მსოფლიოში** — არ მსურს უკრაინის საკითხზე შეთანხმების მიღწევა, მაგრამ სხვა საკითხებზე სრულად მზად ვარ.

„ინტერპრესნიუსი“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**უკრაინის დახმარებაზე უარის თქმა** აბსოლუტური სიგიჟეა — თუ ჩვენ **უკრაინას დაფინანსებას ვერ მივაწოდებთ,** მაშინ შეგვიძლია მათ მარცხზე პასუხისმგებლობა ავიღოთ.

„ინტერპრესნიუსი“

# კლიჩკოს აპერკოტი

## კიევის მოკრივე მერმა ზელენსკის რეჟიმი პოლიტიკურ ნოკდაუნში ჩააგდო!



***პოლიტიკური მატრაკვეცებისათვის, რომლებსაც საქართველოში ზელენსკი-არახამიას ფანკლუბი აქვთ გახსნილი, უკრაინულ დროშას აფრიალებენ და ერთმანეთს „გამარჯობის" მაგივრად „სლავა უკრაინეს" ეუბნებიან, ძალიან ცუდი ამბავი გვაქვს: კიევის მოქმედმა მერმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ უკრაინის ხელისუფლება ავტორიტარიზმისკენ მიექანება!***


Кличко заявил, что Украина движется к авторитаризму – Der Spiegel

КАТЕРИНА ТИЩЕНКО — СУББ

УКРАИНСКАЯ ПРАВДА

კერძოდ, უკრაინის დედაქალაქის თავკაცმა, რომელიც ვეტერანი მოკრივე და სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია, გერმანულ გამოცემა **„შპიგელთან"** ინტერვიუში ისაუბრა იმის შესახებ, რომ უკრაინაში დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები თითქმის არ არსებობს და ქვეყანა ავტორიტარიზმისკენ მიიწევს:

***„რაღაც მომენტში აღარ ვიქნებით განსხვავებული რუსეთისაგან, სადაც ყველაფერი ერთი ადამიანის ახირებებზეა დამოკიდებული. ახლა უკრაინაში მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტიტუტი არსებობს — ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგრამ მასზე დიდი ზეწოლაა!"***

უკრაინაში დამოუკიდებელი ინსტიტუტები რომ აღარ არსებობენ, ხოლო **ზელენსკის რეჟიმმა** ყველა კრიტიკული მედიასაშუალება დახურა, ოპოზიციურ პარტიებს პოლიტიკური საქმიანობა აუკრძალა და მათი ლიდერები ციხეში ჩაყარა ან შინაპატიმრობაში აიყვანა, ეს ისედაც საყოველთაოდ არის ცნობილი, თუმცა, სულ სხვა ძალა და ფასი აქვს, როცა უკრაინის ხელისუფლების ავტორიტარულ ვნებებს კიევის მოქმედი მერი ამხელს.

თანაც, **ვიტალი კლიჩკო** უკრაინაში ნამდვილად არ არის უმნიშვნელო პოლიტიკური ფიგურა; იგი, როგორც ახლო წარსულში წარმატებული სპორტსმენი, უკრაინელ ხალხში პატივისცემით სარგებლობს და კარგად იცნობენ ევროპაშიც, რომელსაც მისი საკრივო კარიერის დიდი ნაწილი უკავშირდება.




გერმანულ „შპიგელთან" ინტერვიუში კიევის მერი იმის შესახებაც საუბრობს, რომ ომის პირველ თვეებში უკრაინა ლიდერის გარეშე იყო დარჩენილი, სახელმწიფოში აშკარა ქაოსი სუფევდა და ქმედით როლს მხოლოდ მერები ასრულებდნენ, რომლებიც სამხედროებსა და ხალხს ქალაქების დაცვაში ეხმარებოდნენ. **კლიჩკო** იქვე აღნიშნავს, რომ უკრაინის პრეზიდენტის ოფისი ქალაქების მერებს განიხილავს, როგორც დაბრკოლებას „ძალაუფლების სტრუქტურების ცენტრალიზაციის", ანუ ხელისუფლების უზურპაციისა და ავტორიტარული რეჟიმის დამყარების გზაზე.

**საინტერესოა, რა გუნებაზე არიან ზელენსკის ქართული ფან-კლუბისა თუ ფუნ-კლუბის წევრები კლიჩკოს ამ განცხადებების კვალდაკვალ?**

მაგალითად, **რას ფიქრობს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილსა** და „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძეს** დახურულ შეხვედრაზე განუცხადა — **ხომ ხედავთ, ზელენსკი გმირია და თქვენ რას აპირებთო?**

**ვინ უკეთ იცის ზელენსკის „გმირობის" ამბები — სალომე ზურაბიშვილმა თუ კიევის მოქმედმა მერმა ვიტალი კლიჩკომ?**

საიდან უკეთესად ჩანს ზელენსკის რეჟიმის საქმიანობა და უკრაინის დღევანდელი მდგომარეობა — **საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციიდან და ნაცმოძრაობის ოფისიდან თუ უკრაინის დედაქალაქის მერის კაბინეტიდან?**

**ვიტალი კლიჩკომ** „შპიგელთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ **უკრაინაში ომის დაწყების დროს პრეზიდენტ ზელენსკის არც შეხვედრია და მასთან არც ტელეფონით უსაუბრია,** ხოლო ჟურნალისტის კითხვაზე — **არის თუ არა სერიოზული საფრთხის წინაშე უკრაინული დემოკრატია?** — უპასუხა: **„დიახ!"**

ერთი სიტყვით, ყოფილმა მოკრივე **ვიტალი კლიჩკომ** ზელენსკის რეჟიმს პოლიტიკური აპერკოტი უთავაზა და პოლიტიკურ ნოკდაუნში ჩააგდო!

**კიევის მოქმედი მერის მოქნეული პოლიტიკური აპერკოტი, ცხადია, ქართველ ზელენსკელებსაც მოხვდათ, თუმცა, ნაკლებად გვჯერა, რომ ეს დარტყმა მათ გამოაფხიზლებს და ნაცლიბერალი „სლავაუკრაინელები" გონს მოეგებიან!**

ასეა თუ ისე, უკრაინაში ავტორიტარიზმის მყარი სუნი ტრიალებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უკრაინას დღეს **ზელენსკი-არახამიას რეჟიმის** სახით **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის** პოლიტიკური ტყუპისცალი მართავს!

იმედია, **ვიტალი კლიჩკოს** მიერ გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში გამოთქმული ოპტიმისტური ვარაუდი გამართლდება და უკრაინელი ხალხი საკუთარ ქვეყანაში ავტორიტარიზმის ბოგინს აღკვეთს **ისევე, როგორც ქართველმა ხალხმა დაუსვა წერტილი საქართველოში ზელენსკი-არახამიას რეჟიმის ტყუპისცალის — სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის პარპაშს!**

***ჯაბა ხუბუა***

# კლიჩკოს მოქნეული ქართველ ზელენსკელებსაც მოხვდათ!

### კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**
*„ჯიპას" პროფესორი*



სიმართლეს თვალებში შევხედოთ, **რუსეთი აკონტროლებს მსოფლიოს ნავთობის ბაზრის მნიშვნელოვან წილს** და ეს წილი უცბად რომ ამოვარდეს, **მსოფლიო ბაზარზე ნავთობის სერიოზული დეფიციტი შეიქმნება და ფასებიც ზემოთ ავარდება,** რაც მსოფლიო ეკონომიკისთვის კატასტროფა იქნება. შესაბამისად, **რუსეთის ნავთობი იყიდება და ეს არის ამ სანქციების პრობლემა.**

„კვირის პალიტრა"

**ალექსეი არესტოვიჩი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი*



დასავლეთი მზადაა, **ჩვენი მიწების ნაწილი გაწიროს,** ოღონდ არ დაირღვეს წონასწორობა და **რუსეთი სრულად არ დაექვემდებაროს ჩინეთს** — გასაგები მიზანია, მაგრამ **უკრაინელების სისხლის ფასად ამის მიღწევა ცინიზმია.**

„იმედინიუსი"

**დავით არახამია**
*უკრაინის მმართველი ფრაქცია „ხალხის მსახურის" თავმჯდომარე*



2024 წელს უკრაინაში **არც საპრეზიდენტო, არც საპარლამენტო და არც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები** არ იქნება.

„რეზონანსი"

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



დავით არახამია ქართულ **პოლიტიკაში გადმოსასვლელად ემზადება,** 2024 წლის საქართველოს **საპარლამენტო არჩევნების პროცესში უნდა გააქტიურდეს.**

„საერთო გაზეთი"

# «ჯორჯიან ეარვეისის» ზამთრის სეზონის ფრენების განრიგი




**+995 32 211 12 20**

**georgian-airways.com**

**აღნიშნული განრიგის მოქმედება ვრცელდება 2024 წლის 28 მარტამდე!**

| დღე | მიმართულება | გაფ-რენა | მოფ-რენა |
|---|---|---|---|
| ორშაბათი Monday | თბილისი (Tbilisi)- ამსტერდამი(Amsterdam) | 06:45 | 08:40 |
| | ამსტერდამი(Amsterdam) - თბილისი(Tbilisi) | 10:20 | 17:50 |
| | თბილისი(Tbilisi)-მიუნხენი (Munich) | 11:40 | 12:35 |
| | მიუნხენი(Munich)- -თბილისი ( Tbilisi ) | 13:35 | 20:20 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi ) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი ( Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 21:25 | 23:25 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 06:00 | 09:30 |
| | თბილისი (Tbilisi )-თელ ავივი (Tel-Aviv) | 18:20 | 18:55 |
| | თელ ავივი (Tel-Aviv)-თბილისი(Tbilisi) | 19:55 | 00:25 |
| | თბილისი (Tbilisi)-ლარნაკა (Larnaca) | 12:30 | 12:40 |
| | ლარნაკა(Larnaca) - თბილისი (Tbilisi ) | 13:40 | 17:30 |
| სამშაბათი Tuesday | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 23:15 | 01:15 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi) | 05:40 | 09:30 |
| | თბილისი (Tbilisi)-პარიზი (Paris) | 12:00 | 14:00 |
| | პარიზი ( Paris) -თბილისი ( Tbilisi ) | 15:00 | 22:30 |
| | თბილისი (Tbilisi )-თელ ავივი (Tel-Aviv) | 18:40 | 20:20 |
| | თელ ავივი (Tel-Aviv)-თბილისი(Tbilisi) | 21:20 | 00:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-ლარნაკა (Larnaca) | 13:55 | 14:10 |
| | ლარნაკა(Larnaca) - თბილისი (Tbilisi ) | 15:10 | 19:00 |
| | თბილისი (Tbilisi )-მილანი ( Milan ) | 11:45 | 12:55 |
| | მილანი ( Milan )-თბილისი ( Tbilisi ) | 13:55 | 20:55 |
| ოთხშაბათი Wednesday | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 22:20 | 00:20 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi) | 06:00 | 09:30 |
| | თბილისი (Tbilisi)-სანქტ-პეტერბურგი ( SaintPetersburg) | 00:40 | 03:25 |
| | სანქტ-პეტერბურგი ( SaintPetersburg) -თბილისი(Tbilisi) | 04:55 | 09:30 |
| | თბილისი (Tbilisi)- ამსტერდამი(Amsterdam) | 06:40 | 08:40 |
| | ამსტერდამი(Amsterdam) - თბილისი(Tbilisi) | 10:20 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi )-თელ ავივი (Tel-Aviv) | 19:00 | 19:45 |
| | თელ ავივი (Tel-Aviv)-თბილისი(Tbilisi) | 21:10 | 01:40 |
| | თბილისი (Tbilisi )-ნიცა (Nice) | 11:15 | 12:50 |
| | ნიცა (Nice) - თბილისი (Tbilisi ) | 13:50 | 21:05 |
| | თბილისი (Tbilisi)-ლარნაკა (Larnaca) | 13:55 | 14:10 |
| | ლარნაკა(Larnaca) - თბილისი (Tbilisi ) | 15:10 | 19:00 |
| | თბილისი (Tbilisi)-ბერლინი ( Berlin ) | 11:40 | 13:00 |
| | ბერლინი ( Berlin ) - თბილისი (Tbilisi) | 14:00 | 20:50 |

| დღე | მიმართულება | გაფ-რენა | მოფ-რენა |
|---|---|---|---|
| ხუთშაბათი Thursday | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 20:15 | 22:35 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi) | 06:00 | 09:50 |
| | თბილისი (Tbilisi)- ვენა (Vienna) | 13:00 | 13:45 |
| | ვენა (Vienna) - თბილისი (Tbilisi) | 14:45 | 21:05 |
| | თბილისი (Tbilisi)-ლარნაკა (Larnaca) | 13:55 | 14:10 |
| | ლარნაკა(Larnaca) -თბილისი (Tbilisi) | 15:10 | 19:00 |
| | თბილისი (Tbilisi )-თელ ავივი (Tel-Aviv) | 07:05 | 07:40 |
| | თელ ავივი (Tel-Aviv)-თბილისი(Tbilisi) | 08:40 | 13:10 |
| | თბილისი(Tbilisi)-მიუნხენი (Munich) | 11:40 | 12:35 |
| | მიუნხენი(Munich) -თბილისი ( Tbilisi ) | 13:35 | 20:20 |
| პარასკევი Friday | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 23:15 | 01:15 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi) | 06:00 | 09:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-პარიზი (Paris) | 12:00 | 14:00 |
| | პარიზი ( Paris) -თბილისი ( Tbilisi ) | 15:00 | 22:30 |
| | თბილისი (Tbilisi )-თელ ავივი (Tel-Aviv) | 06:25 | 07:05 |
| | თელ ავივი (Tel-Aviv)-თბილისი(Tbilisi) | 08:05 | 12:35 |
| | თბილისი (Tbilisi )-მილანი ( Milan ) | 11:45 | 12:55 |
| | მილანი ( Milan )-თბილისი ( Tbilisi ) | 13:55 | 20:55 |
| | თბილისი (Tbilisi)-ლარნაკა (Larnaca) | 12:30 | 12:40 |
| | ლარნაკა(Larnaca) -თბილისი (Tbilisi) | 13:40 | 17:30 |
| შაბათი Saturday | თბილისი (Tbilisi)- ამსტერდამი(Amsterdam) | 06:40 | 08:30 |
| | ამსტერდამი(Amsterdam) - თბილისი(Tbilisi) | 10:20 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 22:20 | 00:20 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi) | 06:00 | 09:30 |
| | თბილისი (Tbilisi )-თელ ავივი (Tel-Aviv) | 21:00 | 21:35 |
| | თელ ავივი (Tel-Aviv)-თბილისი(Tbilisi) | 22:30 | 03:00 |
| | თბილისი (Tbilisi )-ნიცა (Nice) | 11:15 | 12:50 |
| | ნიცა (Nice) - თბილისი (Tbilisi ) | 13:50 | 21:05 |
| | თბილისი (Tbilisi)-ბერლინი ( Berlin ) | 11:40 | 13:00 |
| | ბერლინი ( Berlin ) - თბილისი (Tbilisi) | 14:00 | 20:50 |
| კვირა Sunday | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 11:00 | 13:00 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი(Tbilisi) | 14:00 | 17:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-მოსკოვი(Moscow) | 23:15 | 01:15 |
| | მოსკოვი (Moscow)-თბილისი (Tbilisi) | 06:00 | 09:50 |
| | თბილისი (Tbilisi)-პარიზი (Paris) | 12:00 | 14:00 |
| | პარიზი ( Paris) -თბილისი ( Tbilisi ) | 15:00 | 22:30 |
| | თბილისი (Tbilisi)- ვენა (Vienna) | 13:00 | 13:45 |
| | ვენა (Vienna) - თბილისი (Tbilisi) | 14:45 | 21:05 |
| | თბილისი (Tbilisi)-სანქტ-პეტერბურგი ( SaintPetersburg) | 00:40 | 03:25 |
| | სანქტ-პეტერბურგი ( SaintPetersburg) -თბილისი(Tbilisi) | 04:55 | 09:30 |
| | თბილისი(Tbilisi)-მიუნხენი (Munich) | 11:40 | 12:35 |
| | მიუნხენი(Munich) -თბილისი ( Tbilisi ) | 13:35 | 20:20 |
| | თბილისი (Tbilisi)-ლარნაკა (Larnaca) | 12:30 | 12:40 |
| | ლარნაკა(Larnaca) -თბილისი (Tbilisi) | 13:40 | 17:30 |




**გისურვებთ მშვიდობიან ფრენას!**

# თამაზ გაიაშვილი:
# მე, თამაზ გაიაშვილმა, ყველა ომი გამოვიარე და გახარიასთან ომსაც გამოვივლი!



***წინა კვირას საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, რომელმაც 2021 წლის 18 თებერვალს ხელისუფლებაში კინაღამ ნაცები მოატრიალა და ამერიკელების დავალებით მოულოდნელად გადადგა, ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ საფრენოსნო სამსახურის უფროსს თამაზ გაიაშვილს დაებდღვნა. გახარიამ გაიაშვილი რუსეთთან ფრენების აღდგენაში, სამთავრობო ჩარტერული რეისების შესრულებასა და ხელისუფლებასთან კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულა, რის შედეგადაც „ჯორჯიან ეარვეისს“ ვალები ჩამოეწერა. თამაზ გაიაშვილის განცხადებით, გიორგი გახარია მოღალატეა, რომელიც კუნძულ სახალინზე რომელიღაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის 35-ე მენეჯერად მუშაობდა და ამიტომ რუსეთის ხსენებაზე პირი უნდა გამოირეცხოს:***

— არ ვიცი, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ეს არაკაცი და მოღალატე **გიორგი გახარია** ვინ წარუდგინა და გააცნო, მაგრამ რაც ამ კაცმა 2020 წლის 25 მარტს, პანდემიის დროს გააკეთა, ეს იყო ქართული, ეროვნული ავიაკომპანიების განადგურების მცდელობა. მოგეხსენებათ, ამ დღეს მან მახვილი ჩაგვცა ზურგში და განაცხადა — თამაზ გაიაშვილმა ხალხის ხარჯზე ფულის გაკეთება გადაწყვიტაო! მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ სამოქალაქო ავიაციას მიაყენა. უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩენილი ეროვნული ავიაკომპანიისთვის გახარიას მთავრობას არანაირი დახმარება არ გაუწევია. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო მილიარდებით დაეხმარა საკუთარ ავიაგადამზიდველებს. მოგეხსენებათ, 2020 წლის 21 მარტიდან ჩვენ ფრენები შევწყვიტეთ და ვასრულებდით მხოლოდ ჩარტერულ რეისებს, რათა ჩვენი ხალხი საქართველოში შემოგვეყვანა. აი, ასეთ დროს პრემიერი გამოვიდა და მადლობის ნაცვლად ხალხის გატყავებაში დაგვდო ბრალი. ცხადია, ამით მან იაფფასიანი ქულები ჩაიწერა, თუმცა, ვხედავთ, დღეს რა მდგომარეობაშიც არის... არ მინდოდა, შევხებოდი და მეპასუხა, მაგრამ **გიორგი გახარიას,** ეტყობა, გამჩენი არ ასვენებს! მაგის ერთ-ერთი თანაგუნდელი გაიძახის — გაიაშვილს წარმოდგენა არა აქვს, ეროვნული სტატუსი რა არისო! მგონი, მაგათ „ბურატინოს თავგადასავალიც“ არა აქვთ წაკითხული...

**— გიორგი გახარიამ თქვენ რუსეთთან ფრენების აღდგენაშიც დაგადანაშაულათ!**

— თუ **გიორგი გახარიამ** არ იცის, რომ ორ სახელმწიფოს შორის საავიაციო მიმოსვლის საკითხი სცდება ავიაკომპანიის კომპეტენციას და წარმოადგენს სამთავრობო ხელშეკრულების საგანს, მაშინ პრემიერ-მინისტრის სავარძელში რა უნდოდა? **პირდაპირ გაოგნებული ვარ, მაგრამ რა უნდა გაგიკვირდეს მაშინ, როცა გახარიამ ბიძინა ივანიშვილს უღალატა?**



## „გახარიას მსგავსად, ზურაბიშვილიც მოღალატეა, ამიტომაც დანაპირებს ვასრულებ და ჩემი ავიაკომპანიით არ ვემსახურები!“

## ვინ იცნობდა საქართველოში გახარიას? მან თვითონაც არ იცის, რომელი ქვეყნის აგენტია!

კაცი მუშაობდა სადღაც სახალინზე, რომელიღაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის 35-ე მენეჯერად, ხოლო შემდეგ — რუსეთში გერმანული „ლუფტჰანზას“ წარმომადგენლობის მენეჯერად. ამის შემდეგ გახდა ის მინისტრი და პრემიერ-მინისტრი. ასეთი კაცი რუსეთის ხსენებაზე პირში წყალს უნდა ივლებდეს... გახარიამ ძალიან კარგად იცის, რომ ავიაკომპანია მხოლოდ ოპერატორია, რომელიც ხალხს ემსახურება და ახორციელებს მგზავრთა გადაადგილებას ნებისმიერი მიმართულებით — მათ შორის — რუსეთის, მაგრამ რას ბოდავს, თვითონაც არ იცის!

**— რაც შეეხება სამთავრობო ჩარტერულ ფრენებს, რაზეც გახარია ასევე გედავებათ, ამაზე რას იტყვით?**

— ეს საკითხიც სცდება ავიაკომპანიის კომპეტენციას. ამას ამომწურავი პასუხი გასცა სამთავრობო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, ვის კომპეტენციაშიც იგი შედის. **გახარიას ჩემს წინააღმდეგ არავითარი კომპრომატები არა აქვს, მაგრამ მის წინააღმდეგ კომპრომატები მე მაქვს და თუ დაკითხავზე გამომიძახებენ, დიდი სიამოვნებით მივცემ ჩვენებას!**

**— მაინც რა კომპრომატები გაქვთ?**

— საერთოდ, გიორგი გახარიას კომპეტენტურობა ჩემში ყოველთვის ეჭვს იწვევდა. მოვიტან ერთ სამწუხარო მაგალითს, რომელიც ავიაციის სფეროს შეეხება. გახარიამ, ჩემი ღრმა რწმენით, შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს ჩაიდინა სერიოზული დანაშაული. კერძოდ, გამოიჩინა გულგრილობა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, რაც გამოიხატა იმაში, რომ „პუმას“ ტიპის სასაზღვრო ვერტმფრენს, რომლის ღირებულებაც 25 მილიონ ევროს შეადგენდა, კანონის დარღვევით, საერთაშორისო დაზღვევის გარეშე მისცა ფრენების განხორციელების უფლება. ერთ-ერთი ასეთი გაფრენის დროს ვერტმფრენი ყვარლის მთებში ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ვერტმფრენი ჩამოწერეს. სახელმწიფომ და ხალხმა უზარმაზარი ზარალი ნახეს... სათქმელი სხვაც ბევრია, მაგრამ ამჯერად ამ ერთი ფაქტით შემოვიფარგლები.

**— გახარიამ თქვენ ასევე დაგადანაშაულათ ხელისუფლებასთან კორუფციულ გარიგებაში, რის გამოც თითქოსდა სახელმწიფომ ვალები უკანონოდ ჩამოგაწერათ!**

— ავიაკომპანია **„ჯორჯიან ეარვეისს“** სახელმწიფოს ვალი არასოდეს ჰქონია. რაც შეეხება სხვა ვალებს, მათი ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობას არ მიუღია. ეს გადაწყვეტილება კრედიტორთა საბჭომ მიიღო და სასამართლომ დაადასტურა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უნდა იცოდეს, რომ ვალების ჩამოწერის საკითხი მთავრობის კომპეტენციაში არ შედის, ხოლო თუ იცის და მაინც ამას ამბობს, ასეთ შემთხვევაში იგი პროვოკატორი და ცილისმწამებელია. მთელი ჩემი ცხოვრება ვემსახურე სამოქალაქო ავიაციასა და ხალხს. **მე, თამაზ გაიაშვილმა ყველა ომი გამოვიარე და გახარიასთან ომსაც გამოვივლი.** არც ბიზნესის დაწყებამდე და არც შემდეგ კორუფციასთან შეხება არ მქონია. მავანთაგან განსხვავებით, ქონება უცბად არ მიშოვია, ოცდაათ წელზე მეტია, ბიზნესში ვარ, ვშრომობ და ასე ვიშოვე. **მივმართავ მთავრობასა და პარლამენტს, შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის. მზად ვარ, მივცე ჩვენება და პასუხიც ვაგო ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ**

## თუ გახარიასა და მისი პარტიის მიერ წამოყენებული ბრალდება არ დადასტურდება, ასეთ შემთხვევაში მათ აგონ პასუხი ცილისწამებისა და ცრუ დასმენების გამო!

**— სალომე ზურაბიშვილს შეურიგდით?**

— სალომე ზურაბიშვილს არც ვემდური და არც ვურიგდები! **გახარიას მსგავსად, სალომე ზურაბიშვილიც მოღალატეა,** ამიტომაც დანაპირებს ვასრულებ და ჩემი ავიაკომპანიით არ ვემსახურები!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*

ეკონომიკა რომ იზრდება, **რატომ მიდის ის 20-25 ოჯახის ჯიბეში?** ყველას ყველაფერი მოეკითხება.

„აიპრესი“



**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*

„ქართული ოცნება“ **პოლიტიკიდან არ გაქრება.** მომავალ პარლამენტში შეიძლება, **ოპოზიციური მანდატები მცირე იყოს,** მაგრამ ქვეყნის მმართველობაზე გავლენას მოახდენს.

„ახალი თაობა“



**ია მეტრეველი**
*მოკლული ბუტა რობაქიძის დედა*

**ნაცების დაბრუნების ბოლო შანსი ომია, ომი კი არ იქნება.** ენით აღუწერელი ტრაგედია დაატრიალეს **ვაზაგაშვილების** ოჯახში — **მამა დააკლეს ზედ შვილის საფლავს!** მსგავსი ბოროტების შესახებ თუ გსმენიათ, თუ გაგიგიათ? ასევე მოიშორეს **ირინა ენუქიძე** და **ჩემი მოშორებაც უნდოდათ,** მაგრამ ისე მოხდა, რომ მე გამაფრთხილეს და გადავრჩი.

„საერთო გაზეთი“



**დავით ოქიტაშვილი**
*საქართველოს კულტურის პალატის თავმჯდომარე*

წლების წინ ნაციონალურმა მოძრაობამ კულტურის სამინისტროდან გამომაგდო. **მას შემდეგ, რაც მათ ზურაბ ჟვანია მოკლეს, ჩემი ამ ადამიანებთან ურთიერთობა დამთავრდა.** პროექტიც ჩამომართვეს, **ჩემი ვარსკვლავები მიწიდან ამოყარეს და თავიანთი „ვარსკვლავები“ ჩაყარეს.** ხშირად მეკითხებიან, **რატომ არის ზოგან სხვანაირი ფორმის ვარსკვლავი?** სწორედ, ამიტომაც არის!

„საერთო გაზეთი“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*

**სალომე ზურაბიშვილმა** პარტია რომ შექმნას, **5 პროცენტს ვერ გადალახავს.**

„ახალი თაობა“

*როგორც იქნა, მრავალთვიანი იწილო-ბიწილო დასრულდა და ნიკანორ მელია ნაციონალური მოძრაობიდან ოფიციალურად წავიდა. პარალელურად, პარტიას ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები სამეგრელოში, აჭარაში, კახეთსა და შიდა ქართლში... მოკლედ, ნაცმოძრაობა ისეთი ტემპით იშლება, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, შესაძლოა, პარტიაში ლევან ხაბეიშვილისა და ჭიჭე ვაშაძის გარდა აღარავინ დარჩეს. სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრებით ანალიტიკოს ლევან ნიკოლეიშვილს:*

## „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაცები მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსსაც დაკარგავენ!“



## ლევან ნიკოლეიშვილი:

# ნაციონალურ მოძრაობაში ჩასაძირად განწირული ხომალდიდან ვირთხების გაქცევის პროცესი მიმდინარეობს!

# გამოცხადებული



ბათუმი: ნაციონალური მოძრაობიდან წასულები!



ზუგდიდი: ნაციონალური მოძრაობიდან წასულები!

— ნაციონალური მოძრაობის დაშლის პროცესი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მისი ერთადერთი რეალური ლიდერი — მიხეილ სააკაშვილი საქართველოდან გაიქცა და უკრაინელი ჩინოვნიკი გახდა. იქიდან მოყოლებული, ნაცპარტიის დაშლის მთავარი ფაქტორი სწორედ სააკაშვილი და მისი ყოვლად უღირსი ქმედებები გახლავთ!

**— კონკრეტულად, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ნაციონალურ მოძრაობას კარგი დღე რომ არ დაადგებოდა, ეს აშკარა გახდა მაშინ, როცა სააკაშვილი სამარცხვინო ფორმით — ტრაილერის კონტეინერში არაჟნის ყუთებთან ერთად დამალული შემოიპარა საქართველოში, დაპატიმრების შემდეგ კი თაღლითური „სასიკვდილო შიმშილობა“ გამოაცხადა, ხბოს ღვიძლის პაშტეტისა და ხილფაფების მირთმევის ფონზე. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ უცხოელი ლობისტების მეშვეობით ლამის მთელი მსოფლიოააყვირეს — არიქა, სააკაშვილს ციხეში კლავენო და დიარეით დაწყებული, დემენციით დამთავრებული, ყველანაირი დიაგნოზი დაუსვეს **დაქირავებულმა ექიმ-ექსპერტებმა,** მაგრამ, როგორც დღეს ვხედავთ, ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუე იყო და სააკაშვილი მთელი ერთი წლის განმავლობაში სიმულანტობით გახლდათ დაკავებული.



როცა ლიდერი ასე უღირსად და სამარცხვინოდ იქცევა, ცხადია, მისი პარტიის კრახიც გარდაუვალია და დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ჩასაძირად განწირული ხომალდიდან ვირთხების გაქცევის პროცესი მიმდინარეობს!

**— როგორ ფიქრობთ, ნიკა მელიასა და მის მხარდამჭერებს, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობა დატოვეს, არჩევნებში რაიმე წარმატების მიღწევის შანსი აქვთ?**

— არც მელია და არც მისი თანამოაზრეები, რომლებმაც ნაცმოძრაობა დატოვეს, ნაცმოძრაობაში დარჩენილი ხაბეიშვილისა და სხვებისაგან არაფრით განსხვავდებიან! რა მიზეზით წავიდა მელია ნაცებიდან? პარტიის სისხლიან წარსულს გაემიჯნა, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები დაგმო და ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადა იმის გამო, რომ წლების განმავლობაში კრიმინალური რეჟიმის შემქმნელთა გვერდით იდგა? არამც და არამც! **მელია და მისი მიმდევრები ნაცმოძრაობიდან მხოლოდ იმიტომ წავიდნენ, რომ პარტიის შიგნით ძალაუფლება და გავლენა დაკარგეს!**

საერთოდ, ნაციონალური მოძრაობის მთავარი პრობლემა ის არის, რომ დამარცხებისა და ხელისუფლების დაკარგვის მიზეზები ვერ გააანალიზა და საკუთარ შეცდომებზე ჭკუა ვერ ისწავლა! არცერთ ნაციონალს არ ეყო სინდისი და ღირსება, რომ ჩადენილი დანაშაულები მოენანიებინა და ქართველი ერის წინაშე ბოდიში მოეხადა!

ასე რომ, **არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ნაცმოძრაობიდან წასულები რა სახელს დაირქმევენ, რადგან შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება!** მელია და მისი მიმდევრები, რომლებიც ნაცბანდიდან მხოლოდ იმიტომ წავიდნენ, რომ ხაბეიშვილი არ მოსწონთ, თავიანთი არსით კვლავ ნაცებად რჩებიან და სადაც არ უნდა იყვნენ, ყველგან ნაცები იქნებიან, რის გამოც მათ წარმატების არანაირი შანსი არ გააჩნიათ!

**— პატიმრობაში მყოფი სააკაშვილი რამდენად შეძლებს, ნაციონალური მოძრაობის რღვევისა და საბოლოო პოლიტიკური დასამარების პროცესი შეაჩეროს?**

— სააკაშვილს, რომელმაც

## „მელია და მისი მიმდევრები, რომლებიც ნაცბანდიდან მხოლოდ იმიტომ წავიდნენ, რომ ხაბეიშვილი არ მოსწონთ, თავიანთი არსით კვლავ ნაცებად რჩებიან და სადაც არ უნდა იყვნენ, ყველგან ნაცები იქნებიან!“

## კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



მაშასადამე, მივდივარ? **დიახ, მივდივარ წინ მომავლისკენ და წარსულს ვტოვებ წარსულში.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით დარჩიაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



ოპოზიციის დღევანდელი მდგომარეობა **„ქართულ ოცნებას“ საქმეს ძალიან უადვილებს.** თუ ოპოზიცია არ გამოფხიზლდება, მმართველ პარტიას დიდი შრომა არ დასჭირდება, რომ **არჩევნებში მორიგ ჯერზე გაიფორმოს გამარჯვება,** ყოველგვარი თვალსაჩინო და დიდი დარღვევების გარეშე.

„ახალი თაობა“

**შოთა მალაშხია**
*„თამბაქო საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*



მოხარული ვარ, რომ **პოლიტიკური ჭაობის წიაღში დაიწყო ჯანსაღი ძვრები** — ვიმედოვნებ, **ნიკა მელიას** მიერ შექმნილი მოძრაობა ბიძგი იქნება, წერტილი დაესვას ამომრჩევლის შეურაცხყოფას.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ნაციონალური მოძრაობა დასუსტდა,** მისი განხილვა, როგორც ერთადერთი ოპოზიციური ძალის, უკვე აბსურდია — **ნიკა მელიას** ის თვისებები აქვს, რომლებიც პოლიტიკას ძალიან სჭირდება.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



რამდენიც არ უნდა ეცადოს რუსი ოლიგარქი **შიდა მტრობის და შუღლის გაღვივებას,** დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან **არჩევნებში ჩვენ მას დავამარცხებთ!**

„ინტერპრესნიუსი“

საკუთარი თანაპარტიელები და მხარდამჭერები ,,გადააგდო“, არანაირი პოლიტიკური და მორალური ძალა აღარ შესწევს, ნაცმოძრაობის დაშლის პროცესი შეაჩეროს!

**— სააკაშვილის მიერ საკუთარი მომხრეების „გადაგდებაში“ რას გულისხმობთ?**

— გაიხსენეთ, როგორ იხვეწებოდა სააკაშვილი — ოღონდ ციხიდან გამიშვით და ქართული პოლიტიკისაკენ აღარასოდეს გამოვიხედავო! ამით საკუთარი სექტის წევრებს, რომლებიც იმედის თვალით შეჰყურებდნენ და მხსნელად აღიქვამდნენ, უთხრა — მე მხოლოდ ჩემი თავი მანაღვლებს, თქვენ კი კისერიც გიტეხიათო. სწორედ ასეთი საქციელების გამო, სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრებულია და თავის პარტიაშიც კი აღარავის სჭირდება! და კიდევ:

**აუცილებელია, სააკაშვილმა სასჯელი ციხეში მოიხადოს და არა – კლინიკის**

# „ნაცპარტიის დაშლის მთავარი ფაქტორი მიხეილ სააკაშვილი და მისი ყოვლად უღირსი ქმედებები გახლავთ!“



არამედ სხვა უკადრებელი რამეებიც იკადრა და დაამტკიცა, რომ პოლიტიკური სინდის-ნამუსის ნატამალი არ გააჩნია!

სხვათაშორის, პირადად მე სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტად არ ამირჩევია... რა თქმა უნდა, **გრიგოლ ვაშაძისათვის** არ მიმიცია ხმა, მაგრამ არც ზურაბიშვილი შემომიხაზავს, რადგან მისი პოლიტიკური კამპანია თავიდანვე ტყუილებზე იყო აგებული. კერძოდ, აცხადებდა, რომ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა მისი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის, დამსახურება გახლდათ, მაგრამ ამ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი და კარგად ვიცი, რომ რუსული ბაზების გაყვანაში ზურაბიშვილის წვლილი 1 პროცენტიც არ იყო. გარდა ამისა, მან რამდენჯერმე დააბრალა საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყება, რის გამოც უშვერი სიტყვებით აგინებდა და რეზიდენტს ეძახდა ის ხალხი, რომელიც დღეს ხელზე ეამბორება.

რაც ყველაზე სავალალოა,

**პრეზიდენტად გვიზის ყოვლად უღირსი პოლიტიკოსი,**

# ნაცდაშლის ქრონიკა...



ხობი: ნაციონალური მოძრაობიდან წასულები!



კასპი: ნაციონალური მოძრაობიდან წასულები!

**ლუქს-პალატაში, სადაც ყოფილი ცოლები თუ მოქმედი საყვარლები ეხვევიან თავზე!**

**— ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოფიციალურად გადავიდეს ოპოზიციაში და საკუთარი პოლიტიკური ძალა შექმნას, რომლითაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. თქვენი მოლოდინი როგორია?**

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ სააკაშვილის შემდეგ კიდევ ვინმე გაგვაოცებდა თავისი უღირსობით, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა ეს შეძლო! მან არამხოლოდ თავის ამომრჩეველსა და იმ გუნდს უღალატა, რომელმაც პრეზიდენტი გახადა,



**რომელიც დღევანდელი საქართველოს ყველაზე დიდი მონაპოვრის – მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ ილაშქრებს და მაქსიმალურად ცდილობს, ქვეყანა რუსეთთან ცხელი კონფრონტაციის ახალ ფაზაში გახვიოს!**

**— ყოველივე ამის გათვალისწინებით, რა პერსპექტივა შეიძლება, ჰქონდეს სალომე ზურაბიშვილს, თუ იგი ოპოზიციურ ძალას შექმნის და საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას?**

— გააჩნია, რომელ პოლიტიკურ ჯგუფს მიეტმასნება ან თავად ვის დაიყენებს გვერდში... ნებისმიერ შემთხვევაში,

**მაქსიმუმი, რასაც შეიძლება, სალომე ზურაბიშვილმა მიაღწიოს, 5-პროცენტიან საარჩევნო ბარიერზე გადაჩოჩებაა.**

**— დაშლის პროცესში მყოფი ნაცმოძრაობის საარჩევნო შანსებს რაც შეეხება?**

— ნაცმოძრაობას იმდენი ამომრჩეველი მაინც შერჩება, რომ 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს და პარლამენტში რამდენიმე მანდატი მოიპოვოს, გამარჯვებაზე საუბარი კი, უბრალოდ, ზღაპარია. ის კი არა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაცები მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსსაც დაკარგავენ!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

# „ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ სააკაშვილის შემდეგ კიდევ ვინმე გაგვაოცებდა თავისი უღირსობით, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა ეს შეძლო!“

## კვირგვინოსნები

**ლალი მოროშკინა**
*პროფესორი, პოლიტოლოგი*



**სააკაშვილმა** იცის, **როგორც კი ციხიდან გარეთ გამოვა, მას მოკლავენ.** კულუარული ინფორმაციით ვიცი, **მიშა ითხოვს — ციხიდან არ გამიშვათო.**

„საერთო გაზეთი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



დღეს **ნაციონალური მოძრაობა** არ წარმოადგენს ისეთ სერიოზულ ძალას, რომ მის დამარცხებაზე ვინმე ზრუნავდეს. **1-პროცენტიანმა პარტიებმა გამარჯვებისთვის რა სტრატეგია უნდა შეიმუშაონ?!** ეს არარეალურია. უფრო მეტსაც გეტყვით — ტყუილად გვგონია, რომ მათ მართლა უნდათ არჩევნებში გამარჯვება... **ოპოზიციაში ყოფნითაც იღებენ ფულს ბიუჯეტიდან,** 24 საათი ტელეეთერში არიან, რაში სჭირდებათ ხელისუფლებაში ყოფნა.

„კვირის პალიტრა“

**ანი წითლიძე**
*ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*



**ნიკა მელიამ** თქვა, რომ ის პარტიაში დარჩენას არ აპირებდა და **ამ პარტიისგან ფერფლს დატოვებდა,** ამიტომ მოგვივიდა კონფლიქტი.

„რეზონანსი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**გვარამია** ჭკუიდან გადასულ **სააკაშვილს** ღმერთად აცხადებდა, ხოლო დედამიწას — ბრტყლად, რომ **იმას სამსახურიდან არ გაეგდო და ბევრი მაღალქუსლიანი ძვირფასი ბოტასი ეყიდა.**

„პირველი არხი“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



ნაცმოძრაობა **როგორც კი დასრულდება,** „ქართული ოცნებაც“ **მაშინვე დამარცხდება!**

„ახალი თაობა“

# „ᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲬᲔᲕᲐ!“

## ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ:

## ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲮᲕᲓᲐ ᲑᲐᲓᲠᲐᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲐᲓᲘᲐᲢᲝᲠᲖᲔ ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲪᲔᲛᲐ!



***მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრემიერმა, პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ საზოგადოებას შავი სიის შესახებ ამცნო, „ჰეროკრატიის“ ერთ-ერთი გმირი, ყოფილი პოლიტპატიმარი და პუბლიცისტი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ აღშფოთებას ვერ მალავს:***

— ჯერ კიდევ როდის ვთქვი **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲖᲔ,** ნაცია-მეთქი. მაშინ ის ეკონომიკის მინისტრი გახლდათ და ჩემი განცხადება დაუჯერებლად ჟღერდა, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი ნათელი გახდა. დღეს **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** გაკოტრებული პოლიტიკოსია და აღარ იცის, რითი მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. ოდნავაც რომ დაფიქრებულიყო, შავი სიის შედგენას არ დაიწყებდა, რადგან ამ სიაში წამყვან პოზიციაზე თავად არის!

აცხადებს, 20-25 კაცია, ვინც ქვეყანას ყვლეფსო. მართლაც რომ იყვნენ ასეთი ადამიანები, ამის შესახებ ახლა უნდა ეთქვა? მას ეს ინფორმაცია ეკონომიკის მინისტრობის დროსაც ექნებოდა, პრემიერ-მინისტრობის დროსაც და მაშინაც, როდესაც სხვის შვილებს თვალებს თხრიდა. **ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲦᲘᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲖᲔ ᲛᲝᲡᲠᲝᲚᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ!** პირადად ჩემს ტყავზე მაქვს გამოცდილი მისი უნამუსობა. ის, **ᲠᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲚᲝ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲛᲐᲢᲐ.** ერთხელ სააკაშვილის რეჟიმმა დამიჭირა, მეორედ — გახარიამ.

**— მოდით, შევახსენოთ საზოგადოებას, რაში სდებთ ბრალს გახარიას?!**

— მისი მინისტრობის დროს ვამხილე პროკურატურა, რომელმაც **ᲒᲐᲒᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲫᲔ** მხოლოდ 3 წლით და 6 თვით დაიჭირა და მერე დეველოპერად მუშაობდა. ასევე ვამხილე **ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და ბევრი სხვა „ოცნებაში“ შეპარული ნაცი, რის გამოც გახარიამ ჩემზე შურისძიება გადაწყვიტა. მიზეზად ძალოვან სტრუქტურასთან ჩემი კონფლიქტი გამოიყენა — ერთ-ერთი მოქალაქე დავიცავი, რომელიც პოლიციის მიერ იჩაგრებოდა. მეორე დღესვე **ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲛᲔᲛᲣᲥᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲫᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲔ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲖᲔ ᲕᲧᲐᲕᲓᲘ ᲛᲘᲑᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲤᲐᲠᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ.** სხვათაშორის, თავიდან არც ვანო მერაბიშვილს დაუწყია პირდაპირ ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტა. თანდათან შევიდა აზარტში. კიდევ კარგი, რომ პრემიერობას დროულად ჩამოაცილეს, მერე გეთვალათ დათხრილი თვალები.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** რუსული მეთოდებით უპირისპირდებოდა ყველას და, მათ შორის, მეც. „კაგებეს“ სკოლის გაზრდილია და ცხადია, მისი ხელწერა აქვს. ჩვეულებრივი რუსეთის აგენტია, რომელსაც დღემდე აქვს იქ ბიზნესი. კანონი რომ არ ჩავარდნილიყო, ვინ როგორ და საიდან ფინანსდება, დღეს სხვებთან ერთად გახარიაც იქნებოდა მხილებული, მეტიც, საქართველოს მტრად წარმოჩინდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდები გამოიყენეს იმისთვის, რომ საზოგადოებას ჩვენი მტრების რეალური სახე არ სცოდნოდა.

თურმე, ორ წლის წინ ოლიგარქი არ არსებობდა და მისი პრემიერობიდან წასვლის შემდეგ აღმოცენდნენ სოკოებივით. გახარია რასაც ამბობს, მისიანებიც აღარ იჯერებენ, თუმცა, ზუსტად ვიცი, ვინ არიან ოლიგარქები და შავი სიის კანდიდატები!

**— მაინც, ვინ?**

— დადასტურებულად გეტყვით ორ ოლიგარქს — **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ.** თუ მაგარი ბიჭია გახარია, ესენი დაასახელოს, რატომ არაფერს ამბობს მათზე?! იმიტომ ხომ არა, რომ ერთ ნავში სხედან?! **ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** საქართველოს მიერ შეძენილ უკრაინულ-ამერიკულ იარაღს კოლუმბიურ დაჯგუფებაზე ჰყიდდა, რომელიც ამერიკას ტერორისტულ ორგანიზაციად ჰქონდა გამოცხადებული. თავის მხრივ, კოლუმბიური ორგანიზაცია იარაღს აწვდიდა ირანს, ჰამასს და „ჰესბოლას“. **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ** და **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ** ყველაფერი გაუტარეს გარდა ამისა, თუმცა, ეს უკანასკნელი გადარჩა იმით, რომ ებრაელი იყო. აი, ეს ადამიანი დღეს საქართველოში ამ გზით ნაშოვი ფულით აფინანსებს იდიოტებსა და ქვეყნის მტრებს, მათ შორის, „ტვ პირველს“, „მთავარ არხს“ და ა.შ.

სად იყო გახარია და კეზერაშვილი, მამუკა ხაზარაძე ხალხს რომ ყვლეფდა და აშწარებდა?! იმ კაცის ადამიანობა და ქართველობა რა ვთქვი, მერაბ კოსტავასთან კონფლიქტში რომ შევა? **ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲡᲘᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲯᲝᲑᲜᲘᲡ!**

**— მიხეილ სააკაშვილი ვერ მოხვდა ამ სიაში?**

— ის ცოცხალთაგან ნომერი პირველი მოღალატეა! **ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მასთან შედარებით საცოდავი არსებაა, სათამაშო პაიკია.

ქვეყნის მოღალატეა **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ!** პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში იძულებით ჩავერთე, ლამის, მთელი საქართველო მოვიარე იმის გამო, რომ **ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲡ** არ გაემარჯვა. დღეს ჩემს ამ ნაბიჯს ვნანობ.

## ᲛᲒᲝᲜᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲓᲔᲜ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

## „ᲨᲐᲕ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔᲐ!“







## „ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲡᲘᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ!“

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*„for.ge“-ს მთავარი რედაქტორი*



ახლა, სადაც სჭირდება ნაცმოძრაობას, რომ იყოს **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** ეს საპატიმრო დაწესებულებაა, **რადგან მისი თავისუფლება ნაციონალური მოძრაობის დასასრულს ნიშნავს.** „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**აუცილებელია, რომ ნაცმოძრაობა გასამართლდეს!**

„ᲐᲘᲞᲠᲔᲡᲘ“

**ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ** უნდა **ქართლის დედა** გახდეს, მაგრამ არაფერი გამოუვა. ჯერ კიდევ გაერთიანებულ ოპოზიციაში ქმნიდა პრობლემებს და **ვაკავებდით, შს მინისტრის მოადგილედ არ წასულიყო.** „ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** არამარტო ლიდერია ნაციონალური მოძრაობის, არამედ **გამარჯვების კოალიციის ლიდერიცაა** და თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, მიმართოს **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ.** „ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ გადაგდება ისე, რომ ნაცები მოდიან, არ მაწყობს.** დაინახავთ, რომ **ყველა პარტია „შეერეკება“ ნაცებში,** ჩვენ მარტო დავრჩებით და **ბარიერს გადავლახავთ ჩვენ, ნაცები და „ქოცები“.** „ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲛᲐᲙᲐ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



რთული სათქმელია, **რა ბედი ეწევა ნაციონალურ მოძრაობას,** ეს არც **ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ** და არც **ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ხელშია, სულ სხვაგან ხდება გადაწყვეტილებების მიღება.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

# „ᲠᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲚᲝ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲛᲐᲢᲐ!“

**ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲘᲡ ᲘᲛ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐᲜ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ!**

**— პირდაპირ გკითხავთ, აპატიეთ ქვეყნის ნომერ პირველ მოღალატე მიხეილ სააკაშვილს თქვენზე განხორციელებული ძალადობა და უსამართლობა?**

— **ᲩᲔᲛᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐᲣᲨᲐᲕᲐ!** ამასწინათ ქუჩაში შემთხვევით შემხვდა ბადრაგი, რომელმაც რადიატორზე ბორკილებით მიმაბა და სასამართლოში მცემა, მათთვის სასურველი ჩვენება რომ მიმეცა. მივედი და გადავკოცნე. ამდენი წლის შემდეგ ვეღარ მიცნო და როდესაც ჩემი თავი წარვუდგინე, შეცბა. ვუთხარი, ეს რეჟიმის ბრალი იყო და არა შენი-მეთქი! **ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑ, ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲐ!**

მაშინ, როცა ნომერ პირველი დამნაშავე და მოღალატე **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კლინიკაშია, ხოლო ათიათასობით ბავშვი შიმშილის ზღვარზეა, უდიდესი დანაშაულია! **ᲛᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲔᲚᲛᲐ, ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲝᲡ. ᲠᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲗᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ?** მიხეილ სააკაშვილზე უარესი სისხლის სამართლის დამნაშავე საქართველოში არ არის. დამიჯერეთ, როცა ისტორია დაიწერება, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი იქნება!

ერთხელ და სამუდამოდ ნაცები ამ ქვეყანაში უნდა დასრულდნენ, მათ დამფინანსებელ მევახშეებთან ერთად, რომლებიც თითქოს არც კი ჩანან, მაგრამ წურბელებივით აზიან ხალხს!

**— თუ შეგიძლიათ, დაასახელეთ ეს პირები!**

— დღეს ორ სახელს და გვარს გეტყვით — **ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲢᲘᲙᲐᲫᲔ.** ისინი საკმაოდ დიდ ფულს აპროცენტებენ და ვაი მათ, ვისაც ერთი დღე გადაუცდება! კაპიკებში მიაქვთ გამწარებული ხალხის ქონება. გარდა ამისა, არ იხდიან გადასახადებს, უკანონოდ მდიდრდებიან და ა.შ. ამ ადამიანებს დღეს სააკაშვილის ადვოკატი იცავთ. მათ შესახებ იმდენად მსუყე ინფორმაცია არსებობდა, რომ ჩემი, როგორც ადამიანთა უფლებების დამცველის მხრიდან, დანაშაული იქნებოდა პროკურატურისთვის არ მიმემართა. ვისზეც მექნება მსგავსი ინფორმაცია, ყველას ვამხელ! **ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲔᲗ, ᲔᲡ ᲛᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲐ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔᲕᲐᲮᲨᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲚᲚᲔᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ.**

გამომძიებელს პირდაპირ ვუთხარი — შესაძლებელია, მათ უკან მაღალჩინოსნებიც იყვნენ, მაგრამ ხალხი თქვენს გვერდით არის და არ შეგეშინდეთ-მეთქი. ქვეყნის განვითარება და მომავალი სწორედ ასეთ დეტალებზე და წვრილმანებზეა დამოკიდებული!

სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა არის ერთგული ადამიანების გვერდზე გაწევა.

## 10 ᲙᲐᲪᲘ ᲗᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ახალი თაობა მოდის, რომელმაც არ იცის, რას სჩადიოდა სააკაშვილის რეჟიმი. კიდევ ერთხელ ჩავაბარე უნივერსიტეტში და დაახლოებით 300-მდე სტუდენტთან მაქვს შეხება. მათგან პირდაპირ ისმის ხელისუფლების გინება. მრცხვენია და ვცდილობ, საწინააღმდეგო არგუმენტები მოვუყვანო. ეს ხომ ყოველწლიურად დაახლოებით 60-70 ათასი ახალი ამომრჩეველია!

**— ახალმა თაობამ იცის, რომ „ჰეროკრატიაში“ თქვენი პროტოტიპი ლუკა ათანელია?**

— სხვათაშორის, როდესაც ჩემს შესახებ სტუდენტებს ვუამბე, არ დაიჯერეს, მოგონილი ისტორიააო. „ჰეროკრატიას“ რომ ვაყურებინე, მაშინაც არ სჯეროდათ, ვიდრე ფილმის ბოლოს **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ** არ დაეწერა. ხელისუფლება ვალდებულია, მხოლოდ სიტყვებით კი არა, საქმით იმოქმედოს! 2024 წლის არჩევნები ახლოვდება და თუ „ოცნების“ ლიდერები ამ ყველაფერს არ გაითვალისწინებენ, გახარიას შავი სია სანატრელი გაუხდებათ!

*ესაუბრა*
***ᲜᲐᲢᲝ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ***



# „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲐ!“

*„ქართველი საზოგადოება, უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილი, უახლოეს მომავალში გაიაზრებს, რა სამარცხვინო მდგომარეობაში იყენებდა თავს, როდესაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს იხვეწებოდა!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, კასპის რაიონის ყოფილმა გამგებელმა, ცნობილმა სამბისტმა ᲝᲚᲔᲒ ᲘᲐᲫᲔᲛ:***






## ᲝᲚᲔᲒ ᲘᲐᲫᲔ:

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣ-ᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲖᲝᲗᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲖᲔᲐᲚᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ!

— ევროკავშირის წევრობის კანდიდატის ავადსახსენებელ სტატუსს, ალბათ, დღე-დღეზე მოგვანიჭებენ. დიახ — ავადსახსენებელს, რადგან მინიმუმ ოთხიათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართველი ერისთვის ნებისმიერი რეგალიების გამოთხოვა ფრიად სამარცხვინოა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ უკიდურესად გამაღიზიანებელია ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ წამოწეული ლოზუნგი **„ᲨᲘᲜ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ“.** მრავალი ცნობილი მეცნიერი ფაქტებით ადასტურებს, რომ თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციას სწორედ კავკასიიდან გასულმა ქართველურმა ტომებმა დაუდეს საფუძველი. ასე რომ, არათუ ქართველებისათვის, არამედ, სწორედ ევროპელებისათვის არის საქართველო წინაპრების კერა და სამშობლო! უფრო მეტიც, დღევანდელი სახით ევროპელი ერები არც კი არსებობდნენ, როდესაც საქართველოში ქრისტეს სარწმუნოებას თვით მაცხოვრის სამი მოციქული — ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა ქადაგებდა!

**— მაინც, ვის გონებაში დაიბადა, ქართველებისათვის მოეწოდებინა — „შინ, ევროპაშიო?“**

— 30 წელზე მეტია, დასავლეთი ქართველი ხალხისათვის ტვინის გამორეცხვაზე მუშაობს. ამ ექსპერიმენტის მიზანია, დაგვავიწყოს ათასწლოვანი ტრადიციები, ზნეობა, კულტურა და გმირული წარსული, ყალბი ღირებულებებით გამოგვიჭედოს გონება. აღნიშნული ლოზუნგი სწორედ ტვინის გამორეცხვის მიზნით არის შემოგდებული. დავიწყოთ იმით, რომ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲪ, ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ,** თუმცა, არც აზიაში მოიაზრება. ეს გახლავთ მკვეთრად გამორჩეული, თვითმყოფადი რეგიონი. მე პირადად, ახლახან დამკვიდრებული ცნება „შუა დერეფანიც“ მზარავს, რაც „აბრეშუმის გზის“ თანამედროვე პერსპექტივებს უკავშირდება. **ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲘ** ზოგადად, გასასვლელს ნიშნავს და უდიდესი ღვთიური მისიების ქვეყანა ნამდვილად არ უნდა გახდეს ვილაცისათვის ე.წ. „პრახადნოი დვორი“. არადა, ევროკავშირში გაწევრიანების რიტორიკამ ყველა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. **ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲕᲔᲠᲪ ᲙᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲘᲐᲜ!**

ხომ სასაცილოდ იჟღერებს, ქართველებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ან რომელიმე აფრიკულ კავშირში გაწევრიანება რომ მოვითხოვოთ, მეორე მხრივ, საქართველო განსაკუთრებული მისიის და ეზოთერული მნიშვნელობის მქონე ქვეყანაა კავკასიის ზეალმატებული სტატუსით.

**— რას გულისხმობთ?**

— საქართველო, სწორედაც რომ, ბუნებრივად ნეიტრალური რეგიონია. ნუ დაგვავიწყდება პრომეთეს, იგივე ამირანის ფაქტორიც, რომელიც კავკასიის ქედზეა მიჯაჭვული და ბორკილების ყოველდღიური განლევით თავისუფლებისკენ მუდმივ ლტოლვას განასახიერებს. ამასთანავე საქართველოს უკავშირდება აქამდე დაფარული ცოდნის ერთგვარი მცველის მისიაც.

**„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვბუბუნებ!“** — ამბობს მგოსანი. მე კი ისე დამღალა თანამედროვე ევროპიდან უზნეობის ნორმად დაკანონების მოწოდებამ, რომ ვაჟა ფშაველას ცნობილი სტრიქონების ასეთი პერიფრაზი ამეკვიატა: **ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲛᲐᲨᲝᲠᲔ, ᲫᲘᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲑᲣᲑᲣᲜᲔᲑ!**

**— როგორც ჩანს, იმაზე მიანიშნებთ, რომ გაშმაგებული საომარი მოქმედებების**

*ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-14 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ*

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ**
*პოლიტოლოგი*



**ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ,** ჟარგონზე რომ გითხრათ, **„პარაშის“ ფუნქცია აქვს.** ახლა მთელი ბრძოლა სწორედ სიის შედგენაზეა. შეიძლება, ყელში წვდნენ ერთმანეთს. **შეიძლება, ერთმანეთი დაახრჩონ, ისეთი ამბავი იქნება სიის შედგენაზე.** არ მგონია, რომ მხოლოდ **ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** შეადგინოს. **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐᲪ** ექნება თავისი მოთხოვნები.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲑᲔᲥᲐ ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ**
*პარლამენტარი*



**ნაციონალურ მოძრაობად წოდებული კომუნისტური პარტია,** რომელიც **ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაიშალა,** არ ჩაერთვება ცხრა დათქმის შესრულებაში, **მათ არ სურთ ევროკავშირის წევრობა.**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲔ**
*ექსპერტი*



რაც ქართული სახელმწიფოა, ზუსტად იმნაირი სიტუაციაა. **„შერეკილების“ მეორე სერია გვაქვს გადასაღები.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜ ᲜᲔᲗᲐᲜᲘᲐᲰᲣ**
*ისრაელის პრემიერ-მინისტრი*



**ჩვენ გავაგრძელებთ ომს მანამ, სანამ არ მივაღწევთ ყველა მიზანს.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲘ**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



**ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ** მიზანი თუ **„ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ“** სრული განადგურებაა, მაშინ **ომი ათი წელი გაგრძელდება.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“



არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული აქცია, ლოზუნგით – „ჩვენი ხმა ევროკავშირს“. თბილისი, 2023 წლის 9 დეკემბერი



**ოლეგ იაძე:**

# საზოგადოების ერთი ნაწილი ვერც კი ხვდება, როგორ დასცინიან!

*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

**პირობებშიც კი ადოლფ ჰიტლერი კავკასიის და კერძოდ, სვანეთის მთებში საიდუმლო ექსპედიციებს აგზავნიდა სწორედ ამ დაფარული ცოდნის მოსაპოვებლად.**

— **გიორგი გურჯიევის** შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ, გაცილებით ადრე დაფარული ცოდნისა და სიმდიდრის დასაუფლებლად კოლხეთისკენ, მოგეხსენებათ, არგონავტები ისწრაფოდნენ. აგერ, თანამედროვე საქართველოში ცხოვრობს ბრძენი ეზოთერიკოსი **გივი ალაზნისპირელი,** რომელიც, ოცდაათწლიანი კვლევის შემდეგ, ფაქტობრივად, მივიდა მსოფლიოს დასაბამისეულ აღმოჩენამდე და განაცხადა, რომ სამყაროს ჭიპი სწორედ საქართველოში, კერძოდ, ნუნისის მიდამოებშია და თავისი უნიკალური გამოკვლევებით მიწისქვეშეთში დაბუდებული ზესინათლის საიდუმლო გაგვანდო.

**— თქვენ საქართველოსთან მიმართებაში „ბუნებრივად ნეიტრალური რეგიონი“ახსენეთ...**

— დიახ, კავკასია და საქართველო უფრო მეტად იმსახურებენ **პოლიტიკურად ნეიტრალური რეგიონის სტატუსს,** ვიდრე კლასიკური გაგებით ნეიტრალური შვეიცარია და მისი, ასე ვთქვათ, ხელშეუხებელი საბანკო სისტემა. სულ ახლახან ცხადი გახდა, რომ „ნეიტრალური“ ქვეყნის ბანკიდანაც შეიძლება დაიკარგოს დიდი რაოდენობით ფული. აკი, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის ცნობილ ბანკს „კრედიტ სუისს“ სასამართლო პროცესი მოუგო და იმდენად სერიოზული თანხა აზღვევინა, რომ ამ უკანასკნელის გაყიდვა გახდა აუცილებელი. ამდენად,

**როდესაც საქართველოს მომავალზე ვფიქრობ, ჩემს წარმოსახვაში ვხედავ პოლიტიკურად ნეიტრალურ და ეკონომიკურად სტაბილურ ისეთ ქვეყანას, რომლის ბანკში დანაზოგის შენახვა სიმშვიდეს მოჰგვრის პლანეტის ნებისმიერ მდიდარ ადამიანს!**

ვფიქრობ, დამამცირებელია ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რომელიც გარდა იმისა, რომ წევრობას გვახვეწნინებს, წევრობის კანდიდატობის წინაპირობებსაც კი 9 აბსურდული დებულების სახით გვიგზავნის.

**იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ კრიზისში მყოფი ევროკავშირი ძალიან მალე შეიძლება თავად დაიშალოს და მის ადგილზე ჩამოყალიბდეს ევროპელი ხალხების ჭეშმარიტ, კონსერვატიულ ინტერესებზე მორგებული ახალი კავშირი,**

საიდანაც აღარ დაგვიწყებენ იმის ჩიჩინს, რომ დემოკრატია მოითხოვს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ლგბტ პირების ცხოვრების წესის დემონსტრირებას და სხვა სისაძაგლეებს. უფრო მეტიც, აღარ შეგვაგონებენ, რომ საიკავშირის სისხლიანი რეჟიმი დემოკრატიის ნიმუშად მივიჩნიოთ! გვეკითხებით — ევროკავშირმა მე, ქართველს, კავკასიელს — როგორ უნდა მასწავლოს ქალის პატივისცემა და ქალის უფლებები, როდესაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში თამარის დარი გვირგვინოსანი გვყავდა?

ცხადია, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მხოლოდ იმ მიზნით მოგვიგდეს, რომ საკუთარ ნებაზე გვატრიალონ, ფინანსურად დაგვაკაბალონ, მათთვის სასურველი კანონების დაწერა გვაიძულონ და, რაც მთავარია, უკრაინის მსგავსად, რუსეთთან ომში ჩასაბმელად გვიბიძგონ, ჩვენი მოსახლეობის სიცოცხლის ხარჯზე გაიმყარონ პოზიციები! ვენაცვალე **ირაკლი ღარიბაშვილს,** რომელმაც სამთავრობო ტრიბუნიდან ზვიად გამსახურდიას მერე პირველმა განაცხადა საჯაროდ, რომ არ აპირებს შეასრულოს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ გაცემული რომელიმე დავალება!

**— და მაინც, რატომ ჩავვარდით ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში?**

— ყველაფერი განათლების დეფიციტის ბრალია, რაც ისევ და ისევ ევროპულ ყაიდაზე მორგებული სასწავლო კრიტერიუმებიდან მოდის. ჩვენ რომ სკოლებში ბავშვებს საეჭვო მორალური ღირებულებების ნაწარმოებების ნაცვლად იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა ფშაველას და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ვასწავლიდეთ, თაობა ამ სამარცხვინო ლოზუნგს **„შინ, ევროპაში“** — აღარ აიტაცებდა. **თაობას, რომელიც ქუჩაში ამ ლოზუნგს გაჰყვირის, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა აქვს დიდებულ ნაწარმოებზე „საქართველოს სულიერი მისია“, რომლის ავტორმა, საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის თავშეწირულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მეცნიერულად დაასაბუთა ქართველი ერის ეთნოგენეზისი,** რაც ჩვენთვის უშრეტი სიამაყის წყარო უნდა იყოს!

დაბოლოს, „ასავალ-დასავალის“ მკითხველთან საუბარი მინდა დავასრულო იმის შეხსენებით, რომ აპოკალიფსური ჟამი დგება, ხოლო, წმინდა მამების წინასწარმეტყველების თანახმად, ანტიქრისტე, რომელიც მთელ მსოფლიოში გაბატონდება, ფეხს ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე — საქართველოში ვერ მოიკიდებს. **და აი, სწორედ მაშინ ქრისტეს ერთგული ხალხები, მათ შორის, ევროპიდანაც — საქართველოსკენ დაიძვრებიან იმ მიზნით, რომ გადარჩნენ!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# „ვფიქრობ, დამამცირებელია ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ!“

## კვირგვინოსნები

**ჯუანშერ ბურჭულაძე**
*თავდაცვის მინისტრი*



ქართული ჯარის ტანსაცმელი **საუკეთესო ბრენდის ხარისხს არ ჩამოუვარდება.** ინფორმაცია, რომ, **თურმე, ჯარში შედის უხარისხო კვება,** არის აბსოლუტურად აცდენილი რეალობას და **არის ჯარის დისკრედიტაციის მცდელობა.**

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ხაზარაძის** კმაყოფაზე მყოფი **„ჭუტავიზია“** აგრძელებს ნაძირალობაში რეკორდების დამყარებას და **კვლავ მიადგა ქართულ ჯარს,** დისკრედიტირების მიზნით.

„აიპრესი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



ჩვენი პრიორიტეტი იქნება, **400-ლარიანი პენსია 1 000 ლარამდე** გავზარდოთ.

„აიპრესი“

**როман გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ თავმჯდომარე, პარლამენტარი*



არაფერი დაუკარგავს „ქართულ ოცნებას“ იმით, რომ **ოპოზიცია სამუშაო ჯგუფებში არ მონაწილეობდა** — მითუმეტეს, როდესაც ამისკენ ევროკავშირი მოგვიწოდებდა. **იძახდნენ, არა, არ იქნება სტატუსი და მერე იქნა. ახლა დაგვცინიან ეს „ქოცები“.**

„იმედინიუსი“

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



კარიბის კრიზისის დაწყებიდან, **რუსეთსა და ნატოს შორის პირდაპირი შეტაკების საფრთხე,** რომელიც მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანს, ასეთი რეალური არასდროს ყოფილა.

„ინტერპრესნიუსი“

# საქართველო და მსოფლიო

№67 (235) ★ 2023 წლის 11 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან


*„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები რუსებმა ქართველებს გადმოგვცეს. უკვე მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ამ გასაღების გამოყენებას. ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავასრულოთ რუსეთისთვის ზურგის შექცევის უმაქნისი პოლიტიკა და მათკენ სახით შევბრუნდეთ!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი მოსკოვში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა, „რუსეთ-საქართველოს“ ფორუმის მონაწილემ, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პოლიტიკოსმა***

***მამუკა ფიფიამ:***

— ათიოდე დღეში, 21 დეკემბერს, 145 წელი სრულდება კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვარი სარდლის, ამასთან, ერთ-ერთი ძლევამოსილი სახელმწიფოს შემქმნელის, ეროვნებით ქართველი **იოსებ სტალინის** დაბადებიდან, რომელმაც რამდენიმე ათეული წლით შეაჩერა გლობალიზმის და ფსევდოლიბერალიზმის სენი. სტალინის მიერ შექმნილ სახელმწიფოში ქართველი ერი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა და ნიშანდობლივია, რომ კრემლსა და ქართველ ხალხს შორის განხეთქილება მაშინ გაღვივდა, როდესაც **ნიკიტა ხრუშჩოვმა** უკვე გარდაცვლილი ხალხთა ბელადი პიროვნების კულტად მონათლა. ბუნებრივია, ქართველებმა სტალინის დამცირება საკუთარი ღირსების შებღალვად მიიჩნიეს და ხრუშჩოვის ამ შლეგურ ინიციატივას მძაფრი პროტესტით შეეგებნენ, რასაც მსხვერპლიც კი მოჰყვა. მოგვიანებით გარდაცვლილ სტალინთან ბრძოლის ესტაფეტა უკვე თანამედროვე საქართველოს სხვა კარიკატურულმა პერსონაჟმა, **სულით ლაჩარმა, სისხლიანმა დიქტატორმა სააკაშვილმა** აიტაცა და 2010 წლის 24 ივნისს გორში დიდი ქართველის ძეგლი მოსახლეობისგან მალულად დაამხო.

ამჟამად რუსეთში რადიკალურად შეიცვალა სტალინისადმი დამოკიდებულება. რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობების დათბობაც აუცილებლად მოხდება, ოღონდ ამჯერად საამაყო თანამემამულის რეაბილიტაცია თავად სოსელოს სამშობლოში უნდა განხორციელდეს!

**— ეს საკმარისი იქნება ურთიერთობების აღსადგენად?**

— გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსი და ქართველი ხალხის გზები გაიყო. ქართველები ზურგით — რუსებისაკენ და პირით დასავლეთისაკენ შევბრუნდით და დროსთან ერთად დავკარგეთ ტერიტორიული მთლიანობა, განვითარებული ეკონომიკა, წამყვანი პოზიციები მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ სპორტში. რაც მთავარია, თითქმის გაქრობამდე მივიყვანეთ მრავალათასწლოვანი ისტორიით განმტკიცებული ფასეულობანი. საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში, ფაქტობრივად, რუსებიც არ ეკუთვნოდნენ საკუთარ თავს. მათში დღემდე ჭარბობს მანკიერი გავლენა, რათა დასავლეთის ინტერესების სასარგებლოდ ძირი გამოეთხაროს რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ხალხთა შორის მეგობრობას. **ელცინმა** რუსეთს თავი დაამახსოვრა როგორც უკიდურესად სუსტმა მმართველმა, თუმცა, მოღვაწეობის მიწურულს მან ნაწილობრივ გამოისყიდა ეს სისუსტე მემკვიდრედ **ვლადიმერ პუტინის** დატოვებით, რომელმაც სტალინური შემართებით დაიწყო რუსეთის ფეხზე წამოყენება.

**— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ახლო მომავალში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა?**

— გვაქვს მკაფიო მინიშნებები რუსეთის უმაღლესი ვერტიკალიდან. 30 წლის განმავლობაში დასავლეთი გვარწმუნებდა, რომ საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის გასაღები ამერიკაში ან ევროპაშია, არადა, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მათ არ გააჩნიათ არც სურვილი და არც საშუალება ჩვენი უპირველესი პრობლემის გადასაწყვეტად, სამაგიეროდ, ტერიტორიული მთლიანობის გასაღები რუსებმა ქართველებს გადმოგვცეს. უკვე მხოლოდ ჩვენი ცნობიერების გარდაქმნასა და ორიენტაციაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ამ გასაღების გამოყენებას, რაც 2024 წლის არჩევნებზე უნდა გაცხადდეს! უახლოეს მომავალში, შესაძლოა, თვეებშიც კი ქართველებს მოგვიწევს სწორი, ბრძნული არჩევანის გაკეთება: **უნდა დავასრულოთ რუსეთისთვის ზურგის შექცევის უმაქნისი პოლიტიკა და მისკენ სახით შევბრუნდეთ! უნდა ვიზრუნოთ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, რაზეც რუსეთმა არაერთხელ მიანიშნა საქართველოს!**

შემდეგ თანდათანობით აღდგება ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებიც. უპირველესად, სასწრაფოდ უნდა დავთანხმდეთ 3+3 ფორმატს, რაც საქართველოს წინაშე სერიოზულ პერსპექტივებს გადაშლის. სამი უმსხვილესი სახელმწიფო — რუსეთი, თურქეთი და ირანი ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკასთან — აზერბაიჯანთან, სომხეთთან და საქართველოსთან ერთად აპირებენ სამეზობლოში რეგიონალური პრობლემების გადაჭრას და ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვაკლდებით ამ ფორმატს, რომ, თურმე, დასავლეთს არ სიამოვნებს ჩვენი დამოუკიდებელი აქტივობა! უნდა გვახსოვდეს, რომ **ასეთ შემთხვევაში პრობლემები მაინც გადაიჭრება, ოღონდ ქართველებს არამცთუ ხეირი აღარ გვექნება, არამედ შესაძლოა, გლობალური საკითხები სულაც ჩვენს ხარჯზე გადაწყდეს.**

პირდაპირ გეუბნებით — **ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანება გამორიცხულია, რადგან ჩვენ გვყავს მეზობლები თავიანთი მკაფიო ინტერესებით!** მხედველობაში მაქვს თურქეთი, აზერბაიჯანი და, თუნდაც სომხეთი. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ევროპაში აშკარად დასასრულს უახლოვდება ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ეპოქა, რომელმაც ბოლომდე ამოწურა რესურსები. ნახავთ, რა მოხდება უახლოეს არჩევნებზე თუნდაც გერმანიაში! **უკრაინაში ომმა ღრმა კრიზისში შეიყვანა არა რუსეთი, არამედ ევროპა, რადგან ლგბტ იდეოლოგიით ომში გამარჯვება, უბრალოდ, შეუძლებელია.** უფრო მეტიც, რუსეთთან ომში ევროპა უკვე დამარცხდა და არ გამოვრიცხავ, ახლო მომავალში ევროკავშირი სულაც დაიშალოს, ხოლო მის ადგილზე წარმოიქმნას პოლარულად განსხვავებული ზნეობრივი და პოლიტიკურ-ეკონომიკური ღირებულებების ახალი ალიანსი.

**— უკრაინაში ომის დასრულებას როდის და რა შედეგებით ვარაუდობთ?**


*გაგრძელება მე-2 გვერდზე*


## ბიზნესმენის პოლიტიკა ★

## „რუსეთთან ომში ევროპა უკვე დამარცხდა და არ გამოვრიცხავ, ახლო მომავალში ევროკავშირი სულაც დაიშალოს!“



***მამუკა ფიფია:***

# უკრაინის მოვლენების დასრულების შემდეგ რუსეთი მოიცლის კავკასიისთვის!



## „საქართველოსა და მთლიანად კავკასიის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე იზრუნებს ერთდროულად მსოფლიოს 3 ძლავრი სახელმწიფო — რუსეთი, თურქეთი და ირანი!“

რუსეთის, ირანისა და თურქეთის პრეზიდენტები — **ვლადიმერ პუტინი, იბრაჰიმ რაისი** და **რეჯეფ თაიფ ერდოღანი**




## მამუკა ფიფია:

# დავასრულოთ რუსეთისთვის ზურგის შექცევის უმაქნისი პოლიტიკა და მისკენ სახით შევბრუნდეთ!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

ომის დასრულების მკვეთრი კონტურები 2024 წლის პირველ ნახევარში გამოიკვეთება, მას მერე, რაც რუსეთში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაივლის. უკრაინაში დაიწყება მზარდი საპროტესტო ტალღა მოვლენების ობიექტური ანალიზის, მითვისებული თუ არასწორად გახარჯული თანხების, არასწორად დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციების აუდიტის მოთხოვნით; ზოგადად, იქაური ხელისუფლების პროვოკაციული ქმედებების გამო, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. **არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ**

**ეს მასობრივი უკმაყოფილება ძალიან სწრაფად აჯანყებაში გადაიზრდება და ზელენსკის რეჟიმის დამხობით დასრულდება, რაც ომის დამთავრების წინაპირობა გახდება.**

ძნელი სათქმელია, ომის შემდეგ როგორ დაიხაზება უკრაინის რუკა, გააგრძელებს თუ არა არსებობას მათი სახელმწიფოებრიობა, თუმცა, უკვე აშკარაა, რომ, როგორც მინიმუმ, რუსეთის შემადგენლობაში დარჩება დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიეს ოლქები, ასევე — მთელი ყირიმი. **რაც შეეხება ევროპას — მას ძალიან ცივი და მკაცრი ზამთარი ელის. დამდეგი წლის თებერვალ-მარტში ისეთი ინფორმაციები გამჟღავნდება, რომ ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის წინაშე თავის მართლების მდგომარეობაში აღმოჩნდება.** უფრო მეტიც, უკრაინის მოვლენების დასრულების შემდეგ რუსეთი მოიცლის კავკასიისთვის და აღარ დაუშვებს, რომ მის მოსაზღვრე რეგიონში ევროკავშირმა თუ ნატომ თავიანთ რეზიდენტულ ჯგუფებზე დაყრდნობით ახალ-ახალი ფერადი რევოლუციები განახორციელონ, მითუმეტეს, რომ ამ საკითხში თურქეთიც რუსეთის პოზიციური მოკავშირეა! **სწორედ ამის გათვალისწინება და ბრძნულად გაანალიზება გვმართებს ქართველ საზოგადოებას!**

***— და მაინც, როგორ გესახებათ კონკრეტული პერსპექტივები?***

— 3+3 ფორმატის დახვეწის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია, ვიქცეთ რეგიონული ალიანსის ცენტრად, რომლის დედაქალაქი იქნება თბილისში! ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და მთლიანად კავკასიის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე იზრუნებს ერთდროულად მსოფლიოს 3 მძლავრი სახელმწიფო — რუსეთი, თურქეთი და ირანი, საერთო ჯამში, 330-350 მილიონი მოსახლეობით! ჩვენ ისეთ გეოპოლიტიკურ რეგიონში გვიწევს არსებობა, რომელშიც თურქეთის გამორიცხვა შეუძლებელია; ამ ქვეყანას ყოველთვის ექნება რეგიონში საკუთარი ინტერესები, ხოლო ყველა მოსალოდნელი აგრესიის შემაკავებელი ერთადერთი ფაქტორი რუსეთია. **ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთლიანობის აღდგენაც უკვე რუსეთის ინტერესებში ექცევა.** დიახ, რეგიონში სტაბილიზაცია წარმოუდგენელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ამომწურავად გადაწყვეტის გარეშე, რაც მოდელის მიმართ როგორც ქართველების, ისევე აფხაზებისა და ოსების კეთილგანწყობასა და სრულ კონსენსუსს გულისხმობს. **როდესაც აფხაზეთის რკინიგზა გაიხსნება და თბილისიდან ცხინვალის გავლით რუსეთში მიმავალი სატრანსპორტო კორიდორი აღდგება, როდესაც ჩინეთსა და დასავლეთს შორის საქართველოს გავლით ე.წ. „შუა დერეფანი" წარმატებით ამოქმედდება, რისთვისაც დაუღალავად იღვწის საქართველოს დღევანდელი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი,**

**ისეთ მასშტაბურ ეკონომიკურ ნახტომს განვახორციელებთ, რომ აფხაზებსა და ოსებს ძალას არავინ დაატანს – თავადვე ისურვებენ ქართველების მხარდამხარ ცხოვრებას.**

ისტორია ღაღადებს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების ყველა შემთხვევა რუსეთთან არის დაკავშირებული. დიახ, თავის დროზე მეფის რუსეთმა გააერთიანა მხარეებად დანაწევრებული საქართველო; საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც მთლიანი საქართველო შევიდა და, დარწმუნებული ვარ, ახალ კავშირშიც, რომელიც ძალიან მალე შეიქმნება, ქართული სახელმწიფო, უპირველესად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას იზეიმებს!

***— როგორ წარმოგიდგენიათ ძალთა განლაგება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?***

— საქართველოს ფარგლებს გარეთ დროში უსწრაფესად განვითარებული მოვლენები მთლიანად შეცვლის ქვეყნის შიგნით ძალთა პოლიტიკურ ბალანსს. ნაციონალურმა მოძრაობამ და მის ორბიტაზე მყოფმა ლიბერასტულმა ჯგუფებმა შესაძლოა, არჩევნებამდე ვერც მიაღწიონ. **შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე მათ ჩაენაცვლებიან ეროვნული და კონსერვატიული, ასევე სოციალისტურ პლატფორმაზე მყოფი ძალები.**

**დიახ, საქართველოში მომწიფდა სოციალური თანასწორობის საკითხი, რადგან ხაზარაძისნაირმა ავანტიურისტებმა – სულ რაღაც, 100-150-მა ოჯახმა – ხალხის კუთვნილი ბუნებრივი რესურსების და ქონების მითვისების ხარჯზე მოიწყვეს ცხოვრება, რის შედეგადაც ქართველები მშვიდობიან პერიოდშიც კი საკუთარი სამშობლოდან დევნილებად გადაიქცნენ!**

**უნდა დაიმსხვრეს თანამედროვე ბურჟუების მიერ შექმნილი მითი, თითქოს ქართველებს შრომა ეზარებათ; ემიგრანტები ღირსეულ პირობებში უნდა დაბრუნდნენ და დასაქმდნენ სამშობლოში.** მიწა უნდა დაუბრუნდეს ხალხს და აღორძინდეს სოფლის მეურნეობა! დიახ, სოციალური თვალსაზრისითაც აღსადგენია სამართლიანობა, ამიტომ მომავალი არჩევნები იქნება სახალხო პროტესტის არჩევნები, რომელიც მთლიანად შეცვლის საქართველოში პოლიტიკურ ბალანსს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**ბიზნესმენის პოლიტიკა** ★



## ვასილი სტალინი:

# მამაჩემმა კარგად იცოდა, გარშემო სულ მტრები რომ ჰყავდა, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ მის მოწამვლას გაბედავდნენ!

***პროფესორი სიმონ მასხარაშვილი ბელადისა და მისი ერთადერთი ვაჟის — გენერალ-ლეიტენანტ ვასილი სტალინის ურთიერთობის იმ მონაკვეთზე საუბრობს, რომელმაც არამარტო დიდი სტალინის, არამედ მთელი მისი ოჯახისა და საბჭოთა კავშირის მომავალი განსაზღვრა. ვასილი სტალინის მემუარების ანალიზი ადასტურებს, რომ ბელადი მას პოლიტიკურ მემკვიდრედ ამზადებდა:***

— გენერალ-ლეიტენანტი **ვასილი სტალინი** საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მოსკოვის დაჯგუფების სარდალი იყო. მას მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი რამდენიმე მიზეზის გამო ვერც მოხსნიდა და ვერც დანიშნავდა... **ის თავისი სტატუსით უმაღლესი მთავარსარდლის, ანუ სტალინის უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა და მათ შორის იდგა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი.**

1946 წლის 25 მარტს, როცა ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე ნოვიკოვი** დააპატიმრეს, საავიაციო ჯარების სარდალი გახდა გენერალ-პოლკოვნიკი **კონსტანტინე ვერშინინი,** რომელმაც 1947 წელს საფუძველი ჩაუყარა სტრატეგიულ ავიაციას. ატომური ბომბის შექმნის ფაქტმა, ვიდრე სარაკეტო ძალები განვითარდებოდა, ავიაციის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. ცნობისათვის, წყალბადის ბომბიც კი როცა გამოსცადეს, თვითმფრინავიდან იქნა ჩამოგდებული. ასე რომ, იმ პერიოდისთვის ავიაციას სარაკეტო ძალების ფუნქციაც ჰქონდა და ფართო ავტონომიით სარგებლობდა ისევე, როგორც სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

**ვასილი სტალინის** შემდგომი კარიერული საფეხური შესაძლოა, ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა, რადგან, რაც **ალექსანდრე ნოვიკოვი** დაიჭირეს, ხოლო შორეული ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი** შინ გაუშვეს, სტრუქტურაში ავიაციის მარშალი აღარ დარჩა. ყველაზე მაღალი წოდება, რომელიც სულ ორ-სამ კაცს ჰქონდა, გახლდათ ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკობა. **ვასილი სტალინი** ამ დროს გენერალ-ლეიტენანტი იყო და მხოლოდ ერთი საფეხური აშორებდა ამ ჩინს...

***— ალექსანდრე გოლოვანოვს, რომელიც სტალინს ძალიან უყვარდა, რას ერჩოდნენ, რატომ გაუშვეს?***

— **გოლოვანოვი** აკადემიაში გაუშვეს... 1944 წლიდან **ალექსანდრე გოლოვანოვს** პანიკური შეტევები და შიშები ჰქონდა. ვფიქრობ, სტალინი მას, უბრალოდ, ასვენებდა, მაგრამ დადგა ის საშინელი 1953 წელი და გოლოვანოვი ხრუშჩოვის მიერ ჩატარებულ რეპრესიებში მოჰყვა. 1949 წელს კონსტანტინე ვერშინინიც გაუშვეს და საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად დანიშნეს **ალექსანდრე ჟიგარიოვი,** რომელსაც ვასილი სტალინთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. სწორედ ჟიგარიოვისა და ვასილი სტალინის კონფლიქტს უკავშირდება 1952 წლის 1 მაისისა და 1952 წლის ზაფხულში ტუშინოში მომხდარი ინციდენტები.

მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა, **ვასილი სტალინი ალექსანდრე ჟიგარიოვს** პირად მტრად მაინც არ თვლიდა და მიიჩნევდა, რომ მის დაღუპვაში ჟიგარიოვის ხელი არ ერია. ვასილი თავის მოგონებებში იხსენებს, რომ სამხედრო ავიაციის სარდალმა **ალექსანდრე ჟიგარიოვმა** რამდენჯერმე უთხრა — ჩემ შემდეგ ეს ადგილი სწორედ შენ გეკუთვნისო! არ დაგვავიწყდეს, რომ ჟიგარიოვი, რომელიც კავალერისტი იყო და ავიაციაში როგორ მოხვდა, ღმერთმა უწყის, 1936-1938 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს სტალინმა **ჩან კაიშთან** გაგზავნა კონსულტანტად, ხოლო 1941 წლის ივლისში, როცა ბელადი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, **ჟიგარიოვი** თავის მოადგილედ დანიშნა. მან მოსკოვის ბრძოლებში კარგად გამოიჩინა თავი, მაგრამ ვასილი სტალინისგან განსხვავებით, პირადად საავიაციო ბრძოლებში არ მონაწილეობდა.

1942 წლის აპრილში, როცა მდინარე ვიაზმას მიდამოებში, ზევის მიმართულებით, საბჭოთა შენაერთები გერმანელებმა ძალიან შეავიწროვეს, ხოლო პარალელურად ჰიტლერი კავკასიასა და სტალინგრადს უტევდა, საბჭოთა მფრინავებმა გერმანელების მიერ შევიწროებულ წითელარმიელებს ჰაერიდან მთელი დივიზიისთვის საკმარისი პროვიანტი ჩაუყარეს, მაგრამ შეცდომა დაუშვეს და მთელი ტვირთი ფაშისტების ხელში აღმოჩნდა. ამ ყველაფერს საბჭოთა დივიზიის მეთაური უყურებდა და გაცოფებულმა შტაბს რადიოგადამცემში შეაგინა — **ჩვენ შიმშილით ვიხოცებით და ტყვია-წამალი არ გვაქვს და თქვენ გერმანელებს ამარაგებთ, მე თქვენიო?!** ეს რადიოგრამა მოხვდა სტალინის მაგიდაზე... ვფიქრობ, სტალინმა ეს შეტყობინება და გინება პირადად მოისმინა, რადგან ამ გინების წერილობით გადაცემას ვერ გაუბედავდნენ. ბელადმა **ალექსანდრე ჟიგარიოვი და ალექსანდრე ვასი-**



## სიმონ მასხარაშვილი:

# 1952 წლის აპრილში სტალინმა თავისთან დაიბარა ერთადერთი ვაჟიშვილი და უთხრა – ვასია, აქ ახლა ისეთი სიტუაციაა, ცოტა ხნით უნდა გაუჩინარდე!

# „ალექსანდრე გოლოვანოვი, ალექსანდრე ვასილევსკი და ვასილი სტალინი გვიდასტურებენ, რომ სტალინი ასე მწყობრიდან გამოსული არავის უნახავს!“





გოლოვანოვი, ვასილევსკი

**ლევსკი** მაშინვე თავისთან გამოიძახა... სამი წყარო — **ალექსანდრე გოლოვანოვი, ალექსანდრე ვასილევსკი და ვასილი სტალინი** გვიდასტურებენ, რომ სტალინი ასე მწყობრიდან გამოსული არავის უნახავს! ვასილევსკი პირდაპირ წერს — *ათეული წლებია, სტალინს ვიცნობდი, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში არასოდეს შევხვედრივარ... როცა ბელადი ჟიგარიოვს ესაუბრებოდა, სულ იმის შიში მქონდა, რომ იარაღს ამოიღებდა და ავიაციის მარშალს ადგილზე დახვრეტდა. ამიტომ სულ იმის მზადყოფნაში ვიყავი, როგორც კი სტალინი ამას დააპირებდა, მაშინვე გამეკავებინა!* იმავეს ადასტურებენ გოლოვანოვიც და ვასილი სტალინიც...

**— ჟიგარიოვი გადარჩა?**

— **ალექსანდრე ჟიგარიოვი** სტალინს არათუ არ დაუხვრეტია, არამედ არც დაუჭერია — ზურგის ავიაციის უფროსად გადაიყვანა და მის ნაცვლად **ალექსანდრე ნოვიკოვი** და მისი გუნდი მოიყვანა. ამის შემდეგ, სანამ ბერლინი არ აიღო, სტალინს ჟიგარიოვი არ გაუკარებია... არადა, ამ დროს თავისი შვილი **ვასილი სტალინი,** რომელმაც ომი ლეიტენანტობით დაიწყო და კორპუსის სარდლობით დაასრულა, ომის დამთავრებიდან ძალიან მოკლე ხანში გენერალი გახდა. ანუ ვასილი სტალინი ჟიგარიოვის მსგავსად კაბინეტის კი არა, საბრძოლო გენერალი იყო. სხვათაშორის, **ჟიგარიოვს** ვასილი სტალინიც და **ალექსანდრე გოლოვანოვიც** დასცინოდნენ იმის გამო, 1945 წლის 6-9 აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როცა ამერიკელებმა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოაგდეს, **ალექსანდრე ჟიგარიოვმა** კურილის კუნძულები და სამხრეთ სახალინი დაბომბა. საცოდავი იაპონელები მაშინ ისე იყვნენ შეშინებული, „რაგატკასაც“ აღარ ისროდნენ... მოკლედ, **ჟიგარიოვის** საბრძოლო გამოცდილება სულ ეს იყო — კონსულტაცია გაუწია არა **მაო ძედუნს,** არამედ **ჩან კაიშს;** მისი ავიაცია შეცდომით, მაგრამ მაინც დაეხმარა ფაშისტებს, ხოლო ატომური დაბომბვის შემდეგ სამარცხვინოდ დაბომბა სახალინი და კურილის კუნძულები... 1949 წელს აი, ასეთი კაცი დანიშნეს ავიაციის სარდლად, როცა ავიაციაში ნომერ მეორე კაცი უკვე იყო **ვასილი სტალინი.**

სტალინი ერთადერთ და უსაყვარლეს ვაჟიშვილს, როგორც ჩანს, მემკვიდრედ ამზადებდა, მაგრამ 1952 წელს მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, რის შესახებაც ვასილი სტალინი დაწვრილებით წერს. კერძოდ, 1952 წლის 1 მაისის ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, 1952 წლის აპრილში, სტალინმა თავისთან დაიბარა ერთადერთი ვაჟიშვილი და უთხრა — **ვასია, აქ ახლა ისეთი სიტუაციაა, ცოტა ხნით უნდა გაუჩინარდე! ამიტომ გიბრძანებ, წახვიდე ჩინეთში მაოსთან, ავიაციის მთავარ კონსულტანტად, ჩინეთის ავიაცია უნდა განავითაროთო!**

**— ამ ყველაფერს ვასილი სტალინი იგონებს?**

— დიახ, ვასილი იგონებს და წერს — მამაჩემს ცოტა უცნაური იუმორი ჰქონდა და თავიდან მეგონა, ხუმრობდა. არადა, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მამასთან სერიოზული კონფლიქტი მომივიდაო! როგორც ჩანს, ეს თემა **მაო ძედუნთანაც** შეთანხმებული იყო და **ვასილი სტალინი** პეკინში უნდა ჩასულიყო, რადგან ამასვე ადასტურებს ვასილი სტალინის მოგონებების რედაქტორი მარშალი **ე ძიანინი,** რომელიც **ძენ სიაოპინის** პოლიტიკური აღმზრდელი და ჰუნვეიბინების დაუძინებელი მტერი იყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ **ძენ სიაოპინის** მმართველობის დროს, მარშალი **ე ძიანინი** ჩინეთის პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ. სხვათაშორის, ვასილი სტალინის მოგონებებს, რომელიც 1962 წლის შემოდგომაზე პირველად სწორედ ჩინეთში გამოიცა, ასე ჰქვია — **„მართალი სიტყვა ვასილი სტალინზე“.**

**— მამა-შვილის შეხვედრაზე რა გადაწყდა?**

— მამა-შვილის შეხვედრაზე ის გადაწყდა, რომ ვასილი სტალინმა მამას ჩინეთში წასვლაზე კატეგორიული უარი უთხრა! სხვათაშორის, ეს ის პირიოდია, როცა ვასილი სტალინი ძალიან კარგად იქცეოდა და საფეხბურთო და ჰოკეის გუნდებს კურირებდა... წამოსვლის წინ ვასილიმ სტალინს უთხრა — **როგორც გენერალი, თქვენს ბრძანებას დავემორჩილები, მაგრამ როგორც შვილი, გეწინააღმდეგებით და ჩინეთში არ წავალ, მარტო არ დაგტოვებთ, შეგიძლიათ, დამიჭიროთ!** აშკარაა, რომ სტალინს უნდოდა შვილი რაღაცისთვის გაერიდებინა, თუმცა, მას ძალიან სერიოზული გეგმები ჰქონდა ჩინეთის მიმართულებითაც... ერთი სიტყვით, მამა-შვილი ძალიან ცუდად დაშორდნენ ერთმანეთს და ბელადი ვასილიზე ნაწყენი დარჩა. როგორც ჩანს, სტალინმა ეს თემა მომავლისთვის გადადო და გაბრაზდა, რადგან შვილი განზრახვას ვერ მიუხვდა. ვასილი სტალინიც თავის მოგონებებში სწორედ ამას წერს — **მამაჩემის განზრახვას მაშინ ვერ მივხვდი... ბელადი ცამდე მართალი იყო, უნდა დამეჯერებინა და ჩინეთში წავსულიყავი, რადგან სულ სხვანაირად წავიდოდა პროცესები, მათ შორის, ჩინეთთან ურთიერთობაც!** აი, სწორედ ამის შემდეგ მოხდა 1 მაისის ინციდენტი...

**— მაინც რა მოხდა?**

— 1952 წლის 1 მაისს ავიაციის სარდალმა **ალექსანდრე ჟიგარიოვმა** გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც პარადზე არ უნდა გამოეყვანათ ავიაცია, რადგან ძალიან ნისლიანი დღე იყო. ამის მიუხედავად, **ვასილი სტალინი** თვითონ დაჯდა შტურვალთან და სხვა მფრინავებთან ერთად მოსკოვის ცაზე უმაღლესი პილოტაჟი შეასრულა. დაშვების დროს ორმა მფრინავმა განიცადა კატასტროფა. მართალია, ეს ხალხს არ დაუნახავს, მაგრამ უბედური შემთხვევა სახეზე იყო. მაშინ **ჟიგარიოვს** ვასილი სტალინთან ერთადერთი შენიშვნა ჰქონდა — ხომ ვთქვი, არ უნდა გეფრინათო?! ამაზე ვასილი სტალინი გაცეცხლდა და ჟიგარიოვს უთხრა — ჯერ ერთი, მე ვიჯექი იმ შტურვალთან, ამ ბიჭებს კიდევ უარეს ამინდში და ცეცხლში აქვთ ნაფრენი შენგან განსხვავებით, რადგან შენ არასოდეს გიფრენია! თვითმფრინავს არასოდეს ამინდი არ ღუპავს, **თვითმფრინავს უნიჭო ჯარისკაცი და უვარგისი ტექნიკა ღუპავსო!**

საერთოდ, ვასილი სტალინი, როგორც ნამდვილი ქართველი, ცნობილი იყო თავისი მწარე ენით... **ჟიგარიოვი** ვასილის არ შეპასუხებია და ხმა ჩაიკმინდა,



## ისტორიკოსის თვალით ★

თუმცა, მაინც დაიბოღმა და მარჯვე დროს დაელოდა, რომელიც მალე დადგა. კერძოდ, იმავე 1952 წლის ზაფხულში, ტუშინოში, სადაც საბჭოთა ავიაციის პარადი ჩატარდა, კიდევ მოხდა ერთი ინციდენტი. ამჯერად არავინ დაღუპულა, პირიქით, ვასილი სტალინის მფრინავებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს, ისეთი რაღაცები აჩვენეს დამსწრე საზოგადოებას. ავიაციის პარადს ესწრებოდა **სტალინიც,** რომელიც ძალიან კმაყოფილი ჩანდა... პარადის შემდეგ გაიმართა ბანკეტი, სადაც ჟიგარიოვის თანდასწრებით ვასილი სტალინს ყოფნა არ უნდოდა. როგორც ვასილი სტალინი იგონებს, პარადის ტრიუმფით ჩატარების შემდეგ, ძმაკაცებთან ერთად საქეიფოდ წავიდა. ძმაკაცებთან მყოფ ვასილის მამის ბრძანება მოუვიდა — სასწრაფოდ ბანკეტზე გამოცხადდიო! ბანკეტზე იყო ძალიან ვიწრო შემადგენლობა — მხოლოდ და მხოლოდ პოლიტბიუროს წევრები, თავდაცვის მინისტრი და სარდლები, მაქსიმუმ, 20 კაცი. აქ დასწრება იმას ნიშნავდა, რომ უმაღლესი ელიტის წევრი იყავი... ვასილი სტალინი ბანკეტზე ოდნავ ნასვამი მივიდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი, მთავარი ის გახლდათ, რაც იქ მოხდა. **ვასილი სტალინი დარბაზში შევიდა თუ არა, ალექსანდრე ჟიგარიოვმა ბელადს ასეთი სიტყვებით მიმართა — ყველაფერი ბრწყინვალედ ჩატარდა, რადგან ბრწყინვალე ამინდი იყოო!**



ვასილი სტალინი

**— ანუ ვასილის 1952 წლის 1 მაისს მომხდარი ინციდენტი გაუხსენა?**

— დიახ, ვასილი სტალინი მოგონებებში პირდაპირ წერს — ჟიგარიოვმა ამით მამის წინაშე, ფაქტობრივად, წამომაძახა — **„მოსკოვში ხალხი იმიტომ დაიღუპა, რომ არ დამიჯერეთ და ცუდ ამინდში იფრინეთო!“** ამაზე ვასილი სტალინი გაცეცხლდა და ჟიგარიოვს ისე გადაუარა, რომ თავჩაღუნული სარდალი ხან ბელადს ამოხედავდა და ხან — ვასილი სტალინს. არავის უწერია, მაინც რა სიტყვებით მიმართა მას ვასილიმ, მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ **ჟიგარიოვი** იყო ენაჩაგდებული და ახალგაზრდა სტალინმა პირდაპირ გასრისა... ბელადმა შვილი ბანკეტიდან გააგდო და ვასილი სტალინს უბრძანა — **„მიბრძანდი აქედან!“** სტალინი მართალი იყო... როგორც ვასილი სტალინი წერს, მან დარბაზი დატოვა, მაგრამ არსად წასულა, რადგან ცდილობდა, მამას შეხვედროდა და მისთვის ყველაფერი აეხსნა. მაშინ **ვლასიკი** უკვე გაგდებული იყო და სტალინის დაცვას **რიასნოი** კურირებდა, რომელმაც ვასილი მამასთან არ შეუშვა. მეორე დღესვე გამოიცა ბრძანება, ვასილი თადარიგში გაუშვეს და გაგზავნეს სამხედრო-საავიაციო აკადემიაში, რაც, როგორც ვასილი იგონებს, მისთვის შეურაცხმყოფელი იყო, რადგან, ვინც მას ასწავლიდა, მისი დონის საბრძოლო გამოცდილება არცერთს არ ჰქონდა. როგორც ვასილი წერს, აკადემიაში სიარულით თავს არ იკლავდა, რადგან, რასაც იქ ასწავლიდნენ, მან ეს ყველაფერი ბრძოლის ველზე ისწავლა.

მისი მოგონებებიდან ირკვევა, რომ ბანკეტის ინციდენტის შემდეგ ის ბევრჯერ შეხვდა მამას, მაგრამ არასოდეს სტალინს შვილისთვის ის ცუდი საქციელი არ შეუხსენებია და არც ის უთქვამს — ჟიგარიოვს ბოდიში მოუხადეო! ვასილი არ მალავს — მამაჩემმა არაერთხელ მაიძულა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა პიროვნებისთვის ბოდიში მომეხადა, მაგრამ არასოდეს უთქვამს, რომ ასე მოვქცეულიყავი ჟიგარიოვთან. ამან გამიჩინა ეჭვი, რომ ბანკეტზე მომხდარი ინციდენტი, როცა ავიაციის სარდალი **ალექსანდრე ჟიგარიოვი** მიწასთან გავასწორე, როგორც ჩანს, სწორედ მამაჩემის მიერ იყო პროვოცირებული! სტალინს ამ ნაბიჯით სურდა, თავისი მტრებისთვის დაენახვებინა, რომ თადარიგში გამიშვა და თითქოს ჩამომიცილა!

**— ეტყობა, სტალინი მოახლოებულ საფრთხეს გრძნობდა!**

— **ვასილი სტალინიც** სწორედ ამას წერს — მამაჩემმა კარგად იცოდა, გარშემო სულ მტრები რომ ჰყავდა, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ მის მოწამვლას გაბედავდნენ!

**„ვასილი სტალინი მოგონებებში პირდაპირ წერს — ჟიგარიოვმა ამით მამის წინაშე, ფაქტობრივად, წამომაძახა — „მოსკოვში ხალხი იმიტომ დაიღუპა, რომ არ დამიჯერეთ და ცუდ ამინდში იფრინეთო!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

**ცნობილია, რომ სტალინის ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე მძიმე გადასახლება ტურუხანსკში გამომწყვდევა იყო. დაწვრილებით გვაინტერესებს, რას წარმოადგენდა ეს საშინელი ადგილი?**



ი. სტალინი **1913 წლის 23 თებერვალს** დააპატიმრეს საღამოზე, რომელიც **პეტერბურგის ბოლშევიკთა კომიტეტმა კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში მოაწყო.** ის **ტურუხანსკის მხარეში** გადაასახლეს, სადაც პოლარული წრის მიღმა, დასახლება კურეიკაში, უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა **1917 წლის თებერვლის** რევოლუციამდე — ოთხი წელიწადი პოლარულ ჯოჯოხეთში. ამ გადასახლებას **სტალინი** სახელმწიფო სათათბიროს და ბოლშევიკთა ცკ-ის წევრს **მალინოვსკის** უნდა უმადლოდეს, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პროვოკატორი იყო. **სტალინი** იმ დღეს წვეულებაზე მისვლას არ აპირებდა, მაგრამ **მალინოვსკიმ** გადაათქმევინა და იქ, ფაქტობრივად, ხელიდან ხელში გადასცა მეფის ოხრანკას.

რას წარმოადგენდა ცნობილი ტურუხანსკი? ამ მკაცრ მხარეში ყველაზე მოურჯულებლებს ასახლებდნენ, რომელთა უვნებელყოფა დიდი ხნით სურდათ. **სტალინთან** ერთად იქ სასჯელს იხდიდნენ **სვერდლოვი, სპანდერიანი, დუბროვინსკი, შუმიაცკი** და სხვა ცნობილი ბოლშევიკები. **ტურუხანსკის** ყინულოვანი კლიმატის, დაუსრულებელი ქარბუქის და მარადი ზამთრის გაძლება ყველას როდი შეეძლო. **დუბროვინსკიმ** 1913 წლის გაზაფხულზე თავი მოიკლა. **სპანდერიანი** ჭლექით გარდაიცვალა. ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადდნენ **სტალინი** და **სვერდლოვი.**

სხვათაშორის, როგორც ჩანს, თავად მეფის ხელისუფლება ხვდებოდა, რომ ტურუხანსკში სხვა ადგილებზე ბევრად უფრო მძიმე პირობები იყო და იქ გადასახლებულებს თვეში 15 მანეთს უხდიდა, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე ყველა დანარჩენს.





ДѢЛО

ДЕПАРТАМЕНТА

ПОЛИЦІИ

7 дѣлопроизводства

Начато 13 ... года.

Кончено ... года.

На ... листахъ.

**ცნობილია, რომ მოსკოვი, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში, გერმანული ავიაციის მასირებულ თავდასხმებს განიცდიდა. წარმოუდგენელია, როგორ მოხერხდა ამ პირობებში 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე აღლუმის ჩატარება და, რაც მთავარია, გვაოცებს სტალინის სიმამაცე, რომელმაც ეს აღლუმი მოაწყო და მასზე სიტყვითაც კი გამოვიდა.**





წითელი არმიის აღლუმი 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე, მოსკოვში

გამუდმებული მასირებული თავდასხმების შესახებ სიმართლეს ბრძანებთ. გთავაზობთ ქ. მოსკოვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ცნობას, რომელიც **1942 წლის** იანვრით თარიღდება.

**„გასული 1941 წლის ივლისი-დეკემბრის განმავლობაში ქალაქზე** (მოსკოვი — რედ.) **განხორციელდა 122 საჰაერო თავდასხმა, 229 თვითმფრინავმა 1445 ფუგასური და 45 ათასამდე ცეცხლგამჩენი ყუმბარა ჩამოაგდო. შედეგად დაიღუპა 1223 ადამიანი, მძიმედ დაიჭრა 2293 და მსუბუქად — 3313 ადამიანი. დაბომბვის დროს 2 საწარმო და 156 საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაინგრა, 112 საწარმო და 257 საცხოვრებელი სახლი — ნაწილობრივ. ამ პერიოდში განადგურდა აგრეთვე 4 ხიდი, რკინიგზის და ტრამვაის 43 ხაზი. ქალაქში რეგისტრირებულია 1541 ხანძარი, სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში — 221, აქედან 675 — დიდი.“**



გვეკითხებით, როგორ მოხერხდა ამ პირობებში სამხედრო აღლუმის ჩატარება? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ქვეყნისა და არმიის სათავეში **სტალინი** იდგა. ეს აღლუმი მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოებისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავიდან მათ არც კი დაიჯერეს. და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ის მართლაც ჩატარდა, მხოლოდ მაშინ მიაწოდეს ინფორმაციები რადიოსა და გაზეთებს. **ჰიტლერული ხელმძღვანელობა კი ბოლო წუთამდე ფიქრობდა, რომ ეს „კრემლის ბლეფია“ და მისი ავიაცია ჰაერში მხოლოდ მაშინ აიჭრა, როდესაც აღლუმი უკვე დამთავრებული იყო.** იცით, აქ მხოლოდ **სტალინის** უმაგალითო გმირობა როდი გაგაოცებთ. ასეთი მაგალითი მის ცხოვრებაში არაერთია. განგაცვიფრებთ, რომ მან, მტრისაგან რამდენიმე კილომეტრში, პრაქტიკულად ალყაშემორტყმულ ქალაქში მყოფმა, ფრონტზე მიმავალ წითელი არმიის ნაწილებს ევროპისა და მსოფლიოს ფაშიზმისაგან გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

და ეს მოწოდება აღსრულდა. **„კრემლის ბლეფი“** დიადი გამარჯვების საწინდრად იქცა.

**დღემდე გამოცანად რჩება 30-იანი წლების ე.წ. მოსკოვური პროცესები, რომლებზეც უკლებლივ ყველა განსასჯელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ზოგი თვლის, რომ ეს ხალხი არაფერში იყო დამნაშავე და სტალინი მათ, უბრალოდ, ანგარიშს უსწორებდა. სხვები ამტკიცებენ, რომ ყველა ბოროტმოქმედი და შეთქმული იყო და საკადრისი მიეზღო. ვინ არის მართალი?**





ზინოვიევი



რიკოვი

30-იანი წლების ბოლოს ანტისტალინური ოპოზიციის ლიდერთა სამი მსხვილი სასამართლო პროცესი ჩატარდა. **პირველი — 1936 წლის აგვისტოში — ე. წ. ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის საქმეზე; მეორე — 1937 წლის იანვარში — „პარალელური ცენტრის“ საქმეზე; მესამე — 1938 წლის მარტში — „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე.** პირველ პროცესზე მთავარი ბრალდებულები იყვნენ **ზინოვიევი, კამენევი, სმირნოვი, მრაჩკოვსკი** და სხვები, მეორეზე — **პიატაკოვი, რადეკი** და სხვები, მესამეზე — **ბუხარინი, იაგოდა, რიკოვი, რაკოვსკი** და სხვები. პირველი პროცესის მერე მართლაც **16-ივე განსასჯელი დახვრიტეს.** ორ დანარჩენზე კი საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. მეორე პროცესზე **17-დან 13 განსასჯელი დახვრიტეს,** ოთხს კი სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა, მათ შორის რადეკს (10 წელი). მესამე, ბოლო პროცესი ყველაზე **„მოსავლიანი“** იყო — განსასჯელთა სკამზე **21 ადამიანი იჯდა.** თანაც პირველი სიდიდის ბოლშევიკური **„ვარსკვლავები“ — „გამოჩენილი თეორეტიკოსი“** და **„პარტიის რჩეული“ ბუხარინი,** მთავრობის ყოფილი მეთაური **რიკოვი,** სადამსჯელო ორგანოების ხელმძღვანელი **იაგოდა,** უკრაინის ყოფილი ხელმძღვანელი **რაკოვსკი** და ა. შ. 21 განსასჯელიდან სასამართლომ სამს (რაკოვსკი, ბესსონოვი, პლეტნიოვი) სხვადასხვა ვადით პატიმრობა განუსაზღვრა, დანარჩენები დახვრიტეს.



ტროცკი



კამენევი



ბუხარინი

ახლა მოსკოვური პროცესების გამოცანაზე ვისაუბროთ. იყო თუ არა აქ რაიმე საიდუმლო? ანუ ხომ არ იყო მოსკოვური პროცესები ჩეკისტების მიერ დადგმული სპექტაკლი? გამოქვეყნებული სტენოგრამები და შემდგომში გამომჟღავნებული დოკუმენტები ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს გვაძლევს — არავითარი საიდუმლო არ არსებობს. ყველა განსასჯელი მართლაც ხლართავდა შეთქმულებებს სტალინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და ამ მიზნით კაპიტალისტური ქვეყნების სპეცსამსახურებს უკავშირდებოდნენ. ყველა ეს პროცესი ღია იყო, მათ უცხოელი დამკვირვებლები, ჟურნალისტები ესწრებოდნენ. საკითხავია, გაბედავდნენ პროცესების მომწყობნი ასეთ პირობებში რაიმე დადგმებით რისკის გაწევას? სხვათაშორის, პროცესების უცხოელმა დამკვირვებლებმა თავიანთი შთაბეჭდილებები დაგვიტოვეს. და მათ არანაირი გაყალბება არ შეუნიშნავთ. ყველაზე ავტორიტეტულია ცნობილი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერის აზრი, რომელიც მეორე პროცესს ესწრებოდა და თავის წიგნში **„მოსკოვი, 1937“** განაცხადა, რომ განსასჯელთა დანაშაულებრივ განზრახვებსა და ქმედებებში ეჭვიც აღარ ეპარება.




**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# „ახალგორის ჩაბარება სააკაშვილთან წინასწარ იყო შეთანხმებული!“

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვანო ოსაძე ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას იხსენებს და აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა ერგნეთის ბაზრობის მოშლით დაიწყო:***

— 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა რუსეთთან ომი რომ დაიწყო, თბილისში გახლდით, ხოლო მოხუცი დედა ჩემს მშობლიურ სოფელ ფცაში იმყოფებოდა — ქარელის რაიონში. გარკვეული დროის შემდეგ მასთან გავემგზავრე, ხოლო სოფლის შესასვლელთან რუსები დამხვდნენ — ორი ტანკითა და ორი ჯავშანტრანსპორტიორით. როდესაც დოკუმენტები მომთხოვეს, ვაჩვენე ჩემი ქართული პირადობის მოწმობა, რომელიც, უბრალოდ, გამომართვეს, მაგრამ მაშინვე დამიბრუნეს და მითხრეს — **„მიბრძანდით!“** ღვთის მადლით, ოჯახი აკლებული არ დამხვდა. აღმოჩნდა, რომ ჩემს სოფელში რამდენიმე ადამიანი საბჭოთა კავშირის დროს ავღანეთში იყო ნამსახურები და მათ რუს ოფიცრებთან ძალიან მალე გამონახეს საერთო ენა. ზოგიერთები, თურმე, ერთმანეთის მხარდამხარაც კი იბრძოდნენ. აქედან გამომდინარე, რუსებსა და ქართველებს შორის ძალიან მალე კარგი ურთიერთობა დამყარდა. რუსი ოფიცრები ორჯერ გასვენებაშიც კი ვნახე... მახსოვს, ქელეხის სუფრაზე რუსის ოფიცერმა ღვინით სავსე ჭიქის „უპრაგონოდ“ დალევა რომ მოინდომა, **ზურაბ ოსაძემ** უბრძანა — „ჭიქა დადგი! შე ვინა ხარ? აქ თამადა წყვეტს ყველაფერს!“ ოფიცერმა მოიბოდიშა, ჭიქა დადგა და ყველას გასაგონად თქვა — როგორც მეტყვით, როგორც თქვენი ტრადიცია მოითხოვს, ისე მოვიქცევიო! აი, ასეთი ურთიერთობა იყო... რუსები გლეხებისგან ყიდულობდნენ საკვებს და იმაზე ბევრად მეტს იხდიდნენ, ვიდრე თბილისში ღირდა. თავის მხრივ, ქართველები რუსებს პურმარილზე პატიჟებდნენ... არც რუსები რჩებოდნენ ვალში და გლეხებისთვის დიზელის საწვავი თუ ბენზინი მოჰქონდათ. სიმართლე გითხრათ, რუსები რომ წავიდნენ, ხალხს გული დაწყდა...

ყველაზე მთავარი — **2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსი ჯარისკაცები ჩემი სოფლის მოსახლეობას ოსებისგან იცავდნენ!** აი, მაგალითად, 2008 წლის ომის დღეებში ოსებმა მოიყვანეს კომბაინი სოფლის სათიბში, ხოლო მაშინდელმა გამგებელმა **გია ბერუაშვილმა** საშველად რუსებს უხმო, რომლებიც უმალ ადგილზე გაჩნდნენ და ოსებს კომბაინი და მოთიბული ბალახი დაატოვებინეს. **გია ბერუაშვილმა,** ბევრი მაღალჩინოსნისგან განსხვავებით, რომლებიც მაშინ „წითელ ხიდზე“ გარბოდნენ, სოფელი არ დატოვა და ხალხი ოსებისგან დაწიოკებას გადაარჩინა...

**— ვიცი, რომ ყველა ის ქართველი, რომელიც იმ საშინელ დღეებში რუსებთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა, რათა ხალხი და სოფლები აოხრებას გადაერჩინა, სააკაშვილმა ჯვარს აცვა. თქვენს სოფელში რა მოხდა?**

— **სოფელ ბებნისში** მოხდა ასეთი ფაქტი: ერთი ქართველი, რომელიც ავღანეთში იყო ნამსახურები, შეხვდა თავის ჯარის ძმაკაცს — რუს ოფიცერს, რომელიც მუხლებზე დაეცა ქართველი მეგობრის წინაშე და ატირდა — **მე აქ რა მინდა ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ ბრძანება მაქვსო!** იმ ქართველმა დიდებული სუფრა გაუშალა რუს მეგობარს, რომელმაც პირობა მისცა — ამ სოფელში კაციშვილი არ დაზარალდება, არავის არაფერი დაუშავდება, ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხსო! მართლაც, არაფერი მომხდარა... **რუსები რომ წავიდნენ, ნაძირალა სააკაშვილმა ის ქართველი ბიჭი დაიჭირა, სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენა და საწყალი 100-ათასლარიანი გირაოთი ძლივს გამოვიდა გარეთ, რომელიც ისევ სოფელმა შეუგროვა.** რუსები ქართველ მოსახლეობას ოსებისგან ყველგან იცავდნენ... რუსებს თავიდან ბრძანება ჰქონდათ, რომ ქართველ მოსახლეობასთან კონტაქტი საერთოდ არ ჰქონოდათ...

**— ეს საიდან იცით?**

— არის ასეთი სოფელი **ქვენატკოცა,** სადაც ჩემი და გახლავთ გათხოვილი. იმ საშინელ დღეებში, სოფელი რომ არ აეწიოკებინათ, ჩემმა სიძემ — **თემურ კაკაშვილმა** რუსებთან საერთო ენა გამონახა და რამდენჯერმე ოფიცრები და ჯარისკაცები შინ მიიპატიჟა. ერთ-ერთ ახალგაზრდა რუსს უთქვამს — თქვენ რა კარგი ხალხი ყოფილხართ, არადა, გვეუბნებოდნენ, ქართველებთან კონტაქტი არ იქონიოთ, ველურები არიან, დაგხოცავენო! ეტყობა, აშინებდნენ და ჩვენი სიძულვილით წინასწარ წამლავდნენ ახალგაზრდებს...

**— რატომ დათმო სააკაშვილმა ახალგორის რაიონი უბრძოლველად?**

— **დარწმუნებული ვარ, ახალგორის ჩაბარება სააკაშვილთან წინასწარ იყო შეთანხმებული.** ახალგორიდან გამოსვლა არც ჩვენს ჯარისკაცებს უნდოდათ. სააკაშვილმა ჩაიდინა ღალატი, როცა 2007 წელს ზვიად გამსახურდიას დროს გაუქმებული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ აღადგინა. მოხდა გაუგონარი რამ — **სამშობლოს მოღალატე სააკაშვილმა არამარტო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ აღადგინა, არამედ მისი საზღვრებიც გააფართოვა!** ამიტომ, როცა დღეს რუსები და ოსები ქართულ სოფლებში ბოძებს არჭობენ და მავთულხლართებს აბამენ, ეს სააკაშვილის მიერ გავლებული საზღვრებია! გულახდილად რომ გითხრათ, სააკაშვილს იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, ვერავინ დათვლის, მაგრამ დღეს მართლაც პიჯაკების გამო იხდის სასჯელს, არადა, სამშობლოს ღალატის გამო უნდა გასამართლდეს!

**რომ არა 2008 წლის აგვისტოს პროვოკაცია, ოსებთან, ფაქტობრივად, ურთიერთობა აღდგენილი იყო.** მე და ჩემი ძმა ომამდე ღამის 2 საათზე შევედით ცხინვალში და ერთმა ოსმა თავის სახლში ღამე გაგვათევინა — ქუჩაში როგორ დაგტოვებთო! ერთი სიტყვა არ უთქვამს იმ კაცს არც „დამოუკიდებლობაზე“ და არც იმაზე, არიქა, ოსებს ცალკე ყოფნა გვინდაო. ხალხმა პოლიტიკოსებს გაუსწრო და ამაში ერგნეთის ბაზრობამ უდიდესი როლი ითამაშა, რისი გაუქმებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ **სამშობლოს მოღალატე სააკაშვილმა** ის საშინელი ომი სწორედ ერგნეთის ბაზრობის გაუქმებით დაიწყო.

**— დღეს ოსები აცხადებენ, 1920 წელს ქართველებმა გენოციდი მოგვიწყვესო!**

— 1918 წლის 26 მაისს ოსების გარკვეული ჯგუფი საქართველოს დამოუკიდებლობას მტრულად შეხვდა. ვინმე ოსმა კომისარმა **კულუმბეგოვმა** მაშინ ცხინვალში ქართველები გაჟლიტა, ხოლო 1919 წლის 11 იანვარს ალაგირში, სადაც 3 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, ოსები ღამის 2 საათზე, დიდთოვლობის ჟამს, ქართველებს თავს დაესხნენ და გაჟლიტეს. მხოლოდ 600-მა ქართველმა გაასწრო კავკავში. ამ ფონზე ცხინვალში **ვალიკო ჯუღელის** ეროვნული გვარდიის შეყვანა იყო საქართველოს ხელისუფლების საპასუხო რეაქცია ოსების მიერ ჩადენილ მხეცობებზე. 1924 წლის აჯანყების დროს ოსებმა წითელარმიელების ფორმები ჩაიცვეს, ხევსურეთის სოფლები აიკლეს და 80 წლის **გაგა გოგოჭური,** რომელიც ხატის ქადაგი იყო, ბოძზე მიბმული ცეცხლში დაწვეს... დღესაც მოსკოვში მოღვაწეობს ვინმე **მარკ ბლიევი,** რომელიც ქართველების მიმართ ზიზღსა და სიძულვილს აფრქვევს და „ამტკიცებს“, რომ ქართულ ფეოდალიზმს ევროპულთან საერთო არაფერი ჰქონდა და ეს იყო ველურებისა და დესპოტების ფეოდალიზმი. არის ასეთი ბროშურა — **„დავით სოსლანიდან ფრიდრიხ დიდამდე“,** რომელიც 1999 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა და მისი ავტორები არიან: **ვალერი ხამიცევი და არსენ ბალაევი.** უფალო მაპატიე, მაგრამ ესენი „ამტკიცებენ“ — იესო ქრისტე ოსი იყოო! იესო ხომ მდინარე იორდანეში მოინათლა, ჰოდა, ვალერი ხამიცევი და არსენ ბალაევი „იორდანეს“ ასეთ ეტიმოლოგიურ ახსნას „უძებნიან“ — ეს არის სინამდვილეში არა **„იორდანე“,** არამედ **„ირონ დონ“,** ანუ **„ოსების წყალი“!** მოგეხსენებათ, **„ირონ“** ნიშნავს ოსს, ხოლო **„დონ“** ოსურად „წყალია“... ასეთი „მეცნიერები“ ჩვენს სამეზობლოში ბევრია... (იცინის) საუბედუროდ, ქართველი მეცნიერები ამაზე ხმას არ იღებენ... ცნობისათვის, ოსურ ენაში სიტყვა „მეცნიერება“ არ არსებობს, რადგან ამ მოვლენას ოსი ერის ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, ოსები „მეცნიერების“ აღსანიშნავად იყენებენ რუსულ ტერმინს — **„ნაუკა“.** ცხადია, მათემატიკაში, ალგებრაში, ფიზიკასა და ქიმიაში ოსური ტერმინოლოგია არ არსებობს. ამიტომ პირველი ოთხი კლასის შემდეგ ყველა ოსური სკოლა ავტომატურად ხდება რუსული. როდესაც **მათე მირიანაშვილი** მათემატიკის სახელმძღვანელოს წერდა, ტერმინი — „წრფე“ ივანე ჯავახიშვილმა მას მე-7 საუკუნის ქართული მატიანიდან მიაწოდა.

**— რა ეშველება ცხინვალის პრობლემას?**

— ახლა ყველაფერი ძალიან რთულია... ოსები ადრე მონღოლების გვერდით იდგნენ, ახლა რუსების გვერდით დგანან, შესაბამისად, ამ კონფლიქტის გასაღებიც მოსკოვშია. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის გარეშე ცხინვალის საკითხი არ გადაწყდება! თუ გვინდა, ცხინვალის პრობლემის გადაწყვეტა დავიწყოთ, სააკაშვილი არა პიჯაკებისათვის, არამედ სამშობლოს ღალატისათვის გაასამართლეთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***






## ვანო ოსაძე:

### თუ გვინდა, ცხინვალის პრობლემის გადაწყვეტა დავიწყოთ,

## სააკაშვილი პიჯაკებისათვის კი არა, სამშობლოს ღალატისათვის გაასამართლეთ!



*მიხეილ სააკაშვილი და დავით კეზერაშვილი*

**„სამშობლოს მოღალატე სააკაშვილმა არამარტო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ აღადგინა, არამედ მისი საზღვრებიც გააფართოვა!“**

# მო**გელა**ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# სალომე ათონელი და მიშა განმანაყოფიერებელი









თუ წმინდანი არ არი, მის წინაშე თავებს რათ აქიცინებენ, მუხლებს რათ იდრეკენ და ხელებზე რეიზა ჰკოცნიან?

— **ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ხათრით აგირჩიეთო** — ამუნათებენ ზოგიერთები და თანაც ვის? — თვით **სალომეს, ათონელის ქუჩიდან.**

არაფერიც!

**როცა საქართველოში რწმენის გასაღვივებლად შემოსულს გაუჭირდა, როცა ავხორცნი და ავად მზირალნი ჩაქოლვას უპირებდნენ, მის ბილბორდებზე „ქართული ოცნების“ ლიდერები თავისით გამოისახნენ.**

დიახ! ეს იყო გადარჩენის ერთადერთი შანსი და ამიტომაც ვიხილეთ სასწაული!

ჰოდა, მის ჩასაქოლად შემართულმა ხალხმაც ირწმუნა **სალომე ათონელის** ძალი, მადლი და, რაც მთავარია, სასწაულის ხილვით დარჩა მონუსხული.

**რა შუაშია აქ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“?**

ერთიც არის — **ეგ რო წმინდანი არ იყოს, ამდენი „გამოჩენილი“ პიროვნება თავს ეგრე არ გააქიცინებდა და მუხლებს ეგრე არ მაიდრეკდა. უფრო მეტიც, რომ არა ღვთიური მოვლენა, თვით სალომე ათონელი არ შეიფერებდა ყოველივეს ასეთი კმაყოფილი გამომეტყველებით.**

☺

არადა, ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ — რა რჯის ამ ხალხს, **ათონელის** რეზიდენციასთან რიგში რომ დგება? მარტო მისი წმინდანობა? მარტო მისი უმანკოება?

არამც და არამც! **ამ ხალხის უმეტესობა დაბოღმილია ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებაზე“!**

**ამ ხალხის უმეტესობა ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამაგი არ დაუფასა და წმინდანად გამოწყობილ ეშმაკთან აპირებს გარიგებას.**

არადა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ ხომ ჩემსავით კარგად იცის, რომ **სალომე ათონელის** კართან ყურყუტი მხოლოდ ხელ-ფეხის ლოკვის **ერთჯერადი აქტია მიშა განმანაყოფიერებლის** გამოსახსნელად.

# ჭიტა ჭუტელი

ამას უნდა ერქვას **ჭიტა.**

აი, ხო არის **ჭუტა?** ეს იქნება **ჭიტა.**

რატომ?

იმიტომ, რომ კვარტალში ერთხელ **ჭიტას** გვიზამს, სულელურ რაღაცას დააბრეხვებს, ვიღაცას რაღაცაში დაადანაშაულებს და „ვსიო“, ეგრევე გაუჩინარდება ხოლმე.

შარშან იყო თუ შარშანწინ, **ჭიტას** პაროდისტმა, **ვინმე ქემოკლიძემ ჭუტას უბორნიაში** წაიტრაბახა — პერიოდული გაუჩინარება ჩვენი პარტიის სტრატეგიაა, ძალიან დიდი ნახტომისთვის ვემზადებითო.

☺

თუ ეს **ჭიტას** პარტიის სტრატეგიაა, გამოდის, ესენი 2024-ში არნახული **ჭიტასთვის** ემზადებიან.

ამიტომაც გვზაფრავენ და გვძაბავენ!

ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვამჩნევ და ყველაფერი მესმისო!

ვის რამდენი და სად მიაქვს, სუ „ჩამოჩოთქილი“ მაქვსო!

თუ ყველაფერი იცი, იმ დროს ხომ არ ელოდები, როცა ხელახლა გაპრემიერმინისტრდები?

☺

ისე, შენ რო იცი, ასი იმდენი საზოგადოებამ იცის... პარიზში ბინა რით იყიდე?

**სანამ ამ ქვეყანას თავზე მოაჯდებოდი, მამაშენი ხუხაშვილს ეხვეწებოდა, შვილი დამისაქმე, მოსკოვებიდან ეხლა დაბრუნდა, იმდენი ხელფასი მაინც მიეცით, ჯიბის ფულად რო ეყოს, მეტი არ უნდა, მეშინია, უკან არ გაბრუნდესო.**

დაგასაქმეს და... ჰმ, კაი იყო პანდემიის პერიოდი, არა? კაი მაყუთი გაკეთდა, ხო?

როცა მოკეთდი, ფისი-ფისი მოგინდა — **მელიას ვერ დავიჭერ, ქვეყანა აირევაო.** არადა, წინა დღეს აქტიურობდი — **მელიამ პასუხი უნდა აგოსო...**

**ჰაააა!**

**ერთ ღამეში რა მოხდა?**

**რაც მოხდა, მაგას ერთი ღამე კი არა, 1 საათიც არ უნდა!**

გახსოვს, მიშას რომ შეხვდი შემთხვევით ერთ-ერთ უცხოურ სასტუმროში? მოგვიანებით მიშამ აღიარა — ერთ საწოლში გვეძინაო...

**არა, ერთ საწოლში რომ გეძინათ, ეგ არ გაგვკვირვებია, ჩვენ მხოლოდ იმან დაგვაინტერესა, მთელი ღამე რაზე ილაპარაკეთ?**

ახლა არ თქვა, მიშამ ძაღლი მაჩუქაო... ისე, რა არი, **ამხელა კაცი მარტო ძაღლთან რომ გააბამ ხოლმე მუსაიფსა და მერე ამ მუსაიფს „ტიკ-ტოკში“ აბაზრებ?** ამით აპირებ არჩევნების მოგებას და ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლას?!

☺

განვაგრძო შენი **აპრაკუნე ჭიმჭიმელაობის** ამბები?

კაი, ამჯერად გეყოფა, დანარჩენს მერე მოგართმევ, როცა კიდევ იზამ **ჭიტას** და მი**ჭიტ**-მო**ჭიტ**დები!




# ემანდ, გახარია არ გამოთხაროს!

ჭუტაანთ ტელევიზიაში ითქვა — „ქართულ ოცნებაში“ **მადამ პლეზიდანისა** ეშინიათო!

აბა, კაცო!

**ღარიბაშვილი** უცხოეთში რო მიდის, თან უკან იყურება, იგრეა შეშინებული.

**კობახიძე** რო გამოდის ეკრანზე, ფერი აღარ ადევს სახეზე.

**პაპუაშვილი** კანკალებს და თან კბილებს აკრაჭუნებს.

ყველა ჩამოვთვალო?

რას ამბობთ, ყველა **„შეშინებულს“** რა ჩამომათვლევინებს?!

რო არ დაგიმალოთ, მე დღეს მხოლოდ ორი რამისა





**ერთი ის გახლავთ, როცა მძინარე ჯო თვითმფრინავის ტრაპზე ჩამოდის, არ წაიქცეს და მეორე — როცა „ნასმი“ სალომე ბაბო პოდიუმზე გამოდის, ემანდ ისეთ ადგილზე არ გათხაროს, სადაც არ უნდა გათხაროს!** ემანდ, **გახარია არ გამოთხაროს!!!**



Tea Adeishvili

❣ არ ვართ ჩვენ მიშას ღირსი არა!!!!

ამბობ — მარტო **მიშას ღირსი არ ვართო...** რა, **გიულ-დედულის ღირსი ვართ?** ქალმა თავი გაგვიყადრა, თავისი გარდერობი გვაჩვენა, მეფის ტოლა კაცთან ბორში, სალათის ფურცლები და დღეში ორი ცალი კიტრი მიაქვს, ერთ წელიწადში სამი მილიონი დოლარი მარტო რეკლამაში დახარჯა და ეხლა ვიღაცები რო რაღაცებს იბრალებენ, ეგრე სად არი!

☺

ბოლო-ბოლო, ქალი ჩვენი გულისთვის თხოვდება...

რათა?

**იმათა, რომე, რაკი დიდი მიშა მოფახფახდა, საჭიროა ახალი მიშას დაბადება!**

ვინ უნდა შვას **ახალი მიშა?**

# იოხროს

# თუ ჭიაბერიც თან გახლავს...




ვერ ეწვია **კურკუმალი** ოფიციალური ვიზიტით აშშ-ს?

განა მარტო ეწვია? **ზურაბ ჭიაბერაშვილიც** იახლა თარჯიმნად.

ინგლისური არ იცისო... რა ფეხებად უნდა? მთავარია, **ქართვლის დედის მაგინებელი მერყოფილი** გვერდით უდგას და ვინ ტიელი გაუბედავს რამეს ან ღარიბად ვინ მოიხსენიებს?

☺

კაცი აშშ-ში მიდის **საქართველოს უპირველესი სიმბოლოს შემლახავთან** ერთად, რომელსაც ქართვლის დედის ხმლის დანახვაზე დღესაც თან სდევს კასტრაციის დაუძლეველი შიში და ვიღაც ბოგანოები ტელევიზორში გაიძახიან — უნდა გადადგესო.

ეგ რო გადადგეს, მსოფლიოს რა ეშველება, ამოდენა აბურდულ და აბსურდულ საკითხებს პირად კონტროლზე ვინ აიყვანს, **ბადრი შუბლაძე?** ყველაყველა და, ეგ მაინც ვერ გაბედავს, რომ ჭიაბერაშვილის მსგავსად ქართვლის დედაზე რამე ცუდი წამოაყრანტალოს,ისეა **ბრიშა ონიანისაგან** დედამითხლეშილი.






## დაბალი და გრძელი

თუ გახსოვთ, ერთ ეპიზოდში დათა თუთაშხია ეუბნება ნიკანდრო ქირიას — **არც შენი შვილების ცოდვა მინდა დავიდო, არც ის მინდა, შენზე ჭკვიანი მოვიდეს პოლიცმაისტერად, ადექი და წადი აქედანო.**

☺

ახლა ზუსტად იგივე სიტუაციაა ,,ნაცმოძრაობაში“.

რასაკვირველია, არც **კურკუმალას** წინამორბედები გადადიოდნენ არდან-ბურდანს თავიანთი გონებრივი შესაძლებლობებით, მაგრამ **კურკუმალა ზუსტად ის არი, ქართველ ხალხს რომ აწყობს.**

**გადადექი, გადადექიო** — ეძახიან თავიანთ ,,უმფროსსა“!

რათ უნდა გადადგეს?

**ჩვენ არც მაგისი ოჯახის ცოდვა გვინდა დავიდოთ და არც ის გვინდა, მაგაზე ჭკვიანი ვინმე დანიშნონ თავმჯდომარედ.**

პრინციპში, მაგაზე ჭკვიანი ვინღა უნდა მოიყვანონ, მაგრამ მაინც.

☺

აბა, უყურეთ... აბა, ჯერ **კურკუმალას** შეხედეთ, როგორი „ნედადელანი ვიდი“ აქვს და მერე იმასაც შეხედეთ, გვერდით რომ უდგას. სწორედ ეგეთზე თქვა ნაპოლეონმა — **მაღალი** კი არა, უბრალოდ **გრძელიაო!**



## შეიძლება, მერე სიმღერაც დაიწყოს!

ტიპი **რომანტიკულ სამყაროშია,** თქვენ კიდე ეუბნებით, გადადექი და ნავთლუღში ჭიჭყინა გაყიდეო!

განა **რომანტიკული ცხოვრება** ციდან ჩამოვარდა? განა მუქთად მოვიდა?

არა!

ამ ყველაფერს წინ უძღოდა უძილო ღამეები, იღლიებიდან ოფლის ღვრა, წიგნებზე თავის რტყმა, ლევა, წევა, მტვრევა და ასე შემდეგ.

**პარტია ეშლება და ეს კიდე ვოშინგტონში დასეირნობსო.**

**ეშლება არა, ისა!**

**წამსვლელი უნდა წავიდეს, მამსვლელი კიდე მოვიდეს. მოფახფახებულები წავლენ, ჯანიანი ახალგაზრდები კიდე მოვლენ და ისინი იბრძოლებენ ოლიგარქიის წინააღმდეგ.**

**მა როგო გინდათ, მა სხვანაირად როგო იქნება?**

☺

არა, ხომ აქვს გადადებული ფეხი ფეხზე? ხომ გამოსჭვივის ჰოლივუდური ღიმილი მის ბაგეთაგან? **ხომ უყიდა მზის სათვალე კეზერაშვილმა?** იიიი... პალტოც უყიდა, ჯერ არ არის საჭირო, თორემ ჩაიცვამდა.

ახალი მობილური? ეგეც უყიდა!

ახლა კეზერაშვილი ეუბნება, **თმაც უნდა** გადაგინერგო-ვო. **თმის გადანერგვაზე თუ მიდგა საქმე, შეიძლება, მერე მასაც თავისი გმირი უწოდოს და სიმღერაც დაიწყოს!**

## თვალ-უწვდენელი აღმოჩენა




იგი ყოველდღე გვაოცებს თავისი ღრმააზროვანი ანალიზით და ორიგინალური მიგნებებით.

აი, გუშინაც მიაგნო — **თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დასამარდება და ბუას ფუნქციას დაკარგავს, ეგრევე დასამარდება „ქართული ოცნებაც“ და ძალაუფლება ვის დარჩება?**

**ვისა და... „ვოზდუხა“ გახარიას გუნდს!**

**განა ეს არარეალური მიგნებაა? განა ჭკუასთან არ არის ახლოს? განა ეგეთ რამეს სხვა რომელიმე პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მოიფიქრებდა?**

ესე იგი... ,,ვოზდუხას“ გუნდი ძალიან შორსა ჭვრეტს — როცა „ნაცმოძრაობა“ ჩაიძირება, იმას ზედ მიჰყვება ,,ქართული ოცნებაც“ და ესენი ისე მოიპოვებენ უმრავლესობას, ბრძოლა საერთოდ არ დასჭირდებათ.

**ჰო, აბა, თუ არც „ნაცმოძრაობა“ იქნება და არც „ქართული ოცნება“, ქართველი ხალხი ხმას ვის მისცემს?**

☺

ხედავთ, რა ნეტარ არიან მორწმუნენი?

ახლა ამათ თუ ეს რწმენა გაუცრუვდათ, ხომ დაითხრიან თვალებს?

## მაგ ოხერმა!

რა თქმა უნდა, ისევ იმან, ვინც შვა პირველი მიშა!

თქვენ გგონიათ, ამ შემთხვევაში **ჩალაძეს** რამე მისია ეკისრება?

**არა, ეგ ფორმალური მამა იქნება, როგორც წინაზე, გიულ-დედული ახლაც უბიწოდ უნდა დაორსულდეს,** როცა ეტლი მთვარისა შუქურვარსკვლავში შევა. აი, ამაზე იწინასწარმეტყველა **შოთა რუსთაველმა:** „მუნღა ცნეს ეტლი მთვარისა, რომე არ დაბრუნდებოდა“.



☺

ხედავთ, თვით რუსთაველამდე მივედით და ნეტავ, ეს **თეა ადეიშვილი** ვიღა **ოხერია?**

აააა... აგია, ,,ტელეროზში“ რომ გამოჰყავთ და მიშაზე ოხრამს ხოლმე?

**იოხროს მაგ ოხერმა! ისე, ოხრობასაც ხო ნიჭი უნდა!**

## სათვალიანი შეფი



**ბატონო ვახტანგ, შაბათს მარშზე მიდიხართო?**

რა მარშზეო?

**აი, სალომე ზურაბიშვილი რო აწყობს რესპუბლიკის მოედანზე ევროინტეგრაციასთან დაკავშირებითო.**

როდის იყო, მე მარშებზე დავდიოდიო?

**არა, იქნებ ახლა მიდიხართო?**

როდისმე მარშზე გინახივართო?

**არა, მართლა არ მიდიხართო?**

მე უცებ წარმოვიდგინე **ვახტანგ გომელაური** მადამ პლეზიდანის მარშზე და კინაღამ მოვკვდი სიცილით!

**შვილო, სათვალიანო და მიკროფონიანო არსებავ, განა ტლუ ჭუტლექსა და კრეტინი ნოდარა რასაც დაგიწერენ, ყველაფერი უნდა თქვა?**



# იგორ კვესელავა: არანაირად არ მაქვს იმის განცდა, რომ ზვიადის მკვლელობას დღევანდელ სიტუაციაში ვინმე გახსნის!

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–52

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე დღევანდელი ხელისუფლების პირობებში არ გაიხსნება. გავლენიანი ძალები, რომლებიც მხოლოდ შევარდნაძესთან არ არიან დაკავშირებული, საქართველოს ხელისუფლებას ნებას არ რთავენ, დასახელდნენ ზვიად გამსახურდიას მკვლელები:*

## „თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სირცხვილი იმ სამეგრელოს, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის თანამონაწილე დღემდე ცოცხალი დატოვა და ნაძირალას პასუხი არ აგებინა!“



— სულ მალე ამოიწურება ის ხუთწლიანი ვადა, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას 2018 წელს დაუმატეს, რათა საქართველოს პირველი პრეზიდენტის საქმე გაეხსნათ. მოგეხსენებათ, სწორედ 2018 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის 25-წლიანი ხანდაზმულობის ვადა და მას შემდეგ, რაც **კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა** გენერალური პროკურატურის მისაღებში შიმშილობა დაიწყეს, დღევანდელი ხელისუფლება იძულებული გახდა, გამოძიება კიდევ ხუთი წლით გაეხანგრძლივებინა... ჩემი ინფორმაციით, ამ ხუთი წლის განმავლობაში, არავითარი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა და ვერც ჩატარდებოდა, რადგან ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დიდი ხნის გამოძიებული და გახსნილია. ახლა მთავარია, მოხდეს მისი თაროდან ჩამოღება და საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა. მაგრამ ხალხს სიმართლეს შევარდნაძეც უმალავდა და ესენიც უმალავენ, რადგან ყველანი — პოზიციაც და ოპოზიციაც ედუარდის პოლიტიკური შვილობილები არიან! სწორედ შევარდნაძის, როგორც დანაშაულის ორგანიზატორის ფაქტორი და კიდევ სხვა მიზეზები აფერხებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელთა გამოაშკარავებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე დიდი ხანია, გახსნილია!

**— მაინც როგორ აფერხებს შევარდნაძის ფაქტორი პირველი პრეზიდენტის მკვლელების დასახელებას?**

— ძალიან მარტივად გეტყვით: ბაბუაჩემი — დედაჩემის მამა მიხეილ კეკელია, რომელიც ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი იყო და არჩილ ჯორჯაძის პარტიაში ირიცხებოდა, 1924 წელს ბოლშევიკებმა ცოცხლად დამარხეს. **მიხეილ კეკელიამ,** რომელსაც ევროპული განათლება ჰქონდა და ფრანგულს ბრწყინვალედ ფლობდა, საფრანგეთში ვერ გაასწრო და ასე ტრაგიკულად გამოასალმეს სიცოცხლეს. მთელი ცხოვრება მაინტერესებდა, როგორ დაიღუპა ბაბუა და ვინ გაყიდა ეს კეთილშობილი და სამშობლოსთვის ანთებული კაცი. როცა „იმელის“ შენობაში შევედი და მოვახერხე იმ საარქივო დოკუმენტებამდე მისვლა, საიდანაც შეიძლებოდა, სიმართლე გამერკვია, მკაცრად გამაფრთხილეს — **აი, აქ უნდა დავამთავროთ, ამის იქით მოქმედების უფლება არ გექნებათო!** როგორც მაშინ შემიკრეს ხელ-ფეხი და არ მომცეს საშუალება, ბაბუაჩემის დაღუპვის შესახებ ყველაფერი გამეგო, გავლენიანი ძალები, რომლებიც მხოლოდ შევარდნაძესთან არ არიან დაკავშირებული, სწორედ ასე ეპყრობიან საქართველოს ხელისუფლებას და ნებას არ რთავენ, დასახელდნენ ზვიად გამსახურდიას მკვლელები! მოგვიანებით მე მაინც დავადგინე ბაბუაჩემის ტრაგიკული ისტორია — იგი გაყიდა და „ჩეკაში“ დააბეზღა იმ ოჯახმა, რომელსაც თურქეთისკენ მიმავალი გზად, ნოქალაქევში ესტუმრა, რათა მოულოდნელად მუცელატკივებული ძმა მოესულიერებინა. სულგაყიდულმა მასპინძელმა, გვარად **ზარქუამ,** ბაბუაჩემი „ჩეკაში“ დააბეზღა. ბაბუა შეიპყრეს, ორმო ამოთხარეს და ცოცხლად დამარხეს. **როცა ეს მაბეზღარა და გამყიდველი ზარქუა მოკვდა, სოფელმა ამოთხარა და კუბო, რომელშიც მისი აყროლებული გვამი ეგდო, ჭირისუფალს კართან მიუყუდა.**

**— ეს ხომ ფილმ „მონანიების“ საკვანძო სცენაა?**

— დიახ, სწორედ აქედან აიღო ეს სცენა **თენგიზ აბულაძემ,** როცა რეზო **კვესელავასთან და ნანა ჯანელიძესთან** ერთად „მონანიების“ სცენარი დაწერა. ძალიან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფილმი „მონანიება“ ზვიად გამსახურდიას არ უყვარდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ ფილმმა საქართველოს ძალიან გაუტეხა სახელი. მას, ერთი მხრივ, ხვდა დიდი წარმატება, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსები და მთელი საბჭოთა კავშირი ჩვენზე ქირქილებდნენ და ველურებსა და ბარბაროსებს გვიწოდებდნენ, რადგან მიცვალებული ამოვთხარეთ. სხვათაშორის, „მონანიების“ მსგავსი ფილმების გადაღებაზე დირექტივა კრემლიდან მოდიოდა. ფილმს თავიდანვე დაუჭირა მხარი შევარდნაძემ, რადგან მას მეგრელები არ უყვარდა. მოგეხსენებათ „მონანიებაში“ მიწასთან არის გასწორებული პენსნეიანი კაცი — „ვარლამ არავიძე“, რომელიც სწორედ „ნომერ პირველი მეგრელის“ — **ლავრენტი ბერიას** პროტოტიპია. პოლიტბიურო არ თანხმდებოდა ამ ფილმის ჩვენებას, მაგრამ აქაც შევარდნაძემ ითამაშა გადამწყვეტი როლი და მისი აქტიური ჩარევით, რაშიც მან გორბაჩოვი და იაკოვლევი აიყოლია, „მონანიებას“ ყველა ბარიერი მოეხსნა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ საბჭოთა უშიშროების მაღალი

**„მონანიების“ მსგავსი ფილმების გადაღებაზე დირექტივა კრემლიდან მოდიოდა. ფილმს თავიდანვე დაუჭირა მხარი შევარდნაძემ, რადგან მას მეგრელები არ უყვარდა!“**




## „ფილმი «მონანიება» ზვიად გამსახურდიას არ უყვარდა!“

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ყოლბაია**
*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე*



შემთხვევითი არ არის, რომ **სერგეი შამბა** დათანხმდა ჩემთან საუბარს. რაღაც ისეთი ნამდვილად ხდება, რისი დანახვაც ჩვენ არ შეგვიძლია. ამის დასანახავად **საჭიროა დიალოგი, აფხაზ ხალხთან ლაპარაკი.**

სოხუმშიც დაწერეს, რომ **ყოლბაიას შამბა,** ალბათ, **კარასინის** დავალებით შეხვდაო. ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, მაგრამ საკითხავი სწორედ ის არის, **რატომ შეიძლებოდა კარასინს ასეთი დავალება მიეცა შამბასთვის.**

„კვირის პალიტრა“

**იოსებ არჩვაძე**
*ექსპერტი*



საქართველოდან **ყოველწლიურად გადის 25 ათასით მეტი, ვიდრე შემოდის,** მაგრამ, სამაგიეროდ, **სხვა ქვეყნის მოქალაქეთა შემოსვლის მაჩვენებელი 23 ათასით მეტია,** ვიდრე მათი გასვლის. საქართველოს მოქალაქეების **ემიგრაციის მასშტაბმა საქართველოს ისტორიაში პირველად გადააჭარბა ქვეყანაში დაბადებულთა რაოდენობას.**

„თბილისელები“

**გიორგი კალანდია**
*ისტორიკოსი, ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი*



ის, რაც დღეს **საქართველოს სამუზეუმო სფეროში** ხდება, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასდროს ყოფილა. ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, რომ **ჩვენ მოვახერხებდით უცხოეთში გატანილი ქართული კოლექციების შესყიდვას და უკან, სამშობლოში დაბრუნებას** — არ დავიჯერებდი. დღეს ჩვენ ეს რეალობა გვაქვს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვატო სურგულაძე**
*ჯანდაცვის ექსპერტი*



ყველას ასე ეგონა თავის დროზე, რომ **ვიქნები და ვიქნები.** ასე ეგონა **შევარდნაძესაც, მიშასაც,** ახლა სად არის, კი ვხედავთ.

„ახალი თაობა“

# „ზვიად გამსახურდიას მკვლელების ვინაობა მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმაც იციან!“

რანგის წარმომადგენლებმა **მიხეილ გორბაჩოვს** მიაწოდეს უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც **ედუარდ შევარდნაძისა და ალექსანდრე იაკოვლევის** ამერიკის სპეცსამსახურებთან კავშირი დასტურდებოდა, მაგრამ გორბაჩოვმა ამ ცნობებს ყური არ ათხოვა. ცხადია, ამის მიზეზი ერთადერთი რამ გახლდათ — **გორბაჩოვი თვითონაც ამერიკული „ცერეუს“ აგენტი იყო!**

**— აკაკი ასათიანმა ამასწინათ ტელევიზიით თქვა, რომ ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას სახლში მოკლეს და მკვლელმა პრეზიდენტის საძინებელში შეაღწია ფანჯრიდან. მას გარკვეული კითხვები და მინიშნებები ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის მისამართითაც...**

— ეს შეკითხვები დიდი ხანია, ისმის და დაისმება მანამ, სანამ პირველი პრეზიდენტის მკვლელები არ დასახელდებიან! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით, შევარდნაძემ შექმნა საგანგებო შტაბი, რომელშიც შედიოდნენ თავად ედუარდ შევარდნაძე, ავთანდილ მარგიანი, გენერალი გია გულუა, გენერალი ავთანდილ იოსელიანი, შოთა კვირაია და იგორ გიორგაძე!** გიორგაძემ შევარდნაძეს უმტყუნა და გამსახურდიას ლიკვიდაციის ოპერაცია ჩააგდო, რაც შეეხება დანარჩენ წევრებს, ზემოხსენებულთაგან ვინც დღეს ცოცხალი დარჩა, მათ ზვიადის მკვლელების შესახებ ყველაფერი იციან! უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება **ავთანდილ მარგიანს...** იგი ზვიად გამსახურდიას უშუალო მკვლელებსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შუამავალი იყო. უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის კურატორობა შევარდნაძემ სწორედ ვიცე-პრემიერ **ავთანდილ მარგიანს** დაავალა და მან ეს განგებ გააკეთა!

**— განგებ რატომ გააკეთა?**

— იმიტომ, რომ შევარდნაძემ თავი დაიზღვია... საქმე საქმეზე რომ მისულიყო, იგი სწორედ ავთანდილ მარგიანისკენ გაიშვერდა ხელს და იტყოდა — **„მე არაფერ შუაში ვარ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის შესახებ ავთანდილ მარგიანს მოჰკითხეთ, ყველაფერი მან იცის!“** ეს შევარდნაძის პოლიტიკა გახლდათ და მან სწორედ ასე იცხოვრა... ედუარდმა **ჟიული შარტავა** 1993 წლის ზაფხულში აფხაზეთში იმიტომ გაგზავნა, რომ მასზე შეეწმინდა ხელები, მაგრამ ეს რომ არ გამოუვიდა, ადგა და ცოცხალი აღარ დატოვა, რადგან მისი სახით



თბილისში ეყოლებოდა უდიდესი მამხილებელი. სწორედ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით მოაკვლევინა შევარდნაძემ გია გულუაც, რომელიც ზვიად გამსახურდიას ტყე-ტყე დასდევდა. ვფიქრობ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საკითხს შეეწირა საღ-სალამათი კაცი, უშიშროების გენერალი და კონტრდაზვერვის შეფი **ავთანდილ იოსელიანიც,** რომელიც პანკრეასის თავის სიმსივნით მოულოდნელად გარდაიცვალა. ერთადერთი, ვინც გამსახურდიას მკვლელობის მთავარი ფიგურანტებიდან დღეს ცოცხალია, გახლავთ **ავთანდილ მარგიანი,** რომელმაც ყველაფერი იცის, მაგრამ მისი დღევანდელი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა უმძიმესია.

**— კიდევ ვინ იცის ზვიად გამსახურდიას მკვლელების ვინაობა?**

— ზვიად გამსახურდიას მკვლელების ვინაობა **მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმაც** იციან, რადგან ეს საქმე სწორედ მათ დროს გაიხსნა!

**ზვიად გამსახურდია რომ 1993 წლის 31 დეკემბრის ღამეს არის მოკლული, ეს ფაქტია, რადგან ის რუსული სპეცრაზმი, რომელიც შევარდნაძემ სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში შემოიყვანა და ტაქსების გარაჟში იყო დაბანაკებული, 1993 წლის 31 დეკემბრის დილას ზუგდიდიდან გავიდა, ანუ მათ შეასრულეს დავალება და დატოვეს სამეგრელო.**

**— კიდევ ვინ იცოდა ზვიად გამსახურდიას მკვლელების ვინაობა?**

— ცხადია, საქმის კურსში იქნებოდა **გიორგი ჭანტურიაც,** რომელიც ასევე შევრდნაძემ მოაკვლევინა. საუბედუროდ, გიორგი ჭანტურიას მკვლელობა საქართველოს არ გაუგია... **მთელი სახელისუფლებო სტრუქტურები გადაჭედილია გიორგი ჭანტურიას „ედპ“-ის კადრებით, მაგრამ კრინტს ვერავინ ძრავს, რომ ჭანტურია სწორედ ედუარდ შევარდნაძის მსხვერპლია.**

საერთოდ, როგორც კი საქართველოს ცეკას პირველი მდივანი შევარდნაძე გახდა, მაშინვე დაიწყო გავლენიანი, სახელიანი და ხალხისთვის საყვარელი რაიკომის მდივნების, დირექტორებისა და დიდი საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების მიზანმიმართული განადგურება. თვით ავადსახსენებელ 30-იან წლებშიც კი, როცა იაგოდასა და ეჟოვის ჯალათები ხალხს ხერხემალში ამტვრევდნენ, ციხეებში მამაკაცების გაუპატიურება აზრად არავის მოსვლია. სამაგიეროდ, შევარდნაძემ „გამოიყვანა“ ციხის ცნობილი ჯალათი, ვიღაც გვარგადაკეთებული და უთვისტომო **„ცირეკიძე“,** რომელიც ციხეებსა და საპყრობილეებში საშინელებებს სჩადიოდა და მამაკაცებს აუპატიურებდა.

**— დღემდე არ წყდება ხმები იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას ორეული, რომელიც ვითომდა კარლო ღურწკაიას სახლში მიიყვანეს, ახლაც ცოცხალია და სამეგრელოში დადის!**

— თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სირცხვილი იმ სამეგრელოს, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის თანამონაწილე დღემდე ცოცხალი დატოვა და ნაძირალას პასუხი არ აგებინა! **შევარდნაძე, რაც გინდა, საერთაშორისო მფარველები გამოუჩნდნენ და ვინც გინდა, დაიცვას, მაინც გასამართლდება!** იცოდეს ყველამ, რომ დამნაშავეებს სიკვდილის შემდეგაც ასამართლებენ და ამ სასამართლოს ვერც შევარდნაძე ასცდება.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, არანაირად არ მაქვს იმის განცდა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას დღევანდელ სიტუაციაში ვინმე გახსნის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**„ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით, შევარდნაძემ შექმნა საგანგებო შტაბი, რომელშიც შედიოდნენ თავად ედუარდ შევარდნაძე, ავთანდილ მარგიანი, გენერალი გია გულუა, გენერალი ავთანდილ იოსელიანი, შოთა კვირაია და იგორ გიორგაძე!“**

## კვირგვინოსნები

**იმედა კახიანი**
*მსახიობი*



პოლიტიკოსობა **მარტო ქუჩაში სირბილი** და „საქართველოს“ ძახილი არაა. ხალხი, რომელსაც **ერთი საათი არა აქვს ნამუშევარი არსად,** ჭკუას გვასწავლის. **რადგან ქუჩაში დარბოდი და ყვიროდი, პოლიტიკოსი იმიტომ ხარ?**

„კვირის პალიტრა“

**ბაქარ არაბული**
*პოეტი*



დღეს **პოლიტიკა იქცა ბიზნესის კეთების საშუალებად,** ყველა ხელმოცარული პოლიტიკაში მიდის, სადაც შეიძლება **„დარმავოი“ ფულის კეთება.** შეიძლება ითქვას, **საქართველოში ყველაზე წარმატებული ბიზნესი პოლიტიკაა.**

„კვირის პალიტრა“

**ომარ გოგოლიშვილი**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*



ასაკოვან ხალხს ახსოვს, რომ **შტორმის დროს წყალი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტამდე მოდიოდა და მის კარს ურტყამდა.** შტორმის სიმძლავრემაც თვალნათლივ მოიმატა. გეოლოგიური კვლევებით თუ გეოლოგებთან პირადი საუბრებით არაერთხელ წავწყდომივარ დასკვნას, რომ, **თუ საფუძვლიანი ნაპირდაცვითი სამუშაოები არ ჩატარდა, მძიმე სიტუაცია გველოდება.** რაც დრო გადის, ზღვა უფრო და უფრო უტევს ნაპირს. **რატომ მიიწევს ხალხი ზღვისკენ მშენებლობებით?** იმიტომ, რომ დამსვენებელი ზღვასთან სიახლოვეში უფრო მეტს იხდის. **ფულის მოხვეჭის სურვილი ადამიანებს რეალობის შეგრძნებას უჩლუნგებს.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**დეოკუპაციის საკითხში** ჩვენთვის წარმატების მოტანა შეუძლია **მხოლოდ ჩინეთს!**

„FOR.GE“

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ჭარბი ინსულინი ანთებას იწვევს, ხოლო ყველა სახის ალერგია სინამდვილეში ანთებითი პროცესია. მეცნიერის განცხადებით, საქართველოში ბოლო დროს მსხვილი ნაწლავის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა, რაც გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და, უპირველეს ყოვლისა, სიმინდის ბრალია:***



# კახა საბახტარიშვილი:

# სიმსივნე, როგორც წესი, სწორედ იქ ვითარდება, სადაც ანთების კერა ან ტრავმული დაზიანებაა!

— თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი წამლები ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებია. ეს იმას ნიშნავს, რომ მილიონობით ადამიანი სხვადასხვა სახის ქრონიკული ანთებით იტანჯება. ქრონიკული ანთებითი პროცესები იმითაც არის საყურადღებო, რომ სიმსივნე, როგორც წესი, სწორედ იქ ვითარდება, სადაც ანთების კერა ან ტრავმული დაზიანებაა. საერთოდ, ანთება ორგანიზმის დაცვითი რეაქციაა. ეს არის იმუნური სისტემის პასუხი გარეშე ზემოქმედებაზე. უმეტეს შემთხვევაში ანთება დაკავშირებულია ან ტრავმასთან, ანდა ინფექციასთან. როდესაც ადამიანის სხეულის რომელიმე უბანი ტრავმირებულია, იმუნური სისტემის უჯრედები, რომელსაც მაკროფაგები ეწოდება, პირდაპირ „ჭამენ“ დაზიანებულ უბანს და შთანთქავენ იმ „ნაგავს“, რომელიც ტრავმის შედეგად წარმოიშობა. ხოლო ორგანიზმის სხვა უჯრედები — კოლაგენი და სხვადასხვა ცილები, ასრულებენ ერთგვარ „სარემონტო სამუშაოებს“, რათა დაზიანებული უბნები „შეაკეთონ“. ინფექციის დროს კი, როდესაც ორგანიზმში ვირუსი, ბაქტერია, სოკო და სხვადასხვა მიკროორგანიზმი იჭრება, ძალზე საინტერესო პროცესები ვითარდება. კერძოდ, პირველ ეტაპზე იმუნური სისტემა ცდილობს, შეაკავოს და მოსპოს ორგანიზმში შეჭრილი უცხო აგენტები, ხოლო მეორე ეტაპზე ორგანიზმი გაწმინდოს იმ პროდუქტებისგან, რომელიც იმუნური სისტემის ბრძოლის შედეგად გაჩნდა. ყოველივე ამას თან ახლავს ტემპერატურის მატება, რაც იწვევს ანთების განვითარებას. ეს ორგანიზმისთვის სასარგებლო პროცესია, მაგრამ პრობლემას ქმნის დროში გაწელილი, ანუ გახანგრძლივებული ანთებითი პროცესები, რომლებიც აზიანებენ ორგანიზმს და სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, სიმსივნური პროცესის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდნენ.

**— ძალიან ბევრი ადამიანი იტანჯება სახსრების ანთებით, რომლებიც მკურნალობის მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ ღებულობენ. რატომ არის სახსრების ქრონიკული ანთება თითქმის მოურჩენელი?**

— სახსრების ქრონკული ანთების გამომწვევ მიზეზებს ხშირად არასწორად აფასებენ. მიაჩნიათ, რომ პრობლემა უშუალოდ სახსრებშია. არადა, ბევრ შემთხვევაში სახსრების ანთებითი პროცესების სათავე სხვაგან უნდა ვეძებოთ. რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, **სახსრებში მიმდინარე პროცესები დიდად არის დამოკიდებული მსხვილ ნაწლავში შექმნილ მდგომარეობაზე.** კერძოდ, მსხვილ ნაწლავში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ანთება პირდაპირ იწვევს სახსრების ანთებას. საქმე ის გახლავთ, რომ მსხვილი ნაწლავის უჯრედები ერთგვარი ბარიერია იმუნური სისტემისთვის, რათა მსხვილ ნაწლავში არ შეაღწიონ საჭმლის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა იმ ნაწილაკებმა, რომლებიც ორგანიზმმა შესაძლოა, უცხო და მავნე აგენტად აღიქვას! თუ მსხვილი ნაწლავის გარსში ერთგვარი ხვრელები ჩნდება, მაშინ ორგანიზმში აუტოიმუნური პროცესები ვითარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი თვითგანადგურებას იწყებს. ეს პროცესი შესაძლოა, ყველა ორგანოში განვითარდეს — ფარისებრ ჯირკვალში, სახსრებში, ფილტვებსა და ა.შ. ერთი სიტყვით,

## თუ გვინდა, სახსრებს ვუმკურნალოთ, პირველ რიგში, ნაწლავები მწყობრში უნდა გვქონდეს!

**— მაინც რა იწვევს მსხვილი ნაწლავის ანთებას?**

— მსხვილი ნაწლავის ანთებას იწვევს ყველა ის საკვები, რომლის შემადგენლობაშიც **გლუტენი** შედის. გლუტენს შეიცავს აბსოლუტურად ყველა მარცვლეული: ლობიო, სიმინდი, სოია, ბარდა და ა.შ. სიმინდისა და სოიას შემადგენლობაში შედის **ლექტინებიც,** რომლებიც ნაწლავებს აღიზიანებენ. მიჩნეულია, რომ მსოფლიოში სიმინდის 70 პროცენტი გენმოდიფიცირებულია. საქართველოშიც შემოიტანეს ასეთი ჯიშები, რაც მსხვილ ნაწლავს დიდ საფრთხეს უქმნის.

საქართველოში ბოლო დროს მსხვილი ნაწლავის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა, რაც გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და, უპირველეს ყოვლისა, სიმინდის ბრალია! **მსხვილი ნაწლავისა და საერთოდ, ორგანიზმისთვის დიდი ზიანის მომტანია ხორბლის, მზესუმზირის, სიმინდის, სოიასა და რაფსის ზეთების ჭარბი მოხმარება.** ეს ზეთები დიდი ოდენობით **ომეგა-6-ს** შეიცავს, რომელიც ანთების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამიტომ ვისაც სახსრები აწუხებს, ეს ზეთები არ გამოიყენოს და გადავიდეს **ზეითუნის ზეთის, ერბოსა და კარაქის** მოხმარებაზე. მართალია, ყველა ეს პროდუქტი მზესუმზირის ზეთთან შედარებით ძვირია, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ჩვენი ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასია!

**— რომელი საკვები „უყვარს“ მსხვილ ნაწლავს და რომელია ყველაზე ძლიერი, ბუნებრივი ანთების საწინააღმდეგო პროდუქტი?**

— ყველამ ვიცით, რომ როგორც მცენარეული, ისე ცხოველური ცილები შედგება ამინომჟავებისგან. ამინომჟავებს შორის გამორჩეულია **გლუტამინი,** რომელსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია. **საქონლის ხორცი გლუტამინის საბადოა, რომელიც მსხვილი ნაწლავის კედლებს უცხო აგენტებისათვის შეუღწევადს ხდის.** ვისაც სახსრები აწუხებს, საქონლის ხორცი ხშირად უნდა მიირთვას!

საერთოდ, გვახსოვდეს, რომ ანთების საწინააღმდეგო პროდუქტებს შორის **საქონლის ხორცი** გამორჩეულად სასარგებლოა! საქონლის ხორცი ცხიმიანი სჯობს... საერთოდ, მეცნიერულად უკვე დამტკიცებულია, რომ **უცხიმო ხორცი, რძე, ყველი, ხაჭო და სხვა პროდუქტები ჯანმრთელობისთვის მავნეა!** სახსრების ანთებისთვის პირდაპირ მისწრებაა **ხაში.** როდესაც ხაში მზადდება, იხარშება ხორცი, სახსარი, ძვლის ტვინი, ხრტილი და მყესი. ხარშვის პროცესის შედეგად ბულიონში გადადის ორგანიზმისთვის აუცილებელი

**„მსხვილი ნაწლავის ანთებას იწვევს ყველა ის საკვები, რომლის შემადგენლობაშიც გლუტენი შედის. გლუტენს შეიცავს აბსოლუტურად ყველა მარცვლეული: ლობიო, სიმინდი, სოია, ბარდა და ა.შ!“**



**„გამუდმებული სტრესი, დარდი, მარტოობა და უძილობა ორგანიზმში ქრონიკულ ანთებას იწვევს!“**


თქვენი ჯანმრთელობისათვის!

## „იმუნო ჰერბი ფორტემ“ ათასობით ადამიანი გრიპისა და კოვიდისაგან დაიცვა!

კოვიდპანდემიის შემდეგ მთელ მსოფლიოში **მკვეთრად გაიზარდა** სხვადასხვა ქრონიკული დაავადებებით გარდაცვლილთა რიცხვი. კოვიდის შემდგომი თრომბოზები, ინსულტები და ინფარქტები იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, არავის უკვირს. სენსაციური იყო ექიმ **ჯონ კემპბელის** გამოსვლა. სადაზღვევო კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერმა განაცხადა: **სიკვდილიანობა გაზრდილია 25%-ით.** სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა 2 წლით! ეს კატასტროფული მონაცემებია. ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ **კოვიდის ვირუსი** გამოჯანმრთელების შემდეგაც კი ლატენტურ მდგომარეობაში **რჩება ორგანიზმში,** ინიღბება და ახერხებს ორგანიზმთან ერთად თანაცხოვრებას. საკმარისია, ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითდეს, ვირუსი აქტიურდება, იწვევს ანთებას და აზიანებს სხვადასხვა ორგანოებს.

რა არის გამოსავალი? — **იმუნიტეტის გამაძლიერებელი და ანთების საწინააღმდეგო** ისეთი ეფექტური **ანტივირუსული** საშუალების მიღება, რომელიც სხვადასხვა სახის ვირუსებს **არ მისცემს** გააქტიურების საშუალებას. რაც მთავარია, ეს წამალი **უნდა იყოს სრულიად უსაფრთხო,** ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე.

საბედნიეროდ, ასეთი უნიკალური, ბუნებრივი ნატურალური სამკურნალო საშუალება **ყველასთვის ხელმისაწვდომია.** ვინც ექიმ **კახა საბახტარიშვილის** ხელმძღვანელობით შექმნილი **„იმუნო ჰერბი“** მიიღო, **70-80%-ს კოვიდი საერთოდ არ დაემართა** ან გადაიტანა ყოველგვარი გართულების გარეშე. არ არის საერთოდ საუბარი **გრიპზე, რინოვირუსებსა და რესპირატორულ ინფექციებზე,** სადაც **„იმუნო ჰერბი“,** რომელიც დღეს მისი **გაუმჯობესებული ფორმულის „იმუნო ჰერბ ფორტეს“** სახით შეუდარებელია. **ამ პრეპარატს ჯერ კიდევ 2019 წელს შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციამ წლის სამკურნალო საშუალების ნომინაცია მიანიჭა.**

**„იმუნო ჰერბი ფორტე“** ფაქტიურად **ბუნებრივი ვაქცინაა კოვიდგრიპის** და სხვადასხვა **რინოვირუსების** წინააღმდეგ. იმდენად **უსაფრთხოა,** რომ დასაშვებია მისი მიღება **ჩვილი ბავშვებისა და ორსული თუ მეძუძური დედებისთვისაც.** საუკეთესოა **„იმუნო ჰერბი ფორტეს“** და **„ტონზილინის“** ერთობლივი გამოყენება იმ ბავშვებისთვის, ვისაც **პრობლემური „გლანდების“** გამო ოპერაციული **ტონზილოქტემია** ემუქრებათ და ნუშურა ჯირკვლების, იმუნიტეტის მთავარი ორგანოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან. **„ტონზილინმა“ ასობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა!**

**„იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინი“, „გულის ელექსირი ფორტე“** ყველა სააფთიაქო ქსელშია!




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი).**

**593 31 70 34**

# „ვინც ხაშს ხშირად მიირთმევს, სახსრების ანთება უამდება!“



და ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლო კალციუმი, ფოსფორი და სხვა მიკროელემენტები. გარდა ამისა, ხორცში შემავალი ცილები იშლება მარტივ ნაწილებად, კერძოდ, ამინომჟავებად, რომელიც ადვილად მოსანელებელია. მოხარშული ძვლის ტვინიდან ბულიონში გადადის ცხიმში ხსნადი ზოგიერთი ვიტამინი. რაც მთავარია, ხაში ამინომჟავა გლუტამინის საბადოა. გლუტამინი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანთების საწინააღმდეგო და მსხვილი ნაწლავის საშენი მასალაა.

შემჩნეულია, რომ ხაში არამარტო კუჭ-ნაწლავზე მოქმედებს დადებითად, არამედ ვინც ხაშს ხშირად მიირთმევს, სახსრების ანთებაც უამდება! გასული საუკუნის 40-იან წლებში ამერიკელი მეცნიერი როილ ლი დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა საქონლის სახსრებისგან დამზადებულ ბულიონს სახსრების ანთებაზე სამკურნალო გავლენა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც საქონლის ხორცის სახსრისგან დამზადებული ბულიონი „ატყუებდა“ ორგანიზმის იმუნურ სისტემას და აუტოიმუნურ, ანუ თვითგანადგურების რეჟიმში გადართული ორგანიზმი სახრების ნაცვლად უტევდა ბულიონში შემავალ სახსრის ნაწილებს. ამის შედეგად ადამიანის სახსრების ანთება ცხრებოდა, სახსარი თავის ფუნქციებს აღიდგენდა და ადამიანი გამოჯანმრთელდებოდა.

სხვათაშორის, როილ ლის შთამომავლებმა ამერიკაში კომპანიაც კი დააარსეს და შექმნეს საკვები დანამატები, რომელსაც **„პროტომორფოგენი“** უწოდეს. ეს დანამატები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა აუტოიმუნური ანთებითი პროცესებისა და დაავადებების სამკურნალოდ.

**— არსებობს თუ არა ისეთი საშუალება, რომელიც ორგანიზმში ყველა სახის ანთებაზე ზემოქმედებს?**

— ასეთი წამალი ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ **ყველა ანთება უკავშირდება ჟანგბადის ნაკლებობას, ანუ ჰიპოქსიას.** ანთება იწვევს ჰიპოქსიას, ხოლო ჰიპოქსია — ანთებას! **როდესაც ქრონიკულ ანთებასთან გვაქვს საქმე, ვიცოდეთ, რომ ანთებით უბანში უსათუოდ ჟანგბადის ნაკლებობაა!**

**— მაშინ რა გამოდის, ანთების ყველაზე დიდი მტერი ჟანგბადია?**

— რა თქმა უნდა! **ყველა ის მეთოდი, რომელიც ორგანიზმში ჟანგბადის მოხვედრას აუმჯობესებს, ანთებას აქრობს! ეს მეთოდებია: ვარჯიში, ჟანგბადის კამერა, რომელიც წარმატებით გამოიყენება ინსულტებისა და ინფარქტების სამკურნალოდ, ინფრაწითელი სხივების გამომყოფი აპარატურა, საუნა, ოზონოთერაპია, მთაში, გაიშვიათებული ჟანგბადის პირობებში ვარჯიში, რაც ჟანგბადის გადამტან ერითროციტებს უფრო ამსხვილებს, კოენზიმ Q10“ და D ვიტამინი, რომელიც ამავდროულად ყველაზე ძლიერი ანთების საწინააღმდეგო პრეპარატია...** ჩემთვის გასაკვირია, თანამედროვე მედიცინამ რატომ დაივიწყა და ხმარებიდან რატომ განდევნა პატარა მინის ქილებით ანთების მკურნალობის მეთოდი. გამთბარ მინის ქილას დაადებდნენ ანთების კერას და ცხელი ჰაერი, რომელიც მინის ქილაში იქმნებოდა, სისხლძარღვებს აფართოებდა, სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებდა, ანთებით უბანზე მეტი ჟანგბადი ხვდებოდა და პაციენტის მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდებოდა. ამ ხერხით სხვადასხვა ანთებით პროცესს წარმატებით ებრძოდნენ. ანთების კერას განსაკუთრებული ეფექტურობით ებრძვის ძმარი.

**— ალბათ ამიტომაც აცმევენ სიცხიან ბავშვებს ძმრიან წინდებს...**

— ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ორგანიზმმა ძმარი შეიწოვოს და ანთების დროს დაწეული ძმრის რაოდენობა შეივსოს. **გამუდმებული სტრესი, დარდი, მარტოობა და უძილობა ორგანიზმში ქრონიკულ ანთებას იწვევს!** საგულისხმოა ისიც, რომ ორგანიზმი თავად გამოიმუშავებს ანთების საწინააღმდეგო ბუნებრივ ნივთიერებას, რომელსაც **კორტიზოლი** ჰქვია და თირკმელზედა ჯირკვლიდან გამოიყოფა. პრედნიზოლონი, ჰიდროკორტიზონი, კორტიზონის ინიექცია — ყველა ეს პრეპარატი, რომელსაც ანთების ჩასაქრობად იყენებენ, სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნური **კორტიზოლი.** ხანმოკლე სტრესის დროს კორტიზოლი გამოიყოფა, რაც ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში — ავარიის, ტრავმის, დაჭრის დროს ადამიანი ტკივილს უცებ ვერ გრძნობს, მაგრამ თუ ეს სტრესი გახანგრძლივდა, მაშინ თირკმელზედა ჯირკვალი იფიტება და კორტიზოლიც ვეღარ მუშაობს. სწორედ იგივე ხდება გახანგრძლივებული სტრესის, მარტოობის, დარდის, ოპერაციისა და უძილობის დროს. როგორც არსებობს **ინსულინრეზისტენტობა,** სწორედ ისე არსებობს **კორტიზოლრეზისტენტობაც,** ანუ შესაძლოა, კორტიზოლი სისხლში ბევრი იყოს, მაგრამ ვერ იმუშაოს. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. **„კუშინგის სინდრომი“,** რის შესახებაც ცალკე ვისაუბრებთ!

საერთოდ, გვახსოვდეს, გახანგრძლივებულ სტრესთან ერთად ანტიბიოტიკების ჭარბი გამოყენებაც შესაძლოა, ანთების მიზეზი გახდეს. ასევე, ვისაც ინსულინრეზისტენტობა, ანუ ინსულინის სიჭარბე აქვს, ანთებებისკენ არის მიდრეკილი. ჭარბი ინსულინი ანთებას იწვევს! **ყველა სახის ალერგია სინამდვილეში ანთებითი პროცესია, რაზეც ასევე საგანგებოდ ვისაუბრებთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„მსხვილი ნაწლავისა და საერთოდ, ორგანიზმისთვის დიდი ზიანის მომტანია ხორბლის, მზესუმზირის, სიმინდის, სოიასა და რაფსის ზეთების ჭარბი მოხმარება!“**
















# შევარდნაძის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46-49, 51-52

## ედუარდ შევარდნაძე: ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი რომანი იყო!

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში შეძლებისდაგვარად გულწრფელად იხსენებს სიყმაწვილის წლებს, ანუ როგორ მოხვდა საქართველოს ლამის ნახევარსაუკუნოვანი მმართველი „დიდ ავიაციაში“:

***„მამათში რვა კლასის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო ტექნიკუმში შევედი. ეს ახლობლების დაჟინებული მოთხოვნით მოხდა, ყველას უნდოდა, ექიმი გავმხდარიყავი. იქნებ ასეც აჯობებდა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე დაგვიანებულია“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 44).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე — **„მსოფლიო დონის პოლიტიკოსი“** თავად უშვებს იმ ვარიანტს, იქნებ მართლაც ჯობდა, ექიმი გამოვსულიყავიო, უფრო სწორად — ვეტექიმი. დიახ, **შევარდნაძე** კი ამბობს, თბილისის სამედიცინო ტექნიკუმში ვსწავლობდიო, მაგრამ არ აკონკრეტებს, რომ სწორედ ვეტერინარის სპეციალობას ეუფლებოდა და არა, მაგალითად, ქირურგის ან კარდიოლოგისა!

ამდენად, შევარდნაძის ეს ფრაზა — **„იქნებ ჯობდა, მართლა ექიმი გამოვსულიყავიო“** — ძალიან საგულისხმოა და შეგვიძლია, ასე ვთარგმნოთ:

**იქნებ ჯობდა, ძროხების და ღორების მკურნალი ვყოფილიყავი იმის ნაცვლად, რაც საქართველოს მრავალწლიანი მმართველობისას დავმართეო...**

შემდეგ შევარდნაძე იხსენებს, როგორ ცხოვრობდა ტექნიკუმის სტუდენტობისას თბილისში, ფასანაურის ქუჩაზე, უფროს დასთან ერთად ნაქირავებ ნესტიან ნახევარსარდაფში და როგორ ლობირებდა წარმატებულ სტუდენტს ტექნიკუმის დირექტორი **შოთა გორდეზიანი** თბილისის სამედიცინო

და, რა თქმა უნდა, კომკავშირის რაიკომშიც შემთხვევით არ მოელანდებოდათ, მოდი, ედუარდი რომ არის ვეტექიმი, ის მოვიყვანოთ ინსტრუქტორადო — შევარდნაძემ თავად იაქტიურა და თავიც გამოიჩინა კომკავშირულ ასპარეზზე, სადაც შეამჩნიეს და დააფასეს კიდეც. ისიც საგულისხმოა, რომ ყმაწვილმა შევარდნაძემ ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კომკავშირული კარიერის სასარგებლოდ, მშობლებისგან დამოუკიდებლად, მეტიც, მათი აზრის საწინააღმდეგოდ მიიღო:

***„მშობლებმა, ვიდრე სული ედგათ, ეს ვერ მაპატიეს. წლების შემდეგ, როცა უკვე რესპუბლიკის***

ინსტიტუტში მოსახვედრად, ვეტექიმის წარმატებული კარიერის მოსაწყობად...

მაგრამ ყმაწვილ ედუარდს სხვა გეგმები ჰქონდა:

***„ტექნიკუმის დამთავრებამდე სერიოზულად დავეჭვდი ჩემი არჩევანის სისწორეში. წარჩინებულის დიპლომი სამედიცინო ინსტიტუტში უკონკურსოდ ჩარიცხვის უფლებას მაძლევდა. ბატონი შოთა წარმტაც პერსპექტივებს მისახავდა. რა სიტყვებით არ მხიბლავდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. იმდენად ვიყავი საზოგადოებრივ საქმეებში ჩაფლული, რომ სხვა არაფერზე შემეძლო ფიქრი და როცა კომკავშირის რაიკომში დამიბარეს და ინსტრუქტორის თანამდებობა შემომთავაზეს, ულაპარაკოდ დავთანხმდი“*** *(იქვე, გვ. 45).*

ანუ შევარდნაძეს ყმაწვილკაცობიდანვე ხიბლავდა არა შინაურ ცხოველებზე თუ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ზრუნვა, არამედ **ადამიანთა მართვა და აგიტატორობა-პროპაგანდისტობა!**

***შინაგან საქმეთა მინისტრად ვმუშაობდი, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, დედამ მითხრა: „შენ საზოგადოების მკურნალობას მოჰკიდე ხელი, ჯობდა, ჩემი ტანჯვა შეგემსუბუქებინა“.***

***მერე როცა მიფიქრია, რომ თითქმის შეუძლებელი იყო ავადმყოფი საზოგადოების განკურნება, ყოველთვის დედაჩემი მახსენდებოდა“*** *(იქვე, გვ. 45).*

თითქოს შევარდნაძე ამჯერადაც აღიარებს, რომ ნანობს პოლიტიკური კარიერის არჩევას! ან შესაძლოა, დედის სენტიმენტური გახსენება მემუარისტის იაფფასიანი ლიტერატურული ხრიკია! მაგრამ მემუარისტი აშკარად ამლაშებს, როცა ამბობს, **„თითქმის შეუძლებელი იყო ავადმყოფი საზოგადოების განკურნება“!** ანუ მას, თურმე, მართლა ჰქონდა პრეტენზია, რომ თავად მკურნალი იყო, საზოგადოება კი — ავადმყოფი, შესაძლოა, „განუკურნებადიც“!

ამის შემდეგ შევარდნაძე მემუარების სპეციალურ ქვეთავში იხსენებს, როგორ გაიცნო თავისი ცხოვრების მეგზური და მომავალი მეუღლე **ნანული ცაგარეიშვილი:**

***„1951 წელს მე და ჩემი და შვებულებას ბორჯომის ხეობაში, წაღვერში ვატარებდით.***

***სწორედ აქ, შესანიშნავ და რომანტიკულ ალაგას, გავიცანი ნანული ცაგარეიშვილი, ჩემი მომავალი მეუღლე.***

***ახალგაზრდები ვიყავით და სწრაფად მოვნახეთ გზა ერთმანეთის გულებისკენ. სწორედ ბორჯომის ულამაზეს პარკში ვთხოვე, ცოლად გამომყოლოდა.***

***წინა დღით მან მკითხა, სად ვსწავლობდი.***

***— უმაღლეს პარტიულ სკოლაში, — ვუპასუხე.***

***— რა, ესე იგი, პარტიული მუშაკი უნდა გამოხვიდე? — ჩამეკითხა“*** *(იქვე, 47).*

ცოტა უცნაური კი არის, რომ შევარდნაძის მომავალმა მეუღლემ ხელის თხოვნის წინა დღეს გაიგო ედუარდის პარტიული კარიერის შესახებ, მაგრამ ეს იქით იყოს: აქ მთავარი და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რატომ დაძაბა ედუარდის პარტმუშაკობამ ასე **ნანული ცაგარეიშვილი:**

***„მაშინ ყურადღება არ მივაქციე მის დაძაბულ ტონს, მეორე დღეს კი, ალბათ, უძილო ღამის შემდეგ გამომიტყდა და მისმა სიტყვებმა გამაოგნა.***

***— მამაჩემი, ერთი პატიოსანი, სამშობლოს და ოჯახის ერთგული კაცი, ქალაქ გორში პოლკის მეთაური იყო. ერთ ღამეს პირუტყვივით წაიყვანეს და დახვრიტეს! ახლა თუ შევუღლდებით, პარტიულ კარიერას უნდა გამოემშვიდობო. არ მინდა, ამის მიზეზი გავხდე, ჰო, ჰო, არ მინდა, მომავალი წაგართვა და დაგღუპო. ამის უფლება არ მაქვს. არ იფიქრო, შენგან რაიმე მეწყინოს, ჩემი ბრალია ყველაფერი, დროზე უნდა მეთქვა. მეგონა, ისტორიულზე სწავლობდი (მაშინ ასეთი წესი იყო: თუ ახლო ნათესავი პოლიტიკურ „დანაშაულში“ იყო მხილებული, პარტიული წინსვლის გზა გადაკეტილი გქონდა“*** *(იქვე, გვ. 47).*

ამის შემდეგ **შევარდნაძე** უკვე **ნანული ცაგარეიშვილის** მონათხრობის ციტირებით იხსენებს, რაც მოხდა:

***„ნანული ასე იხსენებს ამ წუთებს თავის ავტობიოგრაფიულ ნოველაში:***

***„განაჩენს ველი! ერთიანად გაფითრებულა*** *(წერს ჩემზე — ე.შ.),* ***მეჩვენება, ქვედა ტუჩი უთრთის...***

***...ორიოდე წუთი იყუჩა, მერე მოვიდა, მხრებზე ხელი მომხვია და სკამზე დამსვა. თვითონ ისევ ფეხზე დგას, ხელები მუჭებად შეუკრავს და დაჟინებით ჩამცქერის.***

***— იცი, რას გეტყვი, ღმერთმა დალახვროს კარიერა. რა არის კარიერა სიყვარულთან შედარებით. კარიერის დაკარგვა რა ბედენაა.***

***ვიგრძენი, როგორ შვებით ამოისუნთქა. თავი რატომ უნდა მოვიტყუო. მშვენივრად მივხვდი, იმ ულამაზეს მთვარიან ღამეს როგორი სინატიფით ჩატარდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი“*** *(იქვე, გვ. 47).*

რა რაში და შევარდნაძეს მართლაც ვერ დაადანაშაულებ პირად სიმამაცეში!

რა თქმა უნდა, ბევრი უსისხლოდ გაუწირავს კარიერულ აღმასვლაში, მაგრამ **რეპრესირებულის შვილის** ცოლად მოყვანა იმ დროში მართლაც კარიერის განადგურების ტოლფასი იყო! თუმცა, შევარდნაძემ სიყვარული არჩია და მისი კარიერაც გადარჩა... და როგორც **ნანული ცაგარეიშვილთან** გატარებულ წლებზე თავად წერს: **„ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი რომანი იყო...“**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***






# ვანის ნაციონალური ოკრუგი

***1934 წლის მაისში სტალინმა შორეულ აღმოსავლეთში, ამურისპირეთს, ხაბაროვსკის მხარესა და ჩინეთს შორის მოქცეულ პაწაწინა მიწის ნაკვეთზე ებრაელთა ავტონომიური ოლქი შექმნა, რომლის დედაქალაქიც ბირობიჯანი გახდა.***

ეს იყო ხელოვნურად შექმნილი ავტონომია, რათა უზარმაზარ წითელ იმპერიაში, რომლის პოლიტიკური ელიტის უდიდესი უმრავლესობაც სწორედ ისრაელის შვილი გახლდათ, ეთნიკურ ებრაელებს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჰქონოდათ... მოგვიანებით, 1948 წლის 14 მაისს, სტალინის ლოცვა-კურთხევით და შორსმჭვრეტელური პოლიტიკით, პატარა ბირობიჯანი დიდ ისრაელად იქცა, რომელიც თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად ათეული წლებია, მთელ მსოფლიოს აზანზარებს.

როგორც ბირობიჯანი შეიქნა შორეულ აღმოსავლეთში, სწორედ ისე, „ქართულ ოცნებაში" პორტირებული ნაცებისგან, ათასი ჯურის მედროვე-გამომძალველებისა და ბიუჯეტის ვირთხებისგან ვანის მუნიციპალიტეტში საბოლოოდ გაფორმდა **ნაციონალური ოკრუგი,** რომელიც პასუხისმგებელია არა ხალხის, არამედ ყაჩაღებისა და ნაცსექტანტების წინაშე. **ვანის ნაციონალურ ოკრუგს** ოფიციალურად ხელმძღვანელობს **გამგებელი თუ გაუგებელი ალექსანდრე გოგორიშვილი,** არადა, სინამდვილეში რაიონს მართავენ სწორედ **ნაცები,** რომლებიც ეწევიან საბოტაჟს და ძირს უთხრიან ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას. **ამის ნათელი მაგალითია ქალაქ ვანის ცენტრში 21-მეტრიანი ჯვრის დამხობა და მის ნაცვლად გარყვნილი სააკაშვილისა და კიდევ უფრო გარყვნილი ევროკავშირის დროშების აღმართვა, რაც მორწმუნე მრევლსა და ადგილობრივ მოსახლეობას ასე შეასაღეს** — ვანში სტუმრობის დროს **ირაკლი ღარიბაშვილმა** დაგვიბარა, რაიონის ცენტრიდან ჯვარი მოაშორეთ, თორემ ევროპელ ტურისტებს, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების დასათვალიერებლად ვანს ხშირად სტუმრობენ, პრობლემები ექმნებათ, უცხოელებს ჯვარი დისკომფორტს უქმნის და აბრკოლებსო!

ვწერდით იმის შესახებაც, რომ **ვანის ნაციონალურ ოკრუგში** ჯვრის შემუსვრისა და დამხობის გამო დიდი გაწევ-გამოწევა და დაპირისპირებაა, რაც არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გამძაფრდება და ამ ფაქტის სათავისოდ გამოყენებას ყველა შეეცდება. მოკლედ,

**ჯვრის დამხობის შემდეგ ვანის ნაციონალური ოკრუგის გამგებელმა ალექსანდრე გოგორიშვილმა გადაწყვიტა, რაიონის უნიკალური სოფლების წყალსა და მეწყერს გაატანოს და ჰესების**


მოდი, ვნახოთ ჯვარი, სად წავიდა ჯვარი?!

*ჩვენს ერთგულ მკითხველს ეხსომება ამ ზაფხულს „ასავალ-დასავალში" გამოქვეყნებული წერილი სათაურით — „ვან-დალები ვანში", სადაც 2023 წლის 5 ივლისს, ირაკლი ღარიბაშვილის სტუმრობის შემდეგ, ქალაქის ცენტრში აღმართული 21-მეტრიანი რკინის ჯვრის დამხობისა და მოშთობის ამბავი ალვწერეთ.*

წმინდა ჯვარი რაიონის ცენტრიდან ახვლედიანების გორასკენ მიმავალი გზის ჩიხში, დანგრეული და ფარღალალა სახლის გვერდით გახლავთ გადატანილი...

„ა-დ". 2023 წლის №52

ვანდალები

„ა-დ". 2023 წლის №31

შეთქმულება ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

მიხედეთ ვანდალების მიერ იავარქმნილ ვანის რაიონს და მოაშორეთ მმართველობიდან ნაცსექტანტები, რომლებიც „ქართული ოცნების" სახელს ეფარებიან!

რაში გორავს ვანის ვანდალი გამგებელი ალექსანდრე გოგორიშვილი?

დიტო ჩუბინიძე

**გამორიცხული არ არის, ვანის ნაციონალური ოკრუგის გამგებელი ალექსანდრე გოგორიშვილი სინამდვილეში კაცად გადაკეთებული ხათუნა გოგორიშვილი აღმოჩნდეს!**


ალექსანდრე გოგორიშვილი


ხათუნა გოგორიშვილი

## ასაშენებლად მთის მდინარეები დააგუბოს.

ამ რამდენიმე კვირის წინათ **ალექსანდრე გოგორიშვილი,** პოლიციის უფროსი და კიდევ სამი-ოთხი კაცი რაიონის მშვენებას, ჩემ მშობლიურ სოფელ **უხუთს** ესტუმრნენ და საგანგებოდ შერჩეულ იმ ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომლებიც სოციალურ დახმარებას ღებულობენ, გამოუცხადეს — **მდინარე კვინისწყალზე ჰესი უნდა ავაშენოთო!**

მკითხველს აქვე ვეტყვი, რომ **კვინისწყალი,** რომელიც ჩემი ბავშვობის თავანკარა და მთის გიჟმაჟი მდინარეა, წითელ წიგნში შეტანილი წითელწინწკლებიანი კალმახის ბუდეა, რომელიც მოდიდებისას 100-ტონიან ქვებს მოაგორებს და უხუთისა და საპრასიის მთებიდან საშინელი ზათქითა და ხმაურით მიექანება კოლხეთის დაბლობისკენ, სადაც სოფელ ამაღლებასთან დაწყნარებული და დამშვიდებული მდორედ უერთდება რიონს.

**აი, სწორედ ამ მდინარეზე, იმ ადგილას, რომელსაც ხალხი საუკუნეებია, ბოზოურას ეძახის, ვანის ნაციონალური ოკრუგიდან ამოფრენილი ბუზები გეგმავენ „მცირე" კაშხლის მშენებლობას და მთისთვის ძირის გამოთხრას! ვანის ნაციონალური ოკრუგის** გამგებლის **ალექსანდრე გოგორიშვილისა** და პროექტის ავტორის, ვინმე **ანდრო გოგორიშვილის** გეგმით, მდინარე კვინისწყალი უნდა მოაქციონ ორ უშველებელ რკინის მილში და თავის ბუნებრივ კალაპოტს მოწყვეტილი 2 კილომეტრისა და 700 მეტრის მოშორებით ჩამოიყვანონ სოფელ უხუთისა და საპრასიის გზაგასაყართან, სადაც დაამონტაჟებენ 2-მეგავატიან ტურბინებს.

როგორც 3-მილიონიანი პროექტის ავტორმა უხუთელებს განუცხადა, **„რისკები დათვლილია და მინიმუმამდეა დაყვანილი"...** გოგორიშვილისთვის რომ უკითხავთ — **„ტრუბებში" მოქცეული მდინარის კალაპოტში წითელ წიგნში შეტანილი წითელწინწკლებიანი კალმახი რომ გაწყდება, ამაზე რას გვეტყვითო?** — პროექტის ავტორს მხოლოდ ეს უთქვამს — **ჰო, ეს კიო!**

მეორეც უკითხავთ — **ივლის-აგვისტოში, როგორც წესი, კვინისწყალში წყლის დონე ძალიან იკლებს და მაშინ რას იზამთო? — მაშინ ჰესს აღარ ვამუშავებთ და გავაჩერებთო!**

მოკლედ, სადაც გინდა გაიხედო, **ალექსანდრე და ანდრო გოგორიშვილისა** და მისთანების მიერ „დათვლილი რისკები" და მერე მათი დამანგრეველი შედეგები ყველგან სახეზეა — ვერეს ხეობაშიც, შოვშიც და დარიალის ხეობაშიც...

**აშკარაა, რომ ვიღაც „ღლავები" ამ პროექტს მფარველობენ, თვითონ იმალებიან, ხოლო ჭიჭყინებს აჭიჭყინებენ, რათა ელექტროდენი უცხოეთში გაყიდონ, ხოლო სოფელი უხუთი და მთელი მისი შემოგარენი ნესტისთვის, მარადიული ნისლისა და წვიმისთვის გაწირონ.**

არადა, ყველამ იცის, რომ უხუთის იზაბელა და განსაკუთრებით ალადასტური უბადლოა, ხოლო სოფლის კონკრეტულ მიკროზონებში ისეთი ბუკეტის ცოლიკოური მოჰყავთ, სახელგანთმული და ფართოდ რეკლამირებული ლეჩხუმური „ტვიშისკენ" არც კი გაიხედავ!

როგორც მამცნეს, სწორედ ამავე მიზნით დაძრწიან სოფელ სულორშიც, სადაც მდინარე სულორის დაგუბებას და, შესაბამისად, უნიკალური ეკოსისტემის დანგრევას აპირებენ.

**ალექსანდე გოგორიშვილისა** და ვანელი სექტანტების ლოგიკით, **ვანის ნაციონალურ ოკრუგში** აწი, ალბათ, ეკლესია-მონასტრებსაც დაანგრევენ და მათ ნაცვლად ქალად გადაკეთებული კაცის თუ კაცად გადაკეთებული ქალის — პლასტმასისძუძუებიანი **კესარია აბრამიძის** ძეგლებს აღმართავენ, რომელიც სწორედ ვანელია...

კესარიას ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის **ვანის ნაციონალური ოკრუგის** გამგებელი **ალექსანდრე გოგორიშვილიც** სინამდვილეში კაცად გადაკეთებული ხათუნა გოგორიშვილი აღმოჩნდეს, რომლის საწმერთულმაც „მოქალაქეთა კავშირისა" და ნაცსექტის მიერ გაყალბებული უკლებლივ ყველა არჩევნების ბიულეტენები დაიტია.

***დიტო ჩუბინიძე***

# რას უპირებენ სოფელ უხუთსა და მდინარე კვინისწყალს?

# ფილტვების ანთება მკურნალობის გარეშე არ რჩება!



*ფილტვების ანთება (პნევმონია) თავისით, ან ფეხზე სიარულით მოსახდელ დაავადებათა ნომენკლატურაში არ შედის. ასევე, ფილტვების ანთების განკურნება მხოლოდ ტრადიციული (ხალხური) მედიცინის მეთოდებით გამორიცხულია. ამ დაავადების განკურნებაზე სიტყვა კლასიკური მედიცინის ქომაგებს ეკუთვნით. ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, როდესაც ფილტვების ანთების გართულებული ფორმა ჩაივლის, ამის შემდეგ, უკვე საკმარისად შედეგიანია ტრადიციული და კლასიკური მედიცინის სპეციალისტთა ერთობლივი ძალისხმევა, რაც მკურნალობის შედეგიანობას ეფექტურს ხდის და პაციენტებიც უფრო მეტად კმაყოფილები არიან.*

## ხალხური მედიცინა თვლის, რომ ფილტვების ანთების მკურნალობის ჩატარება აუცილებელია ეტაპობრივად!

**ფილტვების ანთების მკურნალობის I ეტაპი:** მიუხედავად იმისა, რომ იგი მკურნალობის მარტივი და ძველი მეთოდია, მიღებულია და მეტად სასარგებლოა. ეს მეთოდი, მარტივად, პატარა ქილების გამოყენებას გულისხმობს. მეთოდი მარტივია და იგი **შემდეგნაირად კეთდება: აღნიშნული პატარა ქილები კეთდება ფერდებზე, ხერხემლის ორივე მხარეზე, ანუ ფილტვების მდებარეობის იმ მხარეს, სადაც ფილტვების ანთებითი პროცესია და შესაბამისად ტკივილებიც შეინიშნება.**

**შენიშვნა:** მიუხედავად იმისა, რომ ფილტვების ანთების დროს ქილების გამოყენება არც თუ ისე რთულია, მაინც პრაქტიკიდან გამომდინარე, I ეტაპის გამოყენება სასურველია გაკეთდეს ამ მარტივი პროცედურის კარგად მცოდნე ადამიანის ზედამხედველობის ქვეშ.

### ფილტვების ანთების მკურნალობის II ეტაპი



ფილტვების ანთების მკურნალობის II ეტაპისათვის, შესაძლებელია მკურნალობა ჩატარებულ იქნას მცენარეული ნაყენით. კერძოდ, ფილტვების ანთების სამკურნალოდ კარგ შედეგს იძლევა **ჟოლო** და **ცაცხვი.** ფილტვების ანთების სამკურნალოდ **ჟოლოსა** და **ცაცხვის ყვავილებისაგან ნაყენის დამზადება ხდება შემდეგნაირად:**

**თანაბარი რაოდენობით ვიღებთ ცაცხვისა და ჟოლოს გამშრალ ყვავილს, ვურევთ ერთმანეთში კარგად, ვიღებთ მისგან 1 ს/კ-ს, რომელზეც ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს და თავდახურულ ჭურჭელს ვდგამთ მადუღარი წყლის აბაზანაზე 15 წუთი, რის შემდეგაც ნაყენიან ჭურჭელს ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე 45 წუთის განმავლობაში. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ ნაყენს ვწურავთ ნაჭერში და ვიღებთ ნახევარ ჩაის ჭიქას.**

*ფილტვების ანთების სამკურნალოდ ხალხური მედიცინა მრავალი სახის მცენარესა და მისგან დამზადებულ ნახარშებს იყენებს. ჩვენ აქ წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს, რომლებიც გამოირჩევიან წლის ნებისმიერი დროისათვის ხელმისაწვდომობითა და რაც მთავარია მაღალეფექტურობით:*



1. ვირისტერფას ფოთლები 2 წილი;
2. ჭინჭრის ფოთლები 1 წილი;
3. მრავალძარღვას ფოთლები 1 წილი;

აღნიშნულ ჩამონათვალს ვაგროვებთ ცალ-ცალკე, ვაქუცმაცებთ რაც შეიძლება წვრილად, ვაშრობთ ჩრდილში და ვინახავთ ნაჭრის ტომარაში ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში თითოეული მათგანიდან ვიღებთ მინიშნებულ რაოდენობას ფარდობითობით, ვურევთ ენერგიულად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, საიდანაც ვიღებთ ამ ნარევის 1 ს/კ-ს, რომელზეც ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა ანადუღარ წყალს, ვახურავთ თავს და ვადუღებთ წყლის აბაზანაზე 15 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ ნაყენს ვტოვებთ ოთახის ტემპერატურაზე 45 წუთი, რის შემდეგაც ვახდენთ მის გაწურვას.

**მიღება: ჩაის ჭიქის ნახევარი, დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ.**

## კომბოსტოს წვენი კარგი ამოსახველებელი საშუალებაა



ახალი **თეთრთავიანი კომბოსტოს სქელ ფოთოლს** ვატარებთ ხორცსაკეპში ისეთი რაოდენობით, რომ მისგან გამოწურულმა წვენის მოცულობამ შეადგინოს **1 ჩაის ჭიქა,** რომელსაც დამატებული აქვს **1,5-2 ჩაის კოვზი შაქარი.**

**მიღება:** დღეში **3-4-ჯერ ნახევარი ჩაის ჭიქა**

## ხველის მკურნალობა ფიჭვით



ვიღებთ **1 ჩაის ჭიქა ფიჭვის კვირტებს,** ვატარებთ ხორცსაკეპში. მიღებულ მასას ვამატებთ თაფლს(მოცულობით **1:1**), ვდგამთ წყლის აბაზანაში **5 წუთის** ხანგრძლივობით.

**მიღება:** დღეში **5-ჯერ ჩაის კოვზით**

## ძახველის ნაყენი

**იმ მცენარეთა შორის, რომლებსაც არატრადიციული მედიცინა დიდ პატივს სცემს, ერთ-ერთ პირველად შეიძლება დავასახელოთ ძახველის ნაყოფი. მრავალი დაავადების სამკურნალოდ იგი იძლევა ძალიან კარგ შედეგს, რომელთა შორისაც პრიორიტეტული ბრონქიალური ასთმაა.**

ამ მიზნით **ძახველის ნაყოფიდან** შეიძლება დამზადებულ იქნეს შემდეგი სახის ნაყენი: ვიღებთ გადარჩეული, გასუფთავებული 1 კგ **ძახველის ნაყოფს,** ვყრით ემალის თასზე, ვასხამთ **1 ჩაის ჭიქა წყალსა** და **ამდენივე შაქრის ფხვნილს;** ამის შემდეგ ხელის დახმარებით ვახდენთ **ნაყოფისა** და **შაქრის ფხვნილის** ერთმანეთში არევას და დაჭყლეტილი მასის გამოწურვას. ხილიდან მიღებული **ჭენჭო** კვლავ გადაგვაქვს ემალის თასზე, დაფარვამდე ვასხამთ **წყალს** და ვტოვებთ 5-6 წუთი დაბალ ცეცხლზე, შემდეგ ამ ნადუღ წყალს სწრაფად ცხელ მდგომარეობაში ვწურავთ. მთლიან მასას ვაგროვებთ, კვლავ ვწურავთ საცერში და ვაცივებთ. **ძახველის წვენი შაქრის** გარეშეც კი კარგად ინახება მაცივარში.

მიღება: **ძახველის ნაყენის მიღება შეიძლება ნებისმიერი ვარიანტით, როგორც ჩაისთან, ისე ცალკე.**

**იგივე რეცეპტი მიღების იგივე წესით დალებითად მოქმედებს ისეთ დაავადებებზე, როგორებიცაა: ჰიპერტონია, თავის ტკივილი, იმუნიტეტის ამაღლება, ხმის ხრინწიანობა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების და სიმსივნის პროფილაქტიკისათვის.**

**თაფლისა და ნივრის ნარევი მწვავე ბრონქიტის სამკურნალოდ: ვარჩევთ ნიორს და ვატარებთ ხორცსაკეპში. აქედან ვიღებთ ორ ჩაის ჭიქა მასას და ვასხამთ 1,5 ჩაის ჭიქა თაფლს, ვურევთ ენერგიულად, შემდეგ ნარევს ვუმატებთ დაფქულ, დაქუცმაცებულ 5 სუფრის კოვზ სელის ფესვს, 1 სუფრის კოვზ ანისულის დაფქულ ნაყოფს, 1 სუფრის კოვზ კოჭას ფესვებს. აუცილებელია ძალიან ენერგიული არევა.**

**მიღება:** ნარევი ეძლევა დღეში **3-ჯერ,** ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ასეთი დოზირებით:

**3-7 წლის ასაკში — ჩ/კ-ის 1/6; 7-12 წლის ასაკში — ჩ/კ-ის 1/3; დიდებს — ჩ/კ-ის1/2.**



## ბრონქიტის მკურნალობა კორდისკბილას ნაყენით



**ვიღებთ 1 სუფრის კოვზ კორდისკბილას მცენარის დაქუცმაცებულ მასას, ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვათავსებთ ძალიან ნელ ცეცხლზე 4-8 წუთი, ვაცივებთ და ვწურავთ.**

**მიღება:** ნახევარი ჩაის ჭიქა ნაყენი დღეში **2-ჯერ,** ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

**იმავე ნაყენით და გამოყენების იგივე წესით შეიძლება მშრალი ხველების, ხმის იოგების ანთების და მისი ხრინწიანობის მკურნალობა.**




**ძახველის ქერქი შეიცავს ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს C და K-ს, ნაყოფში ბევრია ასკორბინის მჟავა, შაქარი, სათრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მჟავები, კაროტინი, ვიტამინი PP.**

ძახველის ქერქის ნახარში გამოიყენება **კრუნჩხვების, უძილობის, ნევროზის დროს,** გააჩნია დამამშვიდებელი მოქმედება. ამისათვის, 3 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ქერქი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 300 მლ (1,5 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და მდუღარე წყლის აბაზანაში გააჩერეთ 20-30 წუთი, შემდეგ გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 20 წთ-ის განმავლობაში, გადაწურეთ. მიიღეთ დღეში 2-ჯერ ნახევარი ჩაის ჭიქა.

## კვირგვინოსნები

**თამთა კვარაცხელია**
*ტელეწამყვანი*



აეროპორტშივე მივხვდი, რომ **ხვიჩაზე გიჟდებიან.** პირველი, რაც მკითხეს, **ხვიჩას და ხომ არ ვიყავი.** უარით ვუპასუხე, მაგრამ მაინც ჩათვალეს, რადგან ერთი გვარი გვაქვს, ამიტომ ერთი ოჯახიდან ვართ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, უცხო ქვეყანაში ასეთი სიყვარული თუ შეიძლებოდა, გამოეხატათ საქართველოს მიმართ. **ხვიჩა ჩვენი სავიზიტო ბარათია.**

„სარკე“

**ინგა ბერაძე**
*მომღერალი*



ვისურვებდი, **რაც შეიძლება მეტი ოჯახი შეიქმნას 2024 წელს.** ახალგაზრდებს ჰქონდეთ განათლების მიღების საშუალება, სამსახურები და **არ ჰქონდეთ სურვილი, სამშობლოს გარეთ ეძებონ ბედნიერი მომავალი.**

„სარკე“

**არსენ გვენეტაძე**
*ექიმი-ტრავმატოლოგი, ქირურგი*



მეუღლეც და შვილებიც დიდი ხანია, მიჩვეულები არიან, რომ **მე ვარ თავისუფალი მოქალაქე** და ის, რაც არ არის კანონით აკრძალული და სხვის თავისუფლებას არ არღვევს, **თავაშვებულად, ალვირახსნილად შემიძლია ვაკეთო.**

„სარკე“

**ნუგზარ კვაშალი**
*მომღერალი*



იყო დრო, **20-თეთრიანი მეგდო ჯიბეში და ფილარმონიაში ფეხით მივდიოდი.** იყო დრო, როცა თვითმფრინავით ვბრუნდებოდი საქართველოში, **ერთ ჯიბეში 8 ათასი დოლარი მედო, მეორეში — 12 ათასი.** ცხოვრებაში სხვადასხვა მდგომარეობა გვხვდება, ეს ნორმალურია. **ხან გაქვს, ხან — არა.** ისე, სიბერეში **ფულთან ერთად, მგონი, ჭკუაც ქრება.**

„თბილისელები“



**თარაზულად:** 4. წონის ერთეული ძველ რომში; 9. ჰიპოპოტამი; 10. ფრანგი მათემატიკოსი; 11. ვაზის ერთწლიანი რქა; 12. დერეფანი, ტალანი; 13. ნესტიანი, წყლით გაჟღენთილი; 14. ერთ-ერთი შეგრძნება; 15. შნო, მოხერხება; 19. შემსრულებლის რაოდენობა ოქტეტში; 20. ოხუნჯი, ხუმარა; 23. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 24. ყურძნის მცენარე; 26. სპილოს წინაპარი; 27. ცირკის მოედანი; 30. ხის საპობი იარაღი; 31. ჯ. კამერონის ფილმი; 35. ფილმი გივი ბერიკაშვილის მონაწილეობით; 36. ფრანგი მწერალი; 38. ნერვის ანთება; 39. ვატერპასი; 42. წყვილთა ცეკვა; 43. არქიელის თანაშემწე; 46. ბრალდებულის წამება შუა საუკუნეებში; 47. იოგას მასწავლებელი; 48. რუსი მხატვარი; 49. სახოტბო ლექსი; 50. სოფელი ბაღდათის რაიონში; 52. საჭურისი; 53. სანელებელი ერთგვარი; 54. მოხდენილი, სასიამოვნო გარეგნობის; 55. გეოდეზიური იარაღების ნაწილი; 56. საყვარელი (ძვ.).

**შვეულად:** 1. ბასკების ხალხური ბურთაობა; 2. ქართველთა სამოსახლო საფრანგეთში; 3. რეჟისორი ფილმისა „ნათლია“; 4. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 5. ჯოჯოხეთის დარაჯი სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოსში; 6. ოქროს მიღების მეტალურგიული პროცესი; 7. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 8. მუსიკის დიდი მოყვარული; 15. ჯადოქრობა, მისნობა; 16. გერმანელი მწერალი; 17. ერთგვარი სასმისი; 18. სისხლის შენადენი სისხლძარღვში; 20. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 21. აჩრდილი; 22. ცხენის ნაშიერი; 25. ერთგვარი ძეხვი; 28. რისამე შინაარსი; 29. ქართველი ექსფეხბურთელი; 31. იაპონიის იმპერატორის ერთ-ერთი ტიტული; 32. ხშირი დაბურული ტყე; 33. ნიგერიის ფულის ერთეული; 34. ბოქსი; 36. იგივეა, რაც მალამო; 37. ძალიან იშვიათი რამ; 39. ღვთისმეტყველება; 40. სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივება; 41. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრნი; 43. პოლონეთის დედაქალაქი; 44. საფრანგეთის კუნძული; 45. ჟუჩუ, ბოხი ხმით ხმამაღლა ლაპარაკი; 50. დასტურის სიტყვა; 51. ნ. დუმბაძე — „მე ვხედავ ...“.



**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. უნცია; 9. ბეჰემოთი; 10. ფურიე; 11. ლერწი; 12. კორიდორი; 13. ნოტიო; 14. სმენა; 15. მარიფათი; 19. რვა; 20. ქილიკი; 23. გესტაპო; 24. ვაზი; 26. მამონტი; 27. არენა; 30. ცული; 31. ტიტანიკი; 35. ლონდრე; 36. სიუ; 38. ნევრიტი; 39. თარაზო; 42. ვალსი; 43. ვიკარი; 46. ორდალია; 47. გურუ; 48. რერიხი; 49. ოდა; 50. დიმი; 52. ცვედანი; 53. ილი; 54. კოხტა; 55. ალიდადა; 56. ხასა.

შვეულად: 1. პელოტა; 2. ლევილი; 3. კოპოლა; 4. უილისი; 5. ცერბერი; 6. აფინაჟი; 7. პრეტორია; 8. მელომანი; 15. მაგია; 16. რასპე; 17. ფიალა; 18. თრომბი; 20. ქიმია; 21. ლანდი; 22. კვიცი; 25. ზელცი; 28. რაობა; 29. ნოდია; 31. ტენო; 32. ტევრი; 33. ნაირა; 34. კრივი; 36. სალბუნი; 37. უნიკუმი; 39. თეოლოგია; 40. რადიაცია; 41. ზულუსები; 43. ვარშავა; 44. კორსიკა; 45. როხროხი; 50. დიახ; 51. მზეს.

**თარაზულად:** 1. სამხედრო წოდება; 6. „სავარცხლიანი“ ფრინველი; 7. ქუთაისური მიმართვა; 8. საფეხბურთო მატჩის დროის სტანდარტული მონაკვეთი; 10. ჰაერის გაცივებისა და წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგი მიწის ზედაპირზე; 13. მონადირეების საყვარელი ფრინველი; 14. პირველი პირის ნაცვალსახელი; 15. ქმრის და; 17. სახელმწიფო აზიაში; 18. საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მაღაზიათა ქსელი; 19. რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით; 20. მუსიკალური მიმდინარეობა; 24. სიცხეში სანიავებელი ნივთი; 25. ყავის მოსადუღებელი; 26. მილიმეტრის აბრევიატურა; 27. სადესერტო ღვინო. 28. ირლანდიური ტერორისტული ორგანიზაცია; 29. ჯეიმს ჯოისის ნაწარმოები.

**შვეულად:** 1. ადრეული ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა; 2. ინერტული ერთატომიანი ქიმიური ელემენტი; 3. თვითმფრინავის „მარშრუტი“; 4. საღებავი, რომელსაც ღებულობენ რიგი სახეობის წყალმცენარისაგან; 5. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 9. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 11. ორი სახეობის თანაცხოვრება; 12. პერიოდული სისტემის მე-2 ჯგუფის ელემენტი; 16. შორს ზუსტად მსროლელი; 20. იმიტომ, ...; 21. კარატეს სახეობა; 22. სოფელი გარდაბნის რაიონში; 23. მიდამო; 26. გალაკტიონის ლექსი; 27. მსახიობი ... ფეროუ.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული 10 კითხვა ინტელექტუალთათვის პასუხები:**

1. აბრაამ ლინკოლნი; 2. იადგარი; 3. A=წარმატებას; 4. მაკიაველიზმი; 5. ლასო; 6. ბერიკაობა; 7. სერგეი ეიზენშტეინი; 8. „სოიუზი“ და „აპოლონი“; 9. ცუნამი; 10. იური ვლასოვი.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. გენერალი; 6. ოფოფი; 7. სიმონ; 8. ტაიმი; 10. ცვარი; 13. იხვი; 14. მე; 15. მული; 17. სირია; 18. არაი; 19. ზომა; 20. რეპი; 24. მარაო; 25. ჯეზვე; 26, მმ; 27. მარსალა; 28. ირა; 29. „ულისე“.

შვეულად: 1. გნოსტიციზმი; 2. ნეონი; 3. რეისი; 4. ლაკმუსი; 5. პანამა; 9. მარიხი; 11. სიმბიოზი; 12. კალციუმი; 16. სნაიპერი; 20. რომ; 21. გოჯურიუ; 22. ვაზიანი; 23. არემარე; 26. მერი; 27. მეა.

# 10 კითხვა ინტელექტუალთათვის



აშშ-ის რომელი პრეზიდენტი მოკლეს თეატრში?



რა ჰქვია მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა განთქმულ კრებულს?



ამბობენ, აინშტაინმა გამოიგონა ფორმულა: A=X+Y+Z. სადაც X არის მუშაობა; Y — თამაში; Z — ენაზე კბილის დაჭერის ცოდნა.

**რა არის A?**



**რას უწოდებენ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც დასახული მიზნის მისაღწევად გამართლებულია ყოველგვარი საშუალება: მოტყუება, ვერაგობა, გამცემლობა, მკვლელობა და ა.შ. (წარმოიშვა იტალიელი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის გვარის მიხედვით).**

**რა ჰქვია ქამანდს, რომლითაც ამერიკაში მწყემსები და მონადირეები იჭერენ ცხოველებს?**





**ძველად საქართველოში იმართებოდა სახალხო თეატრალიზებული წარმოდგენები ნიღბებით.**

**რა ეწოდება ასეთ წარმოდგენას?**





კინოფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, რომელშიც ნაჩვენებია მეზღვაურების აჯანყება გემზე, შესულია მსოფლიო კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში.

**ვინ არის ამ ფილმის რეჟისორი?**



1975 წელს კოსმონავტიკის ისტორიაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა. პირველად საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხომალდები შეპირაპირდნენ კოსმოსურ სივრცეში და ეკიპაჟის წევრებმა ერთმანეთი მოინახულეს.

**რა ერქვა ამ კოსმოსურ ხომალდებს?**



კუნძულ კრაკატაუზე ვულკანის ამოფრქვევისას 35 მ სიმაღლის გიგანტური ტალღები წარმოიშვა. ისინი ყველა მიმართულებით გავრცელდა და 32 საათის შემდეგ საფრანგეთის ნაპირებს მიაღწია.

**რა უწოდეს ამ ტალღებს?**



**რომელმა მწერალმა დაამყარა 28 მსოფლიო რეკორდი ძალოსნობაში?**

## კევირგვინოსნები

**ტატო მოლექიშვილი**
*მომღერალი*



მე მყავს ბიძა — **ნუგზარ თუშიშვილი**, საოცრად ნიჭიერი მუსიკოსი და კომპოზიტორი. ბიძაჩემმა დამიწერა სიმღერა **„ფსოუს წყალი“**, რომელიც მოგვიანებით ქვეყნის მაშინდელ მამამთავარს მოეწონა და **დაგვემუქრნენ, თუ არ დათმობთ ამ სიმღერას, ბინას დაგიყადაღებთო.**

„თბილისელები“

**ნანა მელქაძე**
*დიზაინერი*



**80 წლისაც რომ ვიქნები,** მაშინაც არ ვიტყვი სიტყვას: **„დაბერდი“.**

„სარკე“

**ნინო სარგველაძე**
*მეცო სოპრანო*



ქალს შეუძლია, **ყველა ასაკი მოიხდინოს,** შეუხედავი ქალი არ არსებობს.

„სარკე“

**ჯიმ კერი**
*კომიკოსი მსახიობი*



**ცხოვრებაში და ეკრანზე ორი სხვადასხვა ადამიანი ვარ.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ლითონები

*— რით იქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას მინერალური წიაღისეულის გამოფენებზე სპილენძის შემცველი მინერალები ანდა რას გვაგონებს ოთახში რკინის ნაკეთობების სიჭარბე და ამის საპირისპიროდ, რა შეგრძნებას იწვევს ოთახი, სადაც სპილენძის ბევრი ნაკეთობაა? რატომ იყენებენ მთელი რიგი მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად სპილენძს? წყლის ბინადარი რბილტანიანები: კალმარის, რვაფეხას, ორსაგდულიანი მოლუსკების სისხლის შემადგენლობაში შემავალი ჰემოგლობინის მოლეკულა რატომ შეიცავს მარსისეული ლითონის რკინის ნაცვლად ვენერასეულ სპილენძს და რაზე მიუთითებს ეს ყოველივე ანდა ცის კაბადონზე რომელ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როცა მაიკლ ფარადეიმ „დინამოს პრინციპი“ აღმოაჩინა? რომელია პლანეტა მარსის ძირითადი მახასიათებლები? მის რომელ თვისებაზე მიგვითითებს იქ მიმდინარე უძლიერესი შტორმები, რომელიც რამდენიმე კვირას გრძელდება? რას ამბობდა შუა საუკუნეების მეცნიერი და ალქიმიკოსი პარასცელსი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი პლანეტებისა და ლითონების საერთო თვისებებისა და კავშირის შესახებ. სიყვარულისა და სილამაზის მმართველ პლანეტა ვენერასა და სპილენძის ურთიერთკავშირზე გვესაუბრებოდით.**

— **სუფთა სპილენძი მოვარდისფრო-მოწითალოა, თბილი ბზინვარებით. რკინა კი (პლანეტა მარსის შესაბამისი ლითონი) ცივი ლითონური ბზინვარებით ხასიათდება.** სპილენძის ნაკეთობები ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი რბილი, ადვილად დრეკადი პლასტიკური ლითონია. მისგან გამძლე ნაკეთობის დასამზადებლად აუცილებელია სხვა ლითონებთან შედნობა, რათა მივიღოთ ისეთი შენაერთი, როგორიცაა ბრინჯაო ან თითბერი. მინერალური წიაღისეულის გამოფენებზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხოლმე სპილენძის მადანი და სპილენძის შემცველი მინერალების — მალაქიტისა და ლაზურიტის ნაზი მომწვანო-მოლურჯო ფერი. მათი ნახატის მრავალფეროვნება საგრძნობლად განსხვავდება რკინის მინერალების — პირიტებისა და ჰემატიტების მყარი და მასიური ფორმებისგან. პირიტის კრისტალები ქმნიან სრულფასოვან კუბს, რომელიც აშკარად გამოხატავს მარსისეულ საბრძოლო სულისკვეთებასა და ძალას. საპირისპირო შეგრძნებას იწვევს მალაქიტი, თავისი მომწვანო-მოლურჯო მომრგვალებული მაქმანური ნახატებით, რომლებსაც უფრო ხშირად მრგვალ ფორმას აძლევენ და აპრიალებენ, რაც უფრო მეტად ანიჭებს სირბილის შეგრძნებას. **სპილენძის მინერალთა** სახელწოდებებიც (მალაქიტი, ლაზურიტი, ფირუზი და სხვ.) ქალური ხასიათისაა და კიდევ ერთხელ გვაგონებს **პლანეტა ვენერას** მოსიყვარულე ბუნებას. ნიშანდობლივია, რომ ოთახი, სადაც რკინისა და ფოლადის ნივთები ჭარბობს, ქარხანას ან ოფისს ემსგავსება და თავგამოდებული შრომის მოთხოვნილებას ბადებს. ის ოთახი კი, სადაც სპილენძის ნაკეთობები ჭარბობს, პირიქით, სითბოთი და მეგობრული განწყობით არის სავსე და მოდუნებისა და დასვენებისკენ გვიბიძგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ **სპილენძი თავისი ძლიერი რეზონანსული თვისებების გამო მთელი რიგი მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად გამოიყენება** (დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის, თეფშებისთვის და ზოგჯერ ჩასაბერი ინსტრუმენტებისთვისაც). **ასტროლოგიაც ტრადიციულად მუსიკას სწორედ პლანეტა ვენერას უკავშირებს.** მითის თანახმად, ქალღმერთი ვენერა წყლიდან ამოვიდა და ასევე სპილენძიც გვახსენებს თავის კავშირს წყალთან, რამეთუ მისი ყველა მარილი ტალღისფერი, მომწვანო ან მოლურჯოა. **სპილენძის** ყველა მარილი და მადნეული ჰიდრატია, ანუ წყალს შეიცავს. თითქმის ყველა მარილი უპრობლემოდ იხსნება წყალში. ნიშანდობლივია, რომ **წყალში მცხოვრები სხვადასხვა ე.წ. რბილტანიანების სუნთქვის პროცესი არა რკინის, არამედ სპილენძის დახმარებით ხორციელდება.** ამ არსებებს **მარსის** ბობოქარი ენერგია არ ესაჭიროებათ, მათი ცხოვრების წესი მეტად მშვიდია. **რვაფეხას, კალმარის, კრივეტის და სხვათა სისხლი რკინის შემცველი ჰემოგლობინის მოლეკულის ნაცვლად შეიცავს უფრო მარტივ სპილენძის შემცველ მოლეკულას.** ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ორსაგდულიანი ე.წ. **მარგალიტის მოლუსკი,** რომელიც სუნთქავს და იზრდება სპილენძის მეშვეობით მიმდინარე ქიმიური პროცესების დახმარებით. დიახ! ეს, სწორედ ის **მარგალიტის მოლუსკია,** რომლის ნიჟარიდანაც (ბოტიჩელის ნახატის მიხედვით) ქალღმერთი **ვენერა** იშვა. აღსანიშნავია ისიც, რომ **არაორგანულ სამყაროშიც ასეთი პოლარიზაცია სუფევს.** გავიხსენოთ **„დინამოს პრინციპი“,** სადაც რკინისა და სპილენძის ურთიერთშესატყვისი მოძრაობა ელექტრულ დენს წარმოქმნის. ამასთან, რკინა მაგნიტურ ველს წარმოშობს, ხოლო სპილენძის სადენები ელექტრული დენის გამტარს წარმოადგენს. ამგვარად, **მარსისა და ვენერას** პულსირებადი ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ცვლადი დენის ენერგია ჩვენი ცივილიზებული სამყაროს უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **იმ დღეს, როცა მაიკლ ფარადეიმ „დინამოს პრინციპი“ აღმოაჩინა, ანუ 1831 წლის 17 ოქტომბერს ცის კაბადონზე პლანეტები — მარსი და ვენერა ე.წ. შეერთებულნი იყვნენ.**

**— პლანეტა მარსისა და მისი შესაბამისი ლითონის რკინის საერთო თვისებების შესახებ რას გვეტყვით?**

— **მარსი მზის სისტემის მეოთხე პლანეტაა. მისი ძირითადი მახასიათებლებია ბრძოლისუნარიანობა, ენერგიულობა, გამძლეობა. იგი მართავს ომებს, საიდუმლო პროცესებს, ეჭვიანობას, განრისხებას, სიკვდილს და სხვა.** უძველესი დროიდან ასტროლოგები ამ პლანეტას უკავშირებდნენ რკინას, რაც თანამედროვე კოსმოსურმა კვლევებმა დაადასტურა. **მარსის,** იგივე **წითელი პლანეტის ნიადაგი** რკინითაა გაჯერებული. მისი ნიადაგის მტვერიც კი უძლიერეს შტორმებს იწვევს, რომლის ხანგრძლივობა რამდენიმე კვირა გრძელდება. ამგვარი ქარბუქი პლანეტის ზედაპირზე არსებულ მაღალ მთებსაც შლის და ანადგურებს. **ამგვარი შტორმი კარგად გამოხატავს პლანეტა მარსის ისეთ თვისებას, როგორიცაა განრისხება. მას ორი კლდოვანი თანამგზავრი გააჩნია — „ფობოსი“** (შიში) და **„დეიმოსი“** (სასოწარკვეთა). ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად განადგურდება და ნაწილებად დაიშლება, როცა **პლანეტა მარსს** ძალიან მიუახლოვდება. კოსმოსის ამგვარი თანამედროვე კვლევები აღრმავებს რა ჩვენს ცოდნას, უფრო მეტად გვარწმუნებს ადრეული მეცნიერების ვარაუდის სისწორეში და ამყარებს ჩვენს შემეცნებას „ჰერმეტიზმის პრინციპთან“ მიმართებით, რომელიც შუა საუკუნეებში მეცნიერმა და ალქიმიკოსმა **პარაცელსმა** მოგვაწოდა. იგი ამბობდა, **„ვინც იცის რკინის თვისებები, მან იცის მარსი, ვინც იცის მარსი, იცის რკინის თვისებები“.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 11-17 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ენერგიული იქნებით. საზოგადოებრივი საქმიანობა თვითკმაყოფილებას და პატივისცემას მოიტანს. ეცადეთ, მოქმედებისას მოზღვავებული ემოციები და არა ორდინარული იდეები თავს არავის მოახვიოთ, რათა სხვათა აგრესია არ გამოიწვიოთ. სამსახურსა და შეყვარებულთან კონფლიქტი ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. კარგი პერიოდია ახალი საქმის გააზრებისა და დაწყებისთვის. ნათესავებთან ერთად დაწყებული საქმე კარგად წარიმართება. მოგზაურობისას პრობლემები არ არის მოსალოდნელი.

**კურო** (21.04-20.05)
საქმიან პარტნიორებთან კარგი ურთიერთობა განწყობასა და მუშაობის ხარისხზე აისახება. ბევრ ადამიანთან კონტაქტი, გადაადგილებებისა და ცვლილებების ატანა გაგიჭირდებათ, ამიტომ ხშირად დაისვენეთ. მიღებული ინფორმაცია შემოწმების გარეშე არ გამოიყენოთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებთან და მეუღლესთან ურთიერთობა არ გაამწვავოთ. ახალი რომანი დიდხანს ვერ გასტანს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ქუჩაში გადაადგილებისას და მოგზაურობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
დიდი შენაძენისგან თავი შეიკავეთ და ეცადეთ, ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნოთ. გარშემო მყოფებისგან ბევრი რამის დამალვა მოგიწევთ და მხოლოდ საყვარელ ადამიანთან და ბავშვებთან იგრძნობთ თავს თავისუფლად. დრო გამონახეთ, რათა სამომავლო მიზნებსა და ამოცანებში გაერკვეთ. გადაადგილებისას ხშირი იქნება პრობლემები, დაგვიანებები, რაც მოლაპარაკებებს გაართულებს. მგზავრობა, შესაძლოა, სხვათა მიზეზით ჩაიშალოს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თანამოაზრეთა დაყოლიება სამომავლო გეგმების განხორციელებისა და თანხმობის მისაღებად გაგიადვილდებათ. სამსახურის ან თანამდებობის შემოთავაზების შემთხვევაში უარი არ თქვათ. ოჯახში შესაძლოა, მატერიალური პრობლემა გაჩნდეს, რაც ზუსტ ხარჯთაღრიცხვას მოგთხოვთ. სხვისი ფული ჯობს, არ გამოიყენოთ. კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობას მეტ ყურადღებას მიაქცევთ და შორეულ მოგზაურობას მოერიდებით.

**ლომი** (23.07-23.08)
პროფესიულ საქმეში მშვენიერი მიღწევები გექნებათ, თუმცა, ეცადეთ, არავინ დაჩაგროთ და დაამციროთ, რადგან ეს თქვენს ავტორიტეტზე ცუდად აისახება. კარგი პერიოდია ფინანსური ოპერაციებისთვის და ხელშეკრულებების დასადებად. აგრეთვე, მოგზაურობისთვის, მიმოწერისთვის, სწავლისთვის ან სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. ახალი სასიყვარულო ურთიერთობის ჩამოყალიბების ალბათობა არსებობს, რომელიც თქვენს ცხოვრებას რომანტიკულობას შემატებს.

**ქალწული** (24.08-23.09)
შემოსავლის მიღება გართულდება და შესაძლოა, სასიყვარულო პარტნიორზე დამოკიდებული გახდეთ არამარტო სულიერად, არამედ ფინანსურადაც. რთულ სიტუაციაში ემოციურობას ერიდეთ და დახმარება გამოცდილ ადამიანს სთხოვეთ. შეეცადეთ, იურიდიულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობას თავი აარიდოთ. საბუთებს ყურადღებით მოეკიდეთ. საჭირო ადამიანების შეწუხება არ მოგერიდოთ და ხშირ-ხშირად დაისვენეთ.

## 11-17 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ახალი კავშირები დამატებითი შემოსავლის მიღებას ხელს შეუწყობს, თუმცა, ფინანსური საკითხის მოგვარებისას სიმშვიდის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. ოჯახის წევრთა რჩევები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. ხიბლი მოგემატებათ, რაც საწინააღმდეგო სქესის თაყვანისმცემელთა რაოდენობას შეგმატებთ. ჯანმრთელობა კი თქვენს ემოციებსა და განწყობაზე იქნება დამოკიდებული.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გარშემო მყოფები თქვენგან გააზრებულ, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას მოელიან, მაგრამ კომპრომისთან მიღწევა და შეთანხმება გართულდება. ახალი მიზნების გამო წარსულზე თამამად იტყვით უარს და წინააღმდეგობებს არ მოერიდებით. თუმცა, ჯობს, გადაწყვეტილებაც და ახლისკენ პირველი ნაბიჯებიც მოგვიანებით გადადგათ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. მოგზაურობას მოერიდეთ და შეყვარებულთან აგრესიული ნუ იქნებით.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
სწრაფად და მიზანმიმართულად მოქმედება გაგიადვილდებათ. შემოსავალი, შესაძლოა, არაფორმალური საქმიანობით ან საიდუმლო გზებით მიიღოთ. დიდი იქნება თანამედროვე ტექნიკის ან მოდური ტანსაცმლის შეძენის სურვილი, მაგრამ იმპულსურ გადაწყვეტილებას მოერიდეთ. ეცადეთ, გარშემო მყოფები საუბრით არ გადაღალოთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ და საბუთებიც ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ძირითად დროს ახალ საქმეებსა და გარდაქმნებზე ფიქრს დაუთმობთ, თუმცა, შეხვედრები დამღლელი და ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდება. მოგიწევთ, დრო ყოველდღიურ საქმეებსა და ოჯახის წევრთა პრობლემებს დაუთმოთ. პირად და საოჯახო საქმეებში ახლობელთა დახმარების იმედი ნუ გექნებათ, ამიტომ ეცადეთ, დამოუკიდებლად იმოქმედოთ. ბუნების წიაღში სეირნობა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა შვებას მოგგვრით. შორეული მოგზაურობა კი გადადეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ეცადეთ, ამ პერიოდში არაფერი შეცვალოთ, რადგან ამით დამატებითი პრობლემებს შეიქმნით, სამსახურში გაუგებრობებს ადვილად მოაგვარებთ. ფსიქოემოციური პრობლემის გამოსასწორებლად სულიერი პრაქტიკა გამოიყენეთ. დროა, ჯანმრთელობასაც მიხედოთ. სასიყვარულო სფეროში ყველა დეტალი გაითვალისწინეთ და უფრო დიპლომატიური იყავით. უცხოელებისგან მიღებული ინფორმაცია აუცილებლად შეამოწმეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა გაგიჭირდებათ, რის გამოც გეგმები გზადაგზა შეგეცვლებათ. შესაძლოა, რომელიმე ოჯახის წევრის ან ახლობლის მოვლა მოგიწიოთ. საქმიანობის ან სამსახურის შეცვლა ადრინდელი ჩანაფიქრის განხორციელებაში დაგეხმარებათ. სიახლის შესწავლა, ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, ახალი კავშირების დამყარება და ურთიერთობა გაგიადვილდებათ. კარგი პერიოდია სპორტისთვის, გამაჯანსაღებელი პროცედურებისა და სულიერი პრაქტიკებისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**12, 13, 15 და 16 დეკემბერი**

**13 დეკემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 03.32 საათზე;**
**27 დეკემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 04.34 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 11 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.18 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.23) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 16.01 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 08.18 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.57 საათიდან 15.43 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ შესაძლებელია შემოქმედებითი იდეის განხორციელება. შესაძლოა, ბუნებრივ ძალთა მხარდაჭერა შეიგრძნოთ. სიმშვიდე დაიცავით, ამავდროულად, მოტყუების ალბათობა იმატებს. ცდუნებებს მოერიდეთ. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიში, წყლის პროცედურები, ფილტვების, მხრების, ხელების, მეტყველების დეფექტის მკურნალობა. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სხივური თერაპია, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი. **საღამოს** ფირუზი, ბრილიანტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 12 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.18 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 07.48 საათზე, ჩადის 16.42 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 09.51 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხვალინდელი ახალმთვარეობის წინადღეს მოერიდეთ მიწისქვეშა კომუნიკაციებს (მეტრო, მღვიმე, გამოქვაბული). არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მშენებლობა, სისხლის გადასხმა, სარკაზმი, კამათი, კონფლიქტურობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, თანამშრომლობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, იურიდიული საკითხების მოსაგვარებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ქარვა, საფირონი, ლაზურიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 13 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.19 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.41) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 09.00 საათზე, ჩადის 17.34 საათზე **(ახალმთვარეობაა,** პიკი 03.32 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. მე-2 დღე იწყება 11.17 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ახალმთვარეობის მძიმე ენერგიებისა და მოვლენების დღეა, რაც განაპირობებს ტრავმებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ავარიებს, აგრესია-დეპრესიულობას, სარკასტულობას, კონფლიქტებს. სიფრთხილე გმართებთ. პროვოკაციებს მოერიდეთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. არ არის სასურველი მშენებლობა, ახალი საქმის დაწყება, სისხლის გადასხმა, ალკოჰოლისა და ხორცეული პროდუქტების მიღება. სასიკეთოა ლოცვა! ყველას დალოცვა! აკონტროლეთ ემოციები. კარგი დღეა ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, ნეფრიტი, აკვამარინი, სერდოლიკი, ამეთვისტო, გიშერი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 14 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.20 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 10.04 საათზე, ჩადის 18.38 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 12.22 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** იწყებს რეტროგრადულ მოძრაობას, რაც გაართულებს მგზავრობას, მოლაპარაკებებს, ინფორმაციის მიღება-გადაცემას, ახალი იდეების რეალიზაციას. ეს პერიოდი ითხოვს ძველი შეცდომების გამოსწორებას, ძველი იდეების რეალიზებას ან შეცვლას, ძველი კავშირების განახლებას. დღეს აქტიურად უნდა იმოქმედოთ. კარგი დღეა სწავლისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. სასიკეთოა კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ფილტვების მკურნალობა. მოერიდეთ ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 15 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.21 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.00) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 10.57 საათზე, ჩადის 19.52 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 13.01 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.03 საათიდან 22.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღევანდელი დღის პოზიტიური შესაძლებლობანი გამოიყენეთ და ცვლილებები განახორციელეთ საღამომდე. კარგი დღეა არაფორმალური შეხვედრებისთვის, მშენებლობისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, ეპილაციისთვის, ნადირობა-თევზაობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, გაცვლითი ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კანი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ოპალი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 16 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.21 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 11.40 საათზე, ჩადის 21.11 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 13.24 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო დღეა კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის. ურთიერთობისას თავი შეიკავეთ კრიტიკისგან. შედეგიანია გულ-სისხლძარღვთა მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშები, ცურვა. სასიკეთოა სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები, ბინის შეცვლა, სესხის აღება, საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმიანობა. არ არის სასურველი ნერვიულობა, თვალების გადაღლა, ფეხზე დიდხანს დგომა, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 17 დეკემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.22 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.00) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 12.14 საათზე, ჩადის 22.29 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 13.37 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.04 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. დღეს დაეყრდენით საღ, ლოგიკურ აზროვნებას, ფანტაზიებს ნუ აჰყვებით. კარგად იფიქრეთ, სანამ რაიმეს იტყვით. მანდილოსნები უფრო რეალისტები იქნებიან. ყურად იღეთ დედის რჩევა. იმოქმედეთ პრინციპით „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი". მოსალოდნელია ოპტიმისტურობისა და პესიმისტურობის ცვლა. კარგი დღეა ნოვატორული საქმეებისთვის, ელექტრო და აირმოწყობილობების, კომპიუტერული აპარატურის შესაძენად, რეკლამირებისთვის, ბინის შესაცვლელად, უძრავი ქონებით, მინერალებით, ლითონებით ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, თვალების გადაღლა, ფორიაქი, ფეხზე დიდხანს დგომა, საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, თვალები. **ქვები:** აკვამარინი, ძოწი, საფირონი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

✝ **11 დეკემბერი. ორშაბათი.** ღირსმოწამისა და აღმსარებელისა სტეფანე ახლისა; მოწამისა ირინარქესი და წმიდათა 7-თა დედათა; მოწამეთა: სტეფანესი, ბასილისა, გრიგოლისა, სხვა გრიგოლისა, იოანესი და სხვათა მრავალთა.

✝ **12 დეკემბერი. სამშაბათი.** მღვდელმოწამისა აბიბოსისა, ნეკრესელი ეპისკოპოსისა; მოწამისა პარამონისა და მისთანა 370-თა მოწამეთა; მოწამისა ფილუმენისა.

✝ **13 დეკემბერი. ოთხშაბათი. წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელისა; წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა; პეტრე I კათალიკოსისა, წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწისა; სამოელ I კათალიკოსისა;** ფრუმენტისა, ინდოელი მთავარეპისკოპოსისა.



13 დეკემბერი – წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა

✝ **14 დეკემბერი. ხუთშაბათი.** წინასწარმეტყველისა ნაუმისა; მართლისა ფილარეტ მოწყალისა; მოწამისა ანანია სპარსისა.

✝ **15 დეკემბერი. პარასკევი.** წინასწარმეტყველისა ამბაკუმისა; ღირსისა ისესი, წილკნელი ეპისკოპოსისა, 13 ასურელ მამათაგანისა; მოწამისა მიროპიასი; ღირსთა: იოანესი, ირაკლემონისა, ანდრიასი და თეოფილესი.

✝ **16 დეკემბერი. შაბათი.** სოფონიასი; ღირსისა თეოდულე კონსტანტინოპოლელისა; ღირსისა იოანე მდუმარისა, კოლონიის ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა თეოდორესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **17 დეკემბერი. კვირა. წმინდა დიდმოწამე ბარბარესი;** მოწამისა იულიანასი; ღირსისა იოანე დამასკელისა; ღირსისა იოანესი, პოლივოტელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.



## 12 დეკემბერი – ხსენება მღვდელმოწამისა აბიბოსისა, ნეკრესელი ეპისკოპოსისა

უფლის ნებითა და ღვთისმშობლის ჩაგონებით ასურეთიდან საქართველოში **ღირსი იოანე ზედაზნელი** და მისი მოწაფეები ჩამოვიდნენ **VI საუკუნეში.** მათ შორის იყო **აბიბოს ნეკრესელი. წმიდა მამა ღირს იოანესთან** და სხვა ძმებთან ერთად ზადენის მთაზე ცხოვრობდა. მოგვიანებით მათ **ევლავიოზ კათალიკოსისა და იოანე ზედაზნელის კურთხევით, იოსებთან და ზენონთან ერთად, კახეთის სხვადასხვა მხარეს მიაშურეს.**

**აბიბოს ნეკრესელი** დაუღალავად მოღვაწეობდა — ეპარქიის სოფლებსა და დაბებში დადიოდა, ქართველებს ჭეშმარიტებას უქადაგებდა და გამაგრებისკენ მოუწოდებდა.

სპარსელებმა **წმიდა აბიბოს ნეკრესელი** შეიპყრეს და სასტიკად აწამეს, ბოლოს კი „ქვითა გატვინეს". მისი ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, უპატივოდ დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად, თან მცველები მიუჩინეს, რათა ქრისტიანთაგან არავის მოეპარა და არ დაესაფლავებინა. ღამით მღვდლები და ბერები მივიდნენ აბიბოს ნეკრესელის ცხედართან და წმიდა მღვდელმოწამის ნეშტი დიდი პატივით დამარხეს სამთავისის მონასტერში. **აბიბოს ნეკრესელის** საფლავთან სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა.

**წმიდა ანდრია მოციქულთაგან** პირველი შეუდგა ქრისტეს, ამიტომაც შეარქვეს პირველწოდებული. იგი ბეთსაიდში დაიბადა. **ანდრიამ** უფალი შეიყვარა და ჭეშმარიტ სწავლებას ეძებდა. როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა წინასწარმეტყველის **იოანე ნათლისმცემლის** ხმა, იგი მაცხოვრის უახლოესი მოწაფე გახდა. ქრისტეს ამაღლების მერე, **„რა ჟამს წილად იგდეს მოციქულობა",** საქართველოს მოქცევა წილად ხვდა ღვთისმშობელს, მაგრამ მოახლოებული იყო მისი გარდაცვალების ჟამი და ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, ხოლო საქართველოში **ანდრია პირველწოდებული** გაეგზავნა საქადაგებლად და გაეტანებინა თავისი ხელთუქმნელი ხატი.

**ნეტარმა ანდრიამ** გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია და შავი ზღვისპირეთს მიაშურა. იგი **„შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდ-აჭარა ეწოდების და უფლის სიტყვა იქადაგა".** მან მთელი საქართველო მოიარა და მერე სომხეთში გადავიდა, იქიდან კი იერუსალიმს გაემგზავრა, მაგრამ კვლავ დაბრუნდა საქართველოში **სვიმონ კანანელთან** და **მატათასთან** ერთად. უკანასკნელი ადგილი, სადაც მან იქადაგა, იყო პატრები (საბერძნეთი), სადაც ჯვარზე დაკიდებული აღესრულა. ანდრია პირველწოდებული დაკრძალულია კონსტანტინოპოლში, წმიდა მოციქულთა ტაძარში.



## 13 დეკემბერი – წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა

**„ანდრია მოციქული ვადიდოთ, რომელმან მოგვისვენა ხატი ყოვლადწმიდისა და მათ მოგვაქცევინა წარმართნი თაყვანისცემად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა".**




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. ბოლერო; 8. მაფია; 11. კარტელი; 12. ტალინი; 13. ზიგოტა; 14. სარმა; 15. ავოკადო; 16. როდოსი; 19. ნიანგი; 20. ტაბულა; 21. ეპითეტი; 25. დენდი; 26. ცირკი; 28. ლაპისი; 31. ასპარეზი; 32. ქერი; 34. ცუკატი; 35. გინეა; 36. მარაკანა; 37. მადლი; 38. როდინი; 41. რადიო; 44. მირიკინი; 48. ბოსი; 50. ტიკინა; 51. ანტი; 52. ტოსკანინი; 53. სორო; 54. კალასი; 57. ოინი; 59. ოპერატორი; 64. პარმის; 65. შივა; 66. კანა; 67. გრამატიკა; 68. რეალია; 69. ბანი; 70. როინ.

**შვეულად:** 1. ოკეანე; 2. არგონი; 3. მეკარე; 4. ბიზონი; 5. ლეგრანი; 6. ოტარიდი; 7. ნინო; 8. მისია; 9. ფარდული; 10. ანაბარი; 17. დანტე; 18. სტილი; 22. პასკალი; 23. თიაქარი; 24. ტრეპანი; 26. ციცარი; 27. კლასი; 29. პაი; 30. სტეკი; 32. ქიმი; 33. როდეო; 35. გირი; 39. დეი; 40. ნაირა; 42. დონგი; 43. ონილი; 44. მეტრო; 34. რასპე; 46. კოატა; 47. ნეირო; 48. ბასი; 49. სარკმელი; 50. ტიკი; 55. ლაიკა; 56. სპარი; 57. ოსკარი; 58. ნანტი; 60. პერუ; 61. რემა; 62. ტატუ; 63. რუკა.

**მილიმეტრიკაბალაგანიმედიუმიაკიმიმასივილისი**
**პონტიაკიდომინოტავრიაბაკარადიორიალიონილისი**

| სიგრძის საზომი ერთეული | მონური დამოკიდებულება ვინმეზე | ზევსის მერიქიფე | ესკიმოსების ნავი | პლანეტა სატურნის თანამგზავრი | მანქანის სახეობა |
|---|---|---|---|---|---|

| სიგრძის საზომი ერთეული საზღვაო საქმეში | დაბადების მოწმობა | უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა | ქალის სასიმღერო ხმის შუათანა რეგისტრი | აბულის ვაჟი (ფილმი) | სახლები, რომლებიც ტერიტორიულ მთლიანობას ქმნიან | ჭაობის მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. ქალის მოკლე უსახელო ზედა ტანსაცმელი; 8. იტალიური საიდუმლო ორგანიზაცია, შეიქმნა კუნძულ სიცილიაზე; 11. კაპიტალისტური მონოპოლიის ფორმა; 12. ესტონეთის დედაქალაქი; 13. განაყოფიერების შედეგად წარმოქმნილი უჯრედი; 14. ჰიდაობის ერთ-ერთი ფანდი; 15. სუბტროპიკული ხე, ისხამს მსხლის მოყვანილობის ნაყოფს; 16. საბერძნეთის კუნძული; 19. ტროპიკული ქვეყნების დიდი ზომის ქვეწარმავალი; 20. გამრავლების ცხრილი; 21. მსაზღვრელი სიტყვა; 25. ნატიფად, მოდურად ჩაცმული მამაკაცი არისტოკრატულ საზოგადოებაში; 26. ხელოვნების დარგი; 28. აზოტმჟავა ვერცხლი, გამოიყენება როგორც მოსაწვავი საშუალება; 31. მოქმედების, მოღვაწეობის არე, სარბიელი; 32. თავთავიანი პურეული მცენარე; 34. დაშაქრული ხილი ან დაშაქრული კანი ციტრუსისა; 35. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 36. სტადიონი რიო-დეჟანეიროში; 37. კეთილი საქმე, სიკეთე; 38. საოჯახო სანაყი ხელსაწყო; 41. მაუწყებლობის ერთ-ერთი საშუალება; 44. სამხრეთ ამერიკის ბინადარი მაიმუნი; 48. პატრონი, მესვეური; 50. დედოფალა, თოჯინა; 51. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს საწინააღმდეგოს; 52. იტალიელი დირიჟორი; 53. თაგვის „სახლი“; 54. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 57. ხრიკი, ეშმაკობა; 59. კინოს გადაღების სპეციალისტი; 64. სტენდალი — „... სავანე“; 65. ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება; 66. დიდი ზომის ანტილოპა, გავრცელებულია აფრიკაში; 67. ენათმეცნიერების ნაწილი; 68. ნამდვილად არსებული საგანი; 69. კაცის სასიმღერო ხმა; 70. ქართველი მეცნიერი .... მეტრეველი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 2. ქიმიური ელემენტი, გაზი, რომელიც შედის ჰაერის შემადგენლობაში; 3. გოლკიპერი; 4. ჩრდილოეთ-ამერიკული გარეული ხარი; 5. ფრანგი კომპოზიტორი; 6. პლანეტა მერკურის ძველი ქართული სახელი; 7. კაბადოკიელი წმინდანი; 8. საგანგებო დავალება; 9. კიოსკი; 10. ბანკში შეტანილი ფული; 17. იტალიელი პოეტი ... ალიგიერი; 18. წელთაღრიცხვის სისტემა ახალი და ძველი...; 22. ფრანგი ფიზიკოსი, მათემატიკოსი; 23. გრიჟა; 24. ქირურგიული ხელსაწყო ტრეპანაციის გასაკეთებლად; 26. ქათმის ჯიშის ფრინველი; 27. სასწავლო ოთახი სკოლაში; 29. წილი საერთო საქმეში; 30. ცხენოსნის წკეპლა; 32. ვარსკვლავის წვეტი; 33. კოვბოების შოუ; 35. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 39. ამერიკელი მომღერალი ქალი; 40. მწერალ გელაშვილის სახელი; 42. ვიეტნამის ფულის ერთეული; 43. NBA-ს კალათბურთელი; 44. მიწისქვეშა ტრანსპორტი; 45. გერმანელი მწერალი; 46. სამხრეთ ამერიკის ტროპიკული ტყეების ბინადარი მაიმუნი; 47. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ნერვულს; 48. კაცის სასიმღერო ხმა; 49. ფანჯარა; 50. ტყავის პარკი; 55. ძაღლის ჯიში; 56. მარკეტების ქსელი საქართველოში; 57. ჯაზისტი ... პიტერსონი; 58. ქალაქი საფრანგეთში; 60. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო; 61. ცხენების ჯოგი; 62. სვირინგი; 63. დედამიწის ზედაპირის შემცირებული გამოსახულება.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ამერიკული ავტომობილი | სამაგიდო თამაში | უკრაინული ავტომობილი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | ფრანგი დიზაინერი | განთიადი | ჭაობის მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|

| იტალიელი რეჟისორი | მოკლედ აჭრილი ვაზის რქა | მინოსის ხარი | საფეიქრო ბანანი | მაუწყებლობის საშუალება | იემენის ფულის ერთეული | NBA-ს კალათბურთელი | მე-7 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 11 — 17 დეკემბერი №53 (1517)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol